

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი
Journal of Creative Union of Composers of Georgia

მუსიკა
MUSIKA

2(23)
2015



კარლ ორფი (1895–1982)

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

2 (23)•2015

ფესტივალი
გულბათ ტორაძე
ღვთით ნაკურთხი ფესტივალი 2
მსოფლიო კლასიკოსები
ნატო მოისწრაფიშვილი
კარლ ორფი და მისი „კარმინა ბურანა“ 6
კულტურათა დიალოგი
მზია ჯაფარიძე. **ერთი ცის ქვეშ** 7
ახალი გამოცემები
რუსუდან წურწუმია
ქართული ხმები გერმანიის ტყვეთა განაკებიდან 12
ქრონიკა
საქართველოს მუსიკოს- შემსრულებელთა კონკურსი 24
პორტრეტი
თამარ მესხი. **ნუნუ გაბუნია** 28
მუსიკა და მწერლობა
ალან მელი. **ბრავო** 37
გალეტი
თამარ მესხი–მოდებაძე. **ეთერ ჯაბუკიანი** 39
ქველმოქმედება
მანანა ხვედელიძე.
„კლასიკიდან ჯაზურ იმპროვიზაციამდე“ 45
ხსოვნა
გულბათ ტორაძე. **ჯემალ შანშიაშვილი (1934- 2015)** 48
ჯემალ შანშიაშვილი
ქართული მუსიკის დიდი მოამაგე 48
ბურლესკები
ალექსანდრე მწარიაშვილი. **ნაკერები ფრაკზე** 50
ჯაზი
თამარ წულუკიძე. **ჯეშმარიტი ვარსკვლავი** 52
მელომანი
გულბათ ტორაძე.
ჩვენი მეგობარი ავთანდილ დანელია 60
წარსულის ფურცლები
ალა სხირტლაძე (ზუკაკიშვილი)
წერილი- გახსენება ვოკალურ- ინსტრუმენტული ანსამბლი „ნანავ- და“ 62
სტუდენტური გვერდი
მარიამ მეფარიშვილი, თეონა უგულავა
თბილისის კონსერვატორია მსოფლიო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე 68
ფოლკლორი
თამარ მესხი. **„კიდევაც დაიგრდებიან“...** 72
ქრონიკა
გერმანელი და ქართველი მუსიკოსების ერთობლივი კონცერტი 79
ჩანახატი
ნანა ქავთარაძე. **წამიერება მარადისობაში** 81
WWW 82
Summary 84

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე
დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 295 41 64; ფაქსი.: (+995 32) 296 86 78

მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი
ერთი ცის ქვეშ
UNDER ONE SKY
Multi ethnic Art Festival

MINISTRY OF CULTURE
AND MONUMENT PROTECTION
OF GEORGIA

unag

ღვთით ნაკურთხი ფესტივალი

მე-10 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“

გულგათ ტორაძე

ამ დღეებში დასრულდა ტრადიციული (მე-10) ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი – „აღდგომიდან ამაღლებამდე“ (გაიხსნა 16 აპრილს და დასრულდა 21 მაისს), რომელიც უკვე რახანია, ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა: ამჯერად, თბილისის გარდა, იგი ტარდებოდა ჩოხატაურში, ბაღდათში, ხარაგოულში და დაგვირგვინდა ბათუმში. წლიდან წლამდე ფესტივალი სულ უფრო მასშტაბური და მხატვრულად მრავალფეროვანი ხდება.

როგორც ცნობილია, ფესტივალის დამფუძნებლები (2006) არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და „აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია“.

ფესტივალის მთავარი, საზოგადოებრივად და მხატვრულ-ესთეტიკურად უაღრესად აქტუალური მიზანია ტრადიციული (ქართული) და მსოფლიო კლასიკური (აკადემიური) მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდა,

ნინო მაჩაიძე

ხენ ციმბალისტა

რასაც განსაკუთრებული, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში, როდესაც ძალზე იმძლავრა იაფფასიანმა „ფსევდოკულტურამ“ და, შეიძლება ითქვას, საშიშროების წინაშე დადგა მთელი უმშვენიერესი მუსიკალური ხელოვნება საქართველოში!

ამჟამად (2011 წლიდან) ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია შესანიშნავი პიროვნება, ბრწყინვალე მუსიკოსი (პიანისტი და პედაგოგი), ქ.ბოსტონის (აშშ) „ახალი ინგლისის კონსერვატორიის“ პროფესორი ალექსანდრე კორსანტია, რომლის მეცადინეობით ქართული ფესტივალი საერთაშორისო მნიშვნელობის მუსიკალურ მოვლენად იქცა.

აქვე დავასახელოთ კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის გენერალური მენეჯერი, ფესტივალის საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე — ლაშა ჟვანია და მისი მოადგილე მარიამ დავითაშვილი.

ახლა კი, შეძლებისდაგვარად, მოკლედ მიმოვიხილოთ საიუბილეო ფესტივალის ძალზე ვრცელი და შინაარსიანი პროგრამა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (შევეხებით თბილისში გამართულ კონცერტებს).

მაშ, ასე: 16 აპრილი, შესანიშნავი მომღერლის — ნინო მაჩაიძის კონცერტი, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ მომღერალი (ტენორი) შალვა მუქერია, თბილისის საოპერო თეატრის ორკესტრი და დირიჟორი დავით კინწურაშვილი.

ნინო მაჩაიძემ უკვე სტუდენტობის პერიოდში მიიპყრო საერთო ყურადღება თავისი ძალზე ლამაზი ხმით (სოპრანო) და მუსიკალობით. ამჟამად კი იგი მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების სცენებზე გამოდის და ფართო საერთაშორისო აღიარება აქვს მოპოვებული. საფესტივალო კონცერტზე მან ბრწყინვალედ შეასრულა, ძირითადად, იტალიური საოპერო არიები და აგრეთვე დუეტები (მათ შორის, მაროსა და მალხაზის დუეტი „დაისიდან“) თავის შესანიშნავ პარტნიორ — შალვა მუქერიასთან ერთად.

დარბაზის აღტაცებას არ ჰქონდა საზღვარი.

19 აპრილს გაიმართა ქართული მუსიკის საღამო „იუბილარი კომპოზიტორების“ — ოთარ ტატიშვილის, გიორგი შავერზაშვილის, ელიზბარ ლომდარიძის საფორტეპიანო, კამერული (საკვარტეტო და ვოკალური), სიმფონიური და საკონცერტო ნაწარმოებების შესრულებით, რამაც მსმენელთა დიდი კმაყოფილება

გამოიწვია ავტორთა საკომპოზიტორო პროფესიული ოსტატობით და მუსიკის მხატვრული მრავალფეროვნებით.

ჩინებულ შემსრულებლებად მოგვევლინენ პიანისტი ალექსანდრე ვასაძე, მევიოლინეები — ნათია მდინარაძე და გიორგი თაგაური, მშვენიერი მომღერალი ნატალია ქუთათელაძე (ნანი ბრეგვაძის შვილიშვილი!), ვიოლონჩელისტი გიორგი ჯორჯაძე.

საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს, ასევე ჩინებულად, დირიჟორობდა რევაზ ჯავახიშვილი.

20 აპრილს გაიმართა ქართული ფოლკლორისა (ანჩისხატის გუნდი) და ეთნო ჯაზ-ბენდის — „ირიაოს" (ხელმძღვანელი დავით მალაზონია) საღამო, შესრულდა ქართული საგალობლები, ხალხური სიმღერები და დ.მალაზონიას კომპოზიციები, რასაც მსმენელთა მოწონება ხვდა წილად.

ივივე განმეორდა 16-17 მაისს საფორტეპიანო მუსიკის კონცერტებზე, სადაც შემსრულებლებად მოგვევლინენ ბოსტონის კონსერვატორიის (ბარაქალა საშა კორსანტიას!) სტუდენტები ანა ლარსენი (აშშ), ბაიჩაო ლანი (ჩინეთი), იორგოს მანოურისი (კვიპროსი), ლანა სურანი (შვედეთი). ძალზე რთული და მრავალფეროვანი იყო მათი პროგრამები, რომლებიც შეიცავდნენ ბახის, რახმანინოვის, პროკოფიევის, შოპენის ნაწარმოებებს და გამოირჩეოდნენ მაღალი საშემსრულებლო დონით.

მუსიკალური საღამოების დიდი სერია მიეძღვნა გენიალური რუსი კომპოზიტორის — ალექსანდრე სკრიაბინის გარდაცვალების 100 წლისთავს. 16, 18 მაისს შესრულდა მისი სხვადასხვა ფორმის განთქმული საფორტეპიანო ნაწარმოებები (სონატები, პოემები, ეტიუდები, პრელუდიები და სხვა), ხოლო შემსრულებლებად მოგვევლინენ ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი და უცხოელი პიანისტები: ქეთევან ბადრიძე, ანი ტაკიძე, თამარ ლიჩელი, თამარ შალვაშვილი, ალექსანდრე ვასაძე, ცოტნე ცოცხალაშვილი, სალომე ჩიტაია, ირმა გიგანი, დავით ხრიკული, სერგეი მარკოსიანი, მაქსიმ მოგილევსკი, ანა ლარსენი, იორგოს მანოურისი, დიმიტრი ლევკოვიჩი, შონ ბოტკინი, ტომერ გევირცმანი, ბაიჩაო ლანი, ლანა სურანი.

მათი შესრულების დონე, როგორც წესი, ფრიად მაღალი იყო და სათანადოდაც დაფასდა მსმენელების მიერ.

ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და, მე ვიტყოდი, სენსაციური კონცერტი გაიმართა 17 მაისს, რომელიც მიეძღვნა იერუსალიმის დღეს. მსმენელთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ფანტასტიკურად ნიჭიერი ისრაელელი მუსიკოსი (სოლისტი და დირიჟორი) ხენ ციმბალისტა. განგვაცვიფრა დასარტყამ საკრავებზე დაკვრის მისმა ვირტუოზულმა ოსტატობამ და დაუცხრომელმა შემოქმედებითმა ენერგიამ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მის მიერ შესრულებული ბრაზილიელი კომპოზიტორის ნეი როზაუროს კონცერტი მარიმბასათვის (აფრიკული წარმოშობის დიდტანიანი საკრავი), რამაც დარბაზის აღტაცება გამოიწვია.

ამავე საღამოში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი მევიოლინე ქეთევან თუშმალიშვილი, რომელმაც შეასრულა გია ყანჩელის — „ხმა და ვიოლინო" სიმებიან ორკესტრთან ერთად.

ამ და სხვა კონცერტებშიც წარმატებით მონაწილეობდა ჩვენი შედარებით ახალი, შესანიშნავი კამერული ორკესტრი — „საქართველოს სიმფონიეტა". ძალზე სასიამოვნო ფაქტია!

16—19 მაისს კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში გაიმართა ნიჭიერი მხატვრის ნინო ფერაძის ძალიან კარგი და საინტერესო პერსონალური გამოფენა.

დიდებული ფესტივალის ნამდვილ კულმინაციად მოგვევლინა 19 მაისს საფორტეპიანო კონცერტების საღამო სერგეი ბაბაიანის (აშშ) და ალექსანდრე კორსანტიას მონაწილეობით.

ს.ბაბაიანმა, რომელმაც თავის დროზე დაამთავრა ერევნის მუსიკალური ათწლედი და მოსკოვის კონსერვატორია (პროფ. ლევ ნაუმოვის კლასი), ჩინებულად შეასრულა ბეთჰოვენის №1 საფორტეპიანო კონცერტი (დირიჟორობდა გ.ჭიჭინაძე). რაც შეეხება ა.კორსანტიას მიერ ბეთჰოვენის მე-4 საფორტეპიანო კონცერტის შესრულებას (ერთდროული დირიჟორობით!) ეს იყო ჩემთვის და მთელი დარბაზისათვისაც, ერთ-ერთი უძლიერესი მხატვრული შთაბეჭდილება. შეიძლება ითქვას, ბეთჰოვენის გენიალური მუსიკის ადეკვატური ინტერპრეტაცია ყველა საშემსრულებლო კომპონენტის

ალექსანდრე სკრიაგინის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.
მარცხნიდან: ალექსანდრე კორსანტია, ქეთევან გადრიძე, ცოტნე ცოცხალაშვილი, თამარ შალვაშვილი, იორგოს მანოურისი, მაქსიმ მოგილევსკი.

თვალსაზრისით. დარბაზის დაჟინებული თხოვნით, განმეორებით შესრულდა კონცერტის მეორე (ნელი), შთაგონებული ნაწილი. ბრავო, ძვირფასო საშა!

ვიმეორებ, ეს იყო ფესტივალის თბილისური ნაწილის კულმინაცია და ამავე დროს, დასასრულიც.

მაგრამ ფესტივალის დასკვნითი კონცერტი და, მაშასადამე, დახურვაც, მოხდა ბათუმში 21 მაისს, სადაც სოლისტებად წარმოდგნენ ჩვენი შესანიშნავი პიანისტი თამარ ლიჩელი, იაშვილების ცნობილი მუსიკალური საგვარეულოს ნიჭიერი ახალგაზრდა წარმომადგენელი გია იაშვილი (მოღვაწეობს გერმანიაში), რომელსაც თანხლებას უწევდა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური სიმფონიური ორკესტრი დავით მუქერიას დირიჟორობით.

აქვე შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II — „ავე მარია“ (ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრის ვერსია), მენდელსონის კონცერტი ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, ფანტაზიები ცნობილი ოპერებიდან ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (არანჟირების ავტორია რიჩარდ უაილდსი), რომლის პრემიერა ფესტივალის დასკვნით კონცერტზე შედგა.

ცნობილი გახდა, რომ ბათუმის კონცერტიც წარმატებით ჩატარდა და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

დაბოლოს, გავიმეორებ ზემოთქმულს: უაღრესად მნიშვნელოვანია შესანიშნავი ფესტივალის მხატვრული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. დიდი მადლობა მის დამფუძნებლებს, ორგანიზატორებსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ა.კორსანტიას.

დარწმუნებული ვარ ფესტივალის შესანიშნავ მომავალში და ახალ წარმატებებს ვუსურვებ მის ყველა მესვეურსა და გულშემატკივარს.

გვფარავდეს ღმერთი!



კარლ ორფი და მისი „კარმინა ბურანა“

ნათო მოისწრაფიშვილი

„მუსიკა ადამიანში იბადება. არა ინსტრუმენტის საშუალებით, არც პირველი თითის ჩამოკვრით, არც პირველი პოზიციით და არც ამა თუ იმ სიმის, აკორდის აღებით. ყველაფერი იწყება სიჩუმით, შინაგანი ხმის მოსმენით, როცა მზად ხარ შექმნამუსიკა, მოუსმინო საკუთარ გულისცემას და სუნთქვას“.

კარლ ორფი

წლეულს, 10 ივლისს, სრულდება 120 წელი XIX-XX საუკუნეების ევროპული მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო, ერთობ ორიგინალური და საინტერესო წარმომადგენლის, გამოჩენილი კომპოზიტორის, პედაგოგის, დრამატურგისა და აქტიორის კარლ ორფის დაბადებიდან. ივი გარდაიცვალა 1982 წლის 29 მარტს თავის მშობლიურ ქალაქ მიუნხენში და იქვე, ბავარიულ მონასტერშია დაკრძალული.

ცხოვრების ბოლო წლები კომპოზიტორმა მოახმარა საკუთარი შემოქმედებითი არქივის მასალებზე მუშაობას და გამოსაცემად მოამზადა რვატომეული — „კარლ ორფი და მისი შემოქმედება. დოკუმენტაცია“. მასში თავმოყრილია უმდიდრესი ინფორმაციული მასალა, რომელიც ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ორფის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მკვლევართათვის. ხოლო მისი შემოქმედება, თავისი არაჩვეულებრივი ორიგინალურობითა და განუმეორებელი ინდივიდუალობით, უნივერსალური თეატრალურობითა და არქაული სისადავით, აი, უკვე ათეული წლებია წარმოადგენს მსოფლიო მრავალი ქვეყნის მუსიკოსთა და თეატრალთა, შემსრულებელთა და პედაგოგთა, ხელოვნების ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა მრავალმხრივი დაინტერესების საგანს.

რაც ეხება ჩვენს თანამემამულე პროფესიონალ მუსიკოსებსა და მუსიკის მოყვარულთ, მათი უშუალო შემოქმედებითი კონტაქტები ორფის მუსიკასთან სათავეს იღებს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში პირველად ცოცხლად შესრულდა „კარმინა ბურანა“. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრსა და კაპელას დირიჟორობდა ზაქარია ხუროძე; სოლისტი — რევაზ კაკაბაძე.

უფრო გვიან, 1993 წელს, „კარმინა ბურანა“ წარმატებით გააჟღერა სახელოვანმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და კაპელის (ხელმძღვანელი გივი მუნჯიშვილი) შესრულებით. სოლისტები ნაირა ნაჩხატაშვილი და თამაზ ცერიაშვილი. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა შეასრულა მამაკაცის ყველა პარტია, მათ შორის, კონტრტენორისაც.

კარლ ორფის შემოქმედების ვრცელ განხილვას მიეძღვნა ამ სტრიქონების ავტორის სადიპლომო შრომამ „კარლ ორფის სცენური კანტატა “Carmina Burana” (ხელმძღვანელი პროფ. ლადო დონაძე, 1966 წელი).

დაბოლოს, განსაკუთრებული წარმატებით, კიდევ ერთხელ ცოცხლად, მაღალპროფესიულ დონეზე გაჟღერდა და მსმენელთა არაჩვეულებრივი მოწონება დაიმსახურა „კარმინა ბურანას“ შესრულებამ ა.წ. 16 მაისს ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის საკონცერტო დარბაზში, ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე, შემსრულებლები: სოლისტები: მარიამ გოგოჭური (სოპრანო), მიხეილ აბრამიშვილი (კონტრ ტენორი), ირაკლი მუჯირი (ბარიტონი), თბილისის სახელმწიფო საგუნდო კაპელა (ხელმძღვანელი არჩილ უშვერიძე), ბავშვთა გუნდი და თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ვახტანგ კახიძე.

წელს, უკვე მეათედ ჩატარდება მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ – კულტურათა დიალოგი“. იდეის ავტორი და ფესტივალის ორგანიზატორია ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ქვემო ქართლის ფილიალის დამაარსებელი და თავმჯდომარე მანანა ალფაიძე.

ერთი ცის ქვეშ

მგზია ჯაფარიძე

მანანა ალფაიძე

ესაა მუსიკალური ფესტივალი, სადაც სრულდება ქართული და მსოფლიოს კლასიკური მუსიკის ნიმუშები. ფესტივალი მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება და მასში მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები თბილისისა და რეგიონების სამუსიკო სკოლებიდან. ასეთი ფესტივალი ნამდვილად სასიკეთო წამოწყებაა, რადგან მას, უდავოდ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინტერკულტურული განათლების სფეროში, რაც მრავალეთნიკური საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელი პირობაა. ერთადერთი ბუნებრივი საერთაშორისო ენა – ეს მუსიკაა და დღემდე ივი ვერავითარმა „ესპერანტომ“ ვერ შეცვალა. მუსიკას თარგმანი არ სჭირდება, ამიტომ ივი ყველაზე მეტად აერთიანებს და აახლოებს ყველა ჯურის ადამიანს. კარგი იქნება თუ ამას პოლიტიკოსებიც გაითვალისწინებენ და სამუსიკო განათლებას მეტ ყურადღებას დაუთმობენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რვა წლის ისტორიის მქონე ფესტივალის მეათე კონცერტი ამჯერად ქ.მარნეულში ჩატარდა, სადაც მონაწილეობდნენ თბილისის, მარნეულის, ახალქა-

თბილისის №19 სამუსიკო სკოლა.
ალეკო მურადოვი (პედაგოგი ომარ კოტიშაძე).

ლაქის, რუსთავის, თეთრიწყაროს, ნინოწმინდის, თელავის, მცხეთის სამუსიკო სკოლების პედაგოგები და სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო ქართველ კომპოზიოტორთა ნაწარმოებებს.

რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი.
გაჩანა კიკნაძე (პედაგოგი თამარ სიხარულიძე).

ჟურნალ „მუსიკის“ რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმათა ფესტივალის ორგანიზატორს, კომპოზიტორ მანანა ალფაიძეს.

მზია ჯაფარიძე **— ქ-ნო მანანა, საქართველო, განსაკუთრებით კი თბილისი და მისი შემოგარენი, ყოველთვის იყო მრავალეროვანი. ძველ თბილისურ ეზოებში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სახვადასხვა ეროვნებისა თუ კონფესიის ადამიანები: ქართველები, ებრაელები, სომხები, რუსები, ბერძენები, გერმანელები, პოლონელები და ა.შ. რატომ გაგიჩნდათ დღეს ასეთი ფესტივალის ჩატარების იდეა და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

მანანა ალფაიძე — მშვიდობიან თანაარსებობას საქართველოში მრავალ საუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით, თბილისისგან განსხვავებით სულ სხვა სურათია რეგიონებში. მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა პატარა ქალაქებსა და სოფლებში ქართველების გვერდით უფრო მარტივი უნდა იყოს ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრირება როგორც ქართულ ენასთან, ასევე ტრადიციულ და პროფესიულ კულტურასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. როდესაც დაფუძნდა კომპოზიტორთა კავშირის ქვემო ქართლის რეგიონული განყოფილება, გადავწყვიტე რომ რეგიონის შვიდი ქალაქის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ჩამერთო მერი დავითაშვილის სახელობის საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულში. როდესაც მოვიარე ყველა ქალაქის სამუსიკო სკოლა, ვნახე რომ ნაკლები დოზით იყო ქართული მუსიკა სასკოლო პროგრამებში. მოგეხსენებათ, ეს რეგიონი ეთნიკური მრავალფეროვნებით მდიდარია და სამწუხაროდ, ამ ბავშვებთან მესამე ენით მიწევდა კონტაქტი. მოსმენა-შერჩევის დროს მარნეულის სამუსიკო სკოლის აზერბაიჯანელი გოგონა ისეთი გრძნობით უკრავდა დავით ტურიაშვილის “Andante cantabile”-ს, რომ მისი წარმომავლობა განმეორებით ვიკითხე. დავრწმუნდი რომ ხელოვნებას არა აქვს ეროვნება და გადავწყვიტე როგორც ქართველმა, მუსიკოსმა, ქართული მუსიკის პოპულარიზაცია-პროპაგანდის მიზნით ჩამეტარებინა კონცერტების ციკლი ქართული მუსიკის პროგრამით, მხოლოდ „ეთნიკების“ მონაწილეობით, რათა კიდევ ერთხელ

ჩაწვეთებულიყო მათში ქართული ჰანგი, კიდევ ერთხელ ჩაეხედათ ქართულ სულში მუსიკის მეშვეობით. შემდეგ დავამატე ქართველი ნიჭიერი ბავშვები, რომლებიც სხვა ეროვნების კომპოზიტორთა ქმნილებებს ასრულებდნენ, რომ ფართო მუსიკალური პალიტრა ყოფილიყო. ასე შედგა მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ – კულტურათა დიალოგი“, სადაც „ეთნიკი“ ასრულებს – ქართულს, ხოლო ქართველი – მსოფლიოს კომპოზიტორების ან ხალხთა შემოქმედებას.

***მ.ჯ.* – რა ცვლილებები და პროგრესი განიცადა ამ შვიდი წლის მანძილზე ფესტივალმა?**

მ.ა. – მოიმატა ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობამ, მხვდება საკმაოდ დიდი პროგრამა შესარჩევად, ჩართულია საქართველოს ბევრი რეგიონი: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-თიანეთი, აჭარა. ფესტივალი უკვე წლის განმავლობაში 2-ჯერ ტარდება: გაზაფხულზე – კლასიკური, შემოდგომაზე – ფოლკლორული პროგრამით. თითოეულ კონცერტში მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა 80-დან 250-მდეა. წლევანდელი მე-10 საიუბილეო კონცერტის ჩათვლით დაახლოებით 2000 ბავშვს აქვს მონაწილეობა მიღებული. თავიდანვე გვსურდა, რომ ეს ფესტივალი ყოფილიყო რეგიონალური კონცერტების ციკლი, რომლის მეშვეობით, განსაკუთრებით სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობას მივაწოდებდით მუსიკალურ ინფორმაციას, თუნდაც იმისათვის, რომ მათში ამაღლებულიყო მოსმენის კულტურა. სამწუხაროდ, მსმენელის ამ პრობლემას დღემდე ვაწყდებით.

***მ.ჯ.* – უნდა ითქვას, რომ კონცერტმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სამუსიკო განათლების რეფორმაში დაშვებული სავალალო შეცდომების, იმ საკმაოდ მძიმე პირობებისა და მიზერული დაფინანსების გათვალისწინებით, რომელშიც უწევთ მუშაობა რეგიონების სამუსიკო სკოლების მასწავლებლებს, გნებავთ ბავშვებს, გასაოცარი ენთუზიაზმი მაინც აქვთ შენარჩუნებული. არაერთმა პედაგოგმა და მოსწავლემ მშვენიერი დონე აჩვენა არა მხოლოდ თბილისის, არამედ რეგიონების სამუსიკო სკოლებიდანაც. რით ახსნით ამას?**

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სამუსიკო სკოლა.
ნამჭუნ ჩანგი, კორეა (პედაგოგი სუსანა აჰმადოვა).

მ.ა. – პრობლემები და პირობები ივივეა. მეც პედაგოგი ვარ და ვიცი კარგი მოსწავლის ფასი, რომ მათი ბედი შენს ხელშია, გჭირდება შენი ცოდნის, შრომის, დაგროვილი პედაგოგიური გამოცდილების რეალი-

თბილისის №6 ხელოვნების სკოლა.
გიორგი რუსეცკი (პოლონეთი. პედაგოგი ია გახტაძე)

რუსთავის გ.ფალიაშვილის სახ. ხელოვნების სკოლა. ანა გერიძე (ფ- ნო), დეა როსტომაშვილი (ვიგრაფონი), ფიკრატ გაჯიევი (ვიოლინო). პედაგოგები: მანანა ლომიძე, ლალი ცერცვაძე, ტატიანა ახვლედიანი.

ზაცია. ამიტომ უნებურად ისევ ენთუზიაზმის ხარჯზე ინერციით ვმუშაობთ და ბოძებული ნიჭის მსახურები ვართ, მხოლოდ პროფესიისადმი სიყვარულის, ერთგულების, კეთილი ნების სურვილით.

მ.ჯ. — დღეს საქართველოში კლასიკური მუსიკის დაფინანსება, მუსიკოს-პედაგოგების წახალისება თითქმის არ ხდება. ისინი საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული მხოლოდ და მხოლოდ „კულტურის მუშაკებად“ იწოდებიან და არა პედაგოგებად, დამოკიდებულებაც მსგავსია. მახსენდება კონსერვატორიის ლექტორის, თეორეტიკოსის, შესანიშნავი მუსიკოსის ვილი გურევიჩის ნაამბობი. ერთხელ, მგონი ბინის საკითხთან დაკავშირებით, სათანადო ინსტანციაში მისულა, სადაც საბჭოთა ჩინოვნიკს უთქვამს: „თქვენ, მუსიკოსებს, რაში უნდა მოგცეთ ან ფული, ან ბინა, თქვენ ხომ ერთობით და მაგაში რასაც იღებთ, ეგეც ბევრია“. მართალი გითხრათ, ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, რომ არც დღევანდელი ნომენკლატურის დამოკიდებულებაა დიდად განსხვავებული. ამიტომ მიჩნდება კითხვა, ვინ დაგიდგათ გვერდში და ვინ გიწყობთ ხელს ამ რთული საქმის მოგვარებაში, ორგანიზებაში?

მ.ა. — საქართველოში არა მარტო მუსიკის, ან ხელოვნების სხვა დარგის პედაგოგების მოღვაწეობა-საქმიანობაა გაურკვეველი, დაუფასებელ-შეუფასებელი, არამედ კომპოზიტორისაც. ეს ფენომენი საერთოდ „კულტურის მუშაკის“ სტატუსშიც არ შედის. არადა, თუ არა კომპოზიტორი, ვის დაუკრავ, ვის იმღერებ და რას ასწავლის ვინმე-ვინმეს? კომპოზიტორობა აქ პროფესია არაა. ევროპაში მკითხეს: წელიწადში რამდენ მილიონს ეთამაშებიო?(!!!) ამ დროს რა ვქნათ? ჩვენ ხომ „კულტურის მუშაკის“ 50 ლარიც არა გვაქვს ყოველთვიურად. ამიტომ ვეძებთ სულიერი, გონებრივი, ფიზიკური გადარჩენის გზებს. ფესტივალის დაფუძნებაც ასეთი ფიქრის ნაყოფია. ფესტივალის ორგანიზებაში ჩართული ყველა თანაორგანიზატორის მიმართ დიდი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ეს არის სამთავრობო ფესტივალი, მონაწილეობა არის უფასო, მონაწილეები უზრუნველყოფილი არიან ტრანსპორტით, სასტუმროთი, კვებით, სამახსოვრო საჩუქრებით. დღიდან დაფუძნებისა რვა წლის მანძილზე ერთად ვაკეთებთ ამ მეტად რთული კონცერტების ორგანიზებას: მე, როგორც პროექტის ავტორი და დამფუძნებელი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, გაეროს ასოციაცია საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველი მუნიციპალიტეტები, ეთნიკური კუთხით მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. განსაკუთრებით მინდა მადლობა გადავუხადო სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს, ირინე საგანელიძეს, რამაზ აფციაურს, მაკა ჩიჩუას, მარიამ მიშველიძე.

მ.ჯ. — უკვე აღვნიშნე, რომ პროგრამაში უპირატესად ქართული მუსიკა შესრულდა. ცხადია, ეს კარგია, იმიტომ, რომ არაქართველი ბავშვები ეზიარებიან ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშებს (როგორც ინსტრუმენტულს, ისე ვოკალურს) და პირიქით. მგონი, ასეთი პრინციპი გაქვთ აღებული, რაც კულტურული ინტეგრაციის კარგი წინაპირობაა.

ალბათ, სასურველია თუ ქართველი კომპოზიტორებიც დაესწრებიან ფესტივალის კონცერტებს, გადასცემენ მონაწილეებს ნოტებს ან წიგნებს სამახსოვრო

წარწერით, რაც წარუშლელ კვალს დატოვებს ბავშვების მეხსიერებაში.

მ.ა. — ეს არის მუდმივი და მარადიული თემა კაცობრიობისა — ადამიანთა მიგრაცია. სხვადასხვა ეროვნების, აღმსარებლობის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციის, ადამიანების ერთი ცის ქვეშ თანაცხოვრება, ტოლერანტობა, ერთმანეთთან ინტეგრირება, ისე რომ დაიცვა და შეინარჩუნო იდენტობა და სხვის კულტურას პატივი სცე, არ არის ადვილი. ფესტივალის მიზანიც ესაა, ვფიქრობ, ვახერხებთ და ამიტომაც მოვედით აქამდე. კონცერტის პროგრამას თვალს რომ გადაავლებთ, ნახავთ რომ არის სოლო, საანსამბლო, საგუნდო ნომრები, როგორც ინსტრუმენტული, ვოკალური, ისე კამერული შემადგენლობით. ვცდილობ კლასიკური ორკესტრის საკრავების ტემბრული მრავალფეროვნებაც მოისმინონ სცენიდან და ხალხურიც. რა თქმა უნდა, ბავშვებს აინტერესებთ და უხარიათ შეხვედრა ცოცხალ კომპოზიტორებთან, განსაკუთრებით რეგიონის მოსწავლეებს და მათ ჰქონდათ ბედნიერება შეხვედროდნენ მერი დავითაშვილს, ვაჟა აზარაშვილს, მერაბ მერაბიშვილს, ირაკლი ცინცაძეს. მახსოვს მოსწავლემ ჯავახეთიდან, როცა დაასრულა დაკვრა და ვუთხარი შენ ვისაც ასრულებდი, აი, ეს არის ვაჟა აზარაშვილი-მეთქი, ისე დაიბნა და გაშეშდა, რომ თვითონ ბ-ნი ვაჟა მივიდა მასთან და სანამ სომხურად არ გაეხუმრა, გონზე ვერ მოვიდა.

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას საჯარო სკოლა. გოგონათა ანსამბლი. პედაგოგი და კონცერტმაისტერი ნინო გაძრაძე.

პაატა ზაქარეიშვილი, მანანა ალფაიძე.

მ.ჯ. — ეს ძალიან კარგი. ვისურვებდი, რომ ამ პროცესში ქართველ მუსიკოსთა ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდოს. რა სიახლეებს უნდა ველოდეთ და რა გეგმები გაქვთ მომავალში?

მ.ა. — სრულიად საქართველოს და საზღვრებს იქით მცხოვრები იმ ახალგაზრდების ჩართულობა, რომელთაც „ჩვენი ეთნიკები“ ჰქვიათ. სექტემბრის თვეში, ფესტივალის მორიგი ფოლკლორული კონცერტის ჩატარების სავარაუდო ადგილია მცხეთა ან რუსთავი, რაზედაც უკვე ვმუშაობთ.

მ.ჯ. — ვიმედოვნებ, რომ ფესტივალი კიდევ უფრო გაფართოვდება, გაძლიერდება და მასში მუსიკოსთა უფრო ფართო წრეები ჩაერთვებიან. წარმატებებს გისურვებთ!

26 იანვარს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა წიგნის — *„ექო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩაწერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში, 1916–1918წწ.“* — პრეზენტაცია. პროექტის თანადამფინანსებლები იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ბერლინის ფონოგრამ-არქივი. ამ უკანასკნელთან ერთად წიგნი გამოსაცემად მოამზადა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა.

ქართული ხმები
გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან

რუსუდან წურწუმია

წიგნი მოგვითხრობს სიმღერების ჩაწერის ისტორიაზე (ს. ციგლერი), პროექტის მნიშვნელობაზე ქართული კულტურისათვის და მასზე მუშაობის პროცესზე (რ.წურწუმია). სიმღერების ტექსტებს და მოკლე კომენტარებს სიმღერებზე, აგრეთვე ბერლინის ფონოგრამ-არქივში დაცული მასალებიდან ამოკრეფილ სიმღერებსა და მომღერლებზე ახალ ინფორმაციას გაეცნობით ნინო მახარაძისა და ნინო ნაკაშიძის მიერ მომზადებულ მასალაში. გამოცემაში ასევე წარმოდგენილია ქართული მხარის მიერ მოპოვებული და ბერლინიდან მოწოდებული ფოტოები. გამოცემას თან ახლავს ორი დისკი, რომლებზეც ჩაწერილია 65 სიმღერა და წერილობითი დოკუმენტები.

პრეზენტაციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისს სპეციალურად სტუმრობდნენ ბერლინის ფონოგრამ-არქივის დირექტორი დრ. პროფ. ლარს-ქრისტიან კოხი და წიგნის გერმანელი რედაქტორი სიუზან ციგლერი. ქართული მხრიდან წიგნის რედაქტორია რუსუდან წურწუმია.

100 წლის შემდეგ აჟღერებული წინაპრების ხმებით გამოწვეული ემოციური განწყობა საღამოს ბოლომდე არ განელებულა — მისი წამყვანის, კონსერვატორიის რექტორის რეზო კიკნაძის მიერ შექმნილი უშუალო, გულთბილი ატმოსფერო შესანიშნავი ფონი აღმოჩნდა როგორ გამომსვლელების, ისე ფოლკლორული ანსამბლებისათვის „ანჩისხატი“, „ბასიანი“, „დიდგორი“, „სახიობა“, „შავნაბადა“ და „ძირიანი“, რომელთაც ქართველი ტყვეების მიერ ჩაწერილი სიმღერები გააცოცხლეს. დამსწრეთ მიესალმნენ გერმანიის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ბ-ნი ორთვინ ჰენიგი და სხვა სტუმრები. ტყვე მომღერლების შთამომავლების სახელით ბ-ნმა გურამ შერვაშიძემ დიდი მადლიერებით აღნიშნა გერმანელი მეცნიერების დამსახურება ამ ისტორიული ჩანაწერების შექმნასა და დაცვაში. საღამოს დასასრულ ბ-ნმა რეზო კიკნაძემ დამსწრეთ წარუდგინა ტყვე მომღერლების — მიხეილ ქირიას, დომენტი გოგუაძის, ვარდენ დადიანის, გრიგოლ ხორავას, ვასილ ხუბულავას, სარდიონ გოგელიას, თეოდორე თარგამაძის, კალისტრატე კანკავას შთამომავლებიც.

ეს გამოცემა არ იქნებოდა, რომ არა დრ. სუზან ციგლერის დიდი და ხანგრძლივი ინტერესი პირველ მსოფლიო ომში დატყვევებული ქართველებისაგან ჩაწერილი სიმღერებისადმი და ბერლინის ფონოგრამარქივის ადმინისტრაციის კეთილი ნება. ქართველებმა ამ ჩანაწერების შესახებ პირველად შეიტყვეს გაზეთ *ახალგაზრდა კომუნისტის* პუბლიკაციიდან, რომელშიც აღწერილი იყო, როგორ მიაკვლია 1962 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მივლინებით მყოფმა ენათმეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ სერგი ჟღენტმა ქართველი ტყვეებისგან ჩაწერილ სიმღერებს (ცინცაძე, 1964). 1968 წელს კი საქართველოს რადიოს ეთერში გავიდა ნ. მოისწრაფიშვილის გადაცემა *უნიკალური ჩანაწერები ბერლინის უნივერსიტეტიდან*. გადაცემის ავტორმა ეს ჩანაწერები ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში აღმოაჩინა, თუმცა ამ ფაქტს მაშინ საზოგადოების დიდი ინტერესი არ გამოუწვევია.

ბერლინის ფონოგრამარქივის ქართული კოლექციის შესახებ ჩვენი სპეციალისტებისთვის უკვე საკმაოდ ბევრი რამაა ცნობილი ქ-ნ ციგლერის არა ერთი პუბლიკაციიდან, ახლა კი მოგვეცა შესაძლებლობა მოვისმინოთ საუკუნის წინანდელი ჩანაწერები და ცოტა რამ გავიგოთ იმ ადამიანების შესახებ, ვინც მრავლისმნახველი გერმანელები ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ოსტატური შესრულებით გააოცა.

გერმანელი მეცნიერის, გეორგ შუნემანისათვის სწორედ ეს ფენომენი აღმოჩნდა გასაკვირი – ივი იწერდა ურთულეს მრავალხმიანობას არა ერთმანეთთან კარგად შემღერებული შემსრულებლებისგან, არამედ ადამიანებისგან, რომელთაც ერთად არასოდეს უმღერიათ. მაშინ გაჩენილ კითხვაზე მეცნიერებს, როგორც ჩანს, დღემდე ვერ უპოვიათ პასუხი – 2012 წელს VI სიმპოზიუმზე ივივე კითხვა დასვა სუზან ციგლერმა, რომლის ვარაუდით, „საქართველოში გრამოფონის ჩანაწერები გაკეთდა პირველ მსოფლიო ომამდე დიდი ხნით ადრე, შესაძლოა, ისინი საქართველოს მოსახლეობაში პოპულარული იყო, ქალაქებში მაინც. სავარაუდოა, რომ ბანაკში მყოფ ქართველ ტყვეებსაც შესაძლებელია, სცოდნოდათ ეს ჩანაწერები“



ექო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩაწერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში 1916–1918

ECHOES FROM THE PAST: GEORGIAN PRISONERS' SONGS RECORDED ON WAX CYLINDERS IN GERMANY 1916-1918

თუ წარმოვიდგენთ იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ ყოფას, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები გლეხების, ვაჭრებისა თუ მიწის მფლობელებისათვის მისაწვდომი ყოფილიყო ეს ჩანაწერები. შესაძლოა, ამ მომღერლებისაგან ერთი-ორს მართლაც მოსმენილი ჰქონდა ეს სიმღერები, თუმცა, ჩემი აზრით, აქ ერთი ან ორი ასეთი ადამიანის არსებობა ვერაფერს გადაწყვეტდა, რომ არა ტრაგიკული შემთხვევითობით ერთად შეყრილი ადამიანების უნარი, რამდენიმე მცდელობის შემდეგ ასე მწყობრად შეესრულებინათ ურთულესი მრავალხმიან სიმღერები.

ქართველებისთვის ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ქართველ კაცს მრავალ ხმაში სიმღერის უნარი გენეტიკურად მოსდგამდა და სანამ ივი მეტნაკლებად ჰომოგენურ, ტრადიციულ გარემოში ცხოვრობდა, ანუ გასული საუკუნის დასაწყისში, მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მით უფრო, გარკვეუ-

I მსოფლიო ომის ტყვეთა ბანაკი გაგანში. მარიან რიხარდ სვიატეკის საფოსტო ბარათების კოლექციიდან.

ლი „შემღერების“ შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერების მრავალ ხმაში შესრულება.

ასე იყო თუ ისე, გერმანელი მეცნიერების აღიარებით, I მსოფლიო ომის დროს, ავსტრიული და გერმანული ბანაკებში ჩაწერილი ქართული მრავალხმიანობის ნიმუშები გახდა მუსიკალური რევოლუციის მიზეზი, რამაც ევროპა მრავალხმიანობის ახალ თეორიებამდე მიიყვანა.

დღეს მეცნიერებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ ქართული მრავალხმიანობა მისი ფორმების მრავალფეროვნებითა და სრულყოფილებით ადგილობრივი წარმოშობის, თვითმყოფადი მოვლენაა. ეს მრავალფეროვნება თავას იჩენს ტყვეთა ჩანაწერებშიც, მიუხედავად იმისა, რომ CD I-ზე წარმოდგენილი 65 ნიმუშიდან 1-35 სიმღერა ერთი შემსრულებლის მიერაა ჩაწერილი (ზოგჯერ სხვადასხვა ხმის პარტიის შესრულების მცდელობით). მრავალხმიან ნიმუშებში ვხვდებით საქართველოში გავრცელებულ თითქმის ყველა ტიპის მრავალხმიანობას, გარდა სვანეთში გავრცელებული სინქრონულისა (ბურდონულს, ოსტინატურს, პარალელურს, კონტრასტულს, შერეულს). მათ შორის არის სხვადასხვა ჟანრისა და დიალექტის — ქართლ-კახური, მეგრული, გურული, რაჭული, აჭარული სიმღერები, გვხვდება აფხაზური და ოსური სიმღერის ნიმუშებიცა და ქალაქური სიმღერებიც.

მომღერლები წარმომავლობით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან: აღმოსავლეთ საქართველოდან — გიორგი ნარეკლიშვილი (სოფ. ყანდაურა, კახეთი), ვასილ გაგლოშვილი (სოფ. ღართა, ქართლი), ფილიპე მურჯიკნელი (სოფ. ბარალეთი, სამცხე-ჯავახეთი) და ნიკოლოზ ყაზბეგი (სოფ. სტეფანწმინდა, ხევი); მათი უმრავლესობა დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელია — სამეგრელოდან: ათანასე გეგელია (სოფ. სალხინო), ალექსანდრე კორკელია (სოფ. ჭითაწყარი), ერმილე ყურავა (სოფ. მოხაში), ვასილ ხუბულავა (სოფ. ეკი), კალისტრატე

კანკავა (სოფ. ხორში), მიხეილ ქირია (სოფ. რედუტ-კალე-ყულევი), ვარდენ დადიანი (სოფ. ოჩხომური), პლატონ შერვაშიძე (სოფ. დარჩელი) და გრიგოლ ხორავა (სოფ. უშაფათი); გურიიდან: ვიქტორ მეგრელიშვილი (ჩოხატაური), სარდიონ გოგელია (სოფ. აკეთი); რაჭიდანაა პლატონ მაჩაიძე (სოფ. სხვავა), ხოლო იმერეთიდან დომენტი გოგუაძე (სოფ. ძიმითი) და თეოდორე თარგამაძე (სოფ. საჯავახო).

როგორც ვხედავთ, მომღერალთა უმრავლესობა დასავლეთ საქართველოს სოფლებიდანაა, თუმცა ეს გარემოება მათ ხელს არ უშლის შეასრულონ ქართლ-კახური სიმღერები და ქალაქური ნიმუშები.

ბერლინის ფონოგრამ-არქივში დაცული ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილი სიმღერების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობასთან ერთად, პროექტის ერთ-ერთი მიზანი იმ ადამიანების სახელების გამომზეურებაც იყო, ვისგანაც გერმანელმა მეცნიერებმა ეს სიმღერები ჩაიწერეს.

მომღერალთა შთამომავლების ძებნა რთული და ემოციურად მეტად დატვირთული პერიოდი იყო, რომელმაც გარკვეული შედეგები გამოიღო. 18 მომღერლიდან 9 მათგანის ოჯახს მივაკვლიეთ. ზოგიერთის, მაგალითად, მ. ქირიას, დ. გოგუაძის, ვ. დადიანის, ვ. ხუბულავას, პ. შერვაშიძისა და გ. ხორავას შესახებ, რომლებიც ომიდან დაბრუნდნენ და სამშობლოში არიან დაკრძალული, მემკვიდრეებმა საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მოგვაწოდეს. ზოგიერთის შესახებ, ვინც სამშობლოში არ დაბრუნებულა, ინფორმაცია დაუზუსტებელი ან მწირია. ს. გოგელიასა და პ. შერვაშიძესთან დაკავშირებით ნინო ნაკაშიძემ და ნინო მახარაძემ მეტად საინტერესო ცნობას მიაკვლიეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. გერმანიაში გიორგი კერესელიძის რედაქტორობით გამომავალი „ქართული გაზეთის“ მეშვეობით, 1918 წელს ქართულ ტყვეთა დახმარების ფონდის ზაგანის კომიტეტის წევრები სარდიონ გოგელია და პლატონ შერვაშიძე სხვა ორ პირთან ერთად იტყობინებოდა, რომ აგვისტოს დასაწყისისთვის აღნიშნულმა კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა, რადგან მან თავისი მისია შეასრულა და ზაგანის ქართველი ტყვეები სამშობლოში დააბრუნა (ქართული გაზეთი, 1918: 8). ზაგანის ბანაკში სიმღერები 10 კაცისგანაა ჩაწერილი. ამათგან, ჩვენი ინფორმაციით, სამშობლოში დაბრუნდა გოგუაძე, დადიანი, ქირია, შერვაშიძე და ხორავა. დანარჩენები, მათ შორის, თავად გოგელია, თარგამაძე, კანკავა,

კარლ შტუმპფი (მარჯვნივ) და გეორგ შუნემანი (შუაში) ფონოგრაფით იწერენ თათარ მუსიკოსებს ფრანკფურტ/ოდერის ტყვეთა ბანაკში.

მეგრელიშვილი და ყაზბეგი ტყვეობიდან არ დაბრუნებულან. ამ უკანასკნელის გარდა, დანარჩენების შემდგომი ბედი გაურკვეველია.

ცხადია, ჩაწერილი მასალა იძლევა იმის საშუალებას, განსაზღვრო, რამდენად ჰქონდა სიმღერის პრაქტიკული გამოცდილება ამა თუ იმ მომღერალს. სამწუხაროდ, ვ. მეგრელიშვილზე ვერანაირი ცნობა ვერ მოვიძიეთ, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, რადგან მას ჩამწერები ზაგანის ბანაკში ჩაწერილი ჯგუფის ორგანიზატორად მოიხსენიებენ, ანსამბლური სიმღერის და, უფრო მეტიც, მისი სწავლების გარკვეული გამოცდილება ჰქონდა. ივივე შეიძლება ითქვას ვ. ხუბულავას, ა. კორკელიასა და ე. ყურავას შესახებ (ფუხჰაიმის ბანაკიდან), რომლებიც გასაოცარი ოსტატობით ასრულებენ მეგრულ, გურულ, ქართლურ, ქალაქურ სიმღერებსა თუ დასავლური კილოს საგალობელს.

მართლაც, დადგინდა, რომ რამდენიმე მათგანი —

გიორგი ყაზბეგის ოჯახი. ფოტო სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმიდან.

ვ.ხუბულავა, დ.გოგუაძე, კ. კანკავა, მ. ქირია, ს. გოგელია ან მომღერალი ოჯახიდან იყო, ან თავად იყო ცნობილი, როგორც კარგი მომღერალი. გრიგოლ ხორავას შთამომავლები კარგადაა ცნობილი ჟურნალ „მუსიკის“ მკითხველებისთვის – ვაჟი არჩილ ხორავა ხალხური სიმღერების შემკრები და შესანიშნავი ლოტბარი იყო, ხოლო შვილიშვილი ყველასათვის კარგად ცნობილი კომპოზიტორი რუსუდან ხორავა გახლავთ.

პროექტზე მუშაობა საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა. ბუნებრივია, საარქივო მასალების ხარისხი ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე კომერციული აუდიოგამოცემის მოთხოვნებს. ამავე მიზეზით, ძნელი აღმოჩნდა ტექსტების გაშიფვრა, ქართული და გერმანული ტექსტების შედარება, რაშიც ს. ციგლერიც აქტიურად იყო ჩართული. ნინო მახრაძეს კი ფონოგრამ-არქივის ხმის ინჟინერთან მუშაობა ბერლინშიც მოუხდა. პროექტის ბოლო ეტაპზე მუშაობაში ჩაერთო ნინო რაზმაძეც, რომელმაც წერილობითი დოკუმენტაციის აღწერილობა მოამზადა. წიგნზე ასევე მუშაობდა დიზაინერი შორენა ხომერიკი, ტექსტები ინგლისურად თარგმნა მაია კაჭკაჭიშვილმა, ხოლო ფოტოები გამოსაცემად დაამუშავა ლაშა ციხისელმა.

I მსოფლიო ომის 100 წლისთავზე გერმანელ ტყვეთა ბანაკებში ჩაწერილი სიმღერებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამომზეურება ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. ეს გამოცემა უთუოდ გაამდიდრებს ჩვენს ეროვნულ საგანძურს ხალხური სიმღერის აქამდე უცნობი ნიმუშებითა და ცნობილი სიმღერების ახალი ვარიანტებით.

ამ პატარა წიგნისა და თანდართული ორი დისკის ღირებულებას, ჩემი აზრით, ორი რამ განსაზღვრავს – იგი ბევრ საინტერესო მასალას მიაწვდის ქართული ტრადიციული მუსიკის მკვლევრებსა და შემსრულებლებს და ფართო საზოგადოებას გააცნობს იმათ სახელებს, ვინც მსოფლიოს დაანახა, რომ მრავალხმიანი სიმღერა ქართველთა იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ■

27 მარტსა და 7 აპრილს, თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზსა და რუსთაველის დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ხელვნების დამსახურებული მოღვაწის, გივი სვანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტები. პირველ კონცერტზე რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ვეკა სვანიძის (გ.სვანიძის ქალიშვილი) „ნიჭიერთა ათწლედის“ სხვადასხვა კლასის ათმა მოსწავლემ შესანიშნავად შეასრულეს დასავლეთ ევროპული და რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებები, 7 აპრილის კონცერტზე კი მონაწილეობა მიიღო ს.ცინცაძის სახ. სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა და „ნიჭიერთა ათწლედის“ საფორტეპიანო, სიმებიანი და სასულე განყოფილების მოსწავლეებმა. საღამოს უძღვებოდა მუსიკისმცოდნე რუსუდან წურწუმია, რომელმაც ფართოდ მიმოიხილა ცნობილი მუსიკოსისა და პედაგოგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი ფაქტი. ბ-ნი გივის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: თამაზ ბათიაშვილი, დოდო ცინცაძე, ალექსი შანიძე და პოეტი მზია ხეთაგური, რომელმაც თავის მოგონებასთან ერთად წაიკითხა გივი სვანიძისადმი მიძღვნილი ლექსი.

მოგონება გივი სვანიძეზე

ალექსი შანიძე

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე არსებულ ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრის მარცხენა სკვერის მოპირდაპირედ – ალ. ჭავჭავაძის აღმართს თუ აუყვებით, ამ მონაკვეთის II შესახვევი წარმოადგენს ძმები ზუბალაშილების ქუჩას. იგი XIX საუკუნის I ნახევარში წარმოქმნილა. თავდაპირველად მას არსენალის ქუჩა რქმევია, შემდეგ სასამართლოსი, მოგვიანებით – ტრიბუნალისა, ხოლო საქართველოს გასაბჭოების პერიოდში – ბოლშევიკ გ. ათარბეგოვის სახელი დაურქმევიათ. 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მეორედ მოპოვებისთანავე, მას მიენიჭა ქართველ მრეწველთა, მეცენატთა და ქველმოქმედი საგვარეულოს ღირსეული წარმომადგნლების – ძმები ზუბალაშვილების სახელი. ამ ქუჩის №42 სახლის მისამართზე, ჯერ კიდევ სულ რამოდენიმე თვის წინათ, მდებარეობდა სახელგანთქმული – თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლა, ე.წ „ნიჭიერთა ათწლედის“ ორი შენობა – თავის ძველებური ულამაზესი ისტორიული ბაღით, რომელშიც, დანგრეული ისტორიული შენობების ფონზე – დღემდე განმარტოებით დგას ვეებერთელა, ტანაშოლტილი ულამაზესი კვიპაროსის ხე. აქ მდებარეობდა ის სასწავლებელი, რომლის დაარსებიდან 80 წელი გავიდა და რომლის სხვადასხვა თაობის მრავალმა კურსდამთავრებულმა მსოფლიოს წარმატებით გააცნო ქართული მუსიკალური საშემსრულებლო სკოლის მაღალი მიღწევები.

1934 წელს, როდესაც ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი“, იგი მხოლოდ საფორტეპიანო და საორკესტრო (ვილინო, ჩელო) განყოფილებებისგან შედგებოდა. „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის“ ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ მუსიკოსსა და გამოცდილ პიანისტ-პედაგოგს ი.ს. აისბერგს. მას მხარში ამოუდგნენ კონსერვატორიის პროფესორები და ახალგაზრდა პედაგოგები. თუ პირველ წელს ჯგუფში მხოლოდ 17 მოსწავლე ჩაირიცხა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მათი რიცხვი 90-მდე გაიზარდა.

გივი სვანიძე

1938 წელს რესპუბლიკის მუსიკალური განთლების მთელი რიგი ცვლილებების განხორციელებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრად მომატების საფუძველზე, თბილისის კონსერვატორიასთან შეიქმნა – სრული საშუალო სამუსიკო სკოლა- ათწლედი (დღევანდელი ცენტრალური სამუსიკო სკოლა), რომლის ძირითად ბირთვს, ფაქტობრივად უკვე არსებულ 'ნიჭ!ერ ბავშვთა ჯგუფის" მოსწავლეები შეადგენდნენ.

პირველი სასწავლო წლის კონტიგენტი 180 მოსწავლით განისაზღვრა. შკოლის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა დაევალა მის დირექტორს – პროფესორ აკაკი ფაღავას. შემდგომ 1939-40 სასწავლო წლიდან სკოლის დირექტორად დაინიშნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი თაქთაქიშვილი, რომელმაც 9წლის განმავლობაში მეტად უნარიანად და ღირსეულად უხელმძღვანელა ამ სამუსიკო დაწესებულებას.

წელს, 2015 წლის ენკენისთვის ერთ-ერთი დღე გვევლინება იმ თარიღად, რომელიც სკოლის მდიდარ ისტორიაში განსაკუთრებულადაა აღსანიშნავი – ეს უკავშირდება 1949-66 წლებს, როდესაც დაუვიწყარი გივი გიორგის ძე სვანიძე გახდა სკოლის დირექტორი. წელს მას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ბ-ნი გივი გახლდათ ის პიროვნება, რომლის მრავალმხრივი მოღვაწეობის არსი მუსიკის სფეროში განაპირობა იმ ფასდაუდებელმა ეროვნულ კულტურაზე ზრუნვის ატმოსფერომ, რომელიც ბავშვობისა და მოზარდობის წლებში სუფევდა მის ირგვლივ.

იგი დაიბადა ქუთაისში 1915 წლის 10 სექტემბერს – ერთერთ განათლებულ და ინტელიგენტურ გიორგი სვანიძისა და ვერიკო რუხაძის – ოჯახში. გიორგი სიმონის ძე სვანიძე სპეციალობით გერმანისტი ყოფილა. მას დამთავრებული ჰქონია ლაიპციგის უნივერსიტეტი და გერმანულ ენას ასწავლიდა ქუთაისის I კლასიკურ გიმნაზიაში. მისი საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ვრცელ სამუშაო ოთახში ვეებერთელა ადგილი ეკავა პირად ბიბლიოთეკას, რომელშიც უმთავრესად გერმანული ლიტერატურისა და ფილოსოფიის წიგნები ჭარბობდა. ბ-მა გიორგიმ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ქართულ-გერმანული ლექსიკონი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ დიდ ქართველ მამულიშვილებთან – როგორებიც იყვნენ: ვუკოლ ბერიძე, დიმიტრი უზნაძე, სილოვან ხუნდაძე და სხვები. თანამედროვენი მას „ქუთაისის სინდისს" ეძახდნენ. სამწუხაროდ, იგი ახალგაზრდა – 40 წლის ასაკში გარდაცვლილა. ბუნებრივია, ასეთ გარემოცვაში აღზრდილი მისი ვაჟიშვილი ღრმად განიმსჭვალებოდა იმ ცხოვრებისეული დადებითი თვისებებით, რომელიც მომავალმა პიანისტმა შემდგომში უხვად გამოიყენა თავისი ცხოვრების 30 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი გივი სვანიძის ამ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელად მუშაობის დრო, ეს იყო „ნიჭიერთა ათწლედისათვის" მართლაც „ოქროს პერიოდის" დასაწყისი. ეს თავისებური მოვლენა წარმოიქმნა არა მარტო იმის გამო, რომ ბ-ნი გივის სკოლის თავკაცად მუშაობის ჩვიდმეტწლიანი პერიოდი ტოლფასი იყო იმ საშემსრულებლო-შემოქმედებითი ცხოვრების ვულკანის უძლიერეს ამოფრქვევისა, რომელიც დღესაც გრძელდება, არამედ ეს პროცესი იყო დემონსტრირება პედაგოგთა ბრწყინვალე კოჰორტის და ნიჭიერ მოსწავლეთა ინდივიდუალურ, მრავალფეროვან შესაძლებლობების მკაფიო გამოვლენისა.

დღეს, როდესაც ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში,

დირექტორის პოსტი – ეს ბევრისათვის პრესტიჟული თანამდებობაა, ჩემი ღრმა რწმენით, გამონაკლისთათვის დირექტორობა – ეს მოწოდებაა. ბ-ნი გივისათვის, სასკოლო დაწესებულების ხელმძღვანელობა მართლაც რომ მოწოდება გახლდათ.

ამას არაერთი მიზეზი ჰქონდა, რომელმაც ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა მისი მოღვაწეობის სამი სფერო: პიანისტ-სოლისტისა, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მრავალმხრივი მოღვაწეობისა და გარკვეულ პერიოდში – პიანისტ-ანსამბლისტის – კონცერტანტისა.

როგორც დამწყებმა პიანისტმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აღიარებულ პროფესორ ანნა თულაშვილის კლასში მან შეიძინა აკადემიური საფორტეპიანო განათლება და მასთანავე გაიარა ასპირანტურის კურსი. ამავე დროს, ბ-ნი გივი სისტემატიურად იღებს უაღრესად ღირებულ კონსულტაციებს XX საუკუნის რუსული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთ მამამთავართან, მოსკოვის კონსერვატორიის სახელგანთქმულ პროფესორთან – კონსტანტინე იგუმნოვთან. სტუდენტობის წლებშივე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის №8 და №9 სამუსიკო სკოლაში. რომელშიც მალევე აწიანურებენ სასწავლო ნაწილის გამგედ. შედგომში იგი ხდება №4 სამუსიკო სკოლის და ტექნიკუმის დირექტორი. 1945 წლიდან ბ-ნი გივი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრაზე. 1947-49 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების უფროსად. დაბოლოს, 1946 წელს გივი სვანიძე ძმებ შოთა (ვიოლინო) და კოტე (ვიოლენჩელო) შანიძეებთან ერთად აყალიბებს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებულ საფორტეპიანო ტრიოს. ეს ანსამბლი სოლიდური პროგრამის ათვისების შედეგად იწყებს ორწლიან აქტიურ საკონცერტო და საგასტროლო მოღვაწეობას საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში. პროგრამაში აქვთ დასავლეთ ევროპელ, რუს და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. გამოხმაურება პრესაში უაღრესად დადებითი და მრავლისმეტყველი იყო, რადგან მკაფიოდ ჩანდა სამივე ახალგაზრდა მუსიკოსის მონდომება და საქმისადმი დიდი სიყვარული. 1948 წლის

შოთა შანიძე, გივი სვანიძე, კოტე შანიძე

დასაწყისში ანსამბლი, სამწუხაროდ, დაიშალა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საფორტეპიანო ტრიოს წარმატებულმა კონცერტებმა, შემდეგი თაობის ქართველ მუსიკოსებს მისცა ის მძლავრი შემოქმედებითი ბიძგი, რომელიც 1956 წელს დაგვირგვინდა საქართველოს ფილარმონიასთან არსებული (1958 წლიდან სახელმწიფო) ახალი საფორტეპიანო ტრიოს ჩამოყალიბებით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ალექსანდრე ნიჟარაძე (შემდგომში რევაზ ასტახიშვილი) ფ-ნო, გარი ოქროპირიძე – ვიოლინო და ილარიონ ჭეიშვილი – ვიოლონჩელო, რომელმაც დიდი წარმატებით იარსება მრავალი წლის განმავლობაში.

ამ პერიოდიდან ნათელი გახდა, რომ ქართული მუსიკალური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს ორომტრიალში მონაწილეობამ და მკაფიოდ გამოკვეთილმა მიზანდასახულობამ, გივი სვანიძეს შესძინა ის უდიდესი გამოცდილება, რომელმაც შემდგომში განაპირობა მისი ლოგიკური წარმატება – როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე მუსიკალური სასწავლებლის ხელმძღვანელისა.

1949 წელს, როდესაც იგი დაინიშნა ზ. ფალიაშვი-

გივი სვანიძე, კოკა გუდიაშვილი, დავით (გუგული) თორაძე; უცნობი, ელეონორა ექსანიშვილი, თინათინ გოგოლაშვილი

ლის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის დირექტორად, მან თავის ირგვლივ უფრო მჭიდროდ შემოიკრიბა სკოლაში უკვე მომუშავე და სხვადასხვა სპეციალობის ახალ პედაგოგთა შემადგენლობა, რომლებმაც შემდგომში მრავალი წლის განმავლობაში გამოზარდეს საქართველოს ის მუსიკოს-შემსრულებლები, რომლებითაც იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი ერი. ესენი იყვნენ ფპ-ნოს პედაგოგები: პროფ. ა. ვირსალაძე, პროფ. ა. თულაშვილი, რესპ. დამსახ. პედაგოგი ე. ჩერნიავსკაია, პროფესორები: თ. ჩხარტიშვილი, ვ. შიუკაშვილი, მ. ევთიშვილი, თ. ჩარექიშვილი, ე. ექსანაშვილი, თ. ამირეჯიბი, ე. რუსიშვილი, რესპ. დამსახ. პედაგოგები: ს. გაბუნია, მ. აგლაძე, ე. მგალობლიშვილი ვ. თუმანიშვილი, ც. კარგარეთელი, ც. ფხაკაძე. ნ. მიასნიკოვი, რ. როჟოკი და სხვები.

საორკესტრო (ვიოლიონო) განყ-ბის პროფესორები: ლ. იაშვილი, ლ. შიუკაშვილი, შ. შანიძე, ი. ბერიძე, ნ. პოღოსოვი, გ. ხატიაშვილი, ა. ბეგალიშვილი (ალტის კლ), რ. ჯანდიერი, თ. ბათიაშვილი; პედაგოგები: ნ. რობიტაშვილი, გ. ოქროპირიძე, ს. სეგალი, დოცენტი ს. შანიძე, ი. გოგინაშვილი, ბ. გალკინი (ალტის კლ), ლ. კეკელია და სხვები.

ვიოლონჩელოს კლ. როფესორები: გ. თაქთაქიშვილი, გ. ბარნაბიშვილი, ა. ჩიჯავაძე, ი. ჭეიშვილი; რესპ. დამსახ. პედაგოგი თ. მელიქ-ნუბაროვა, გ. კირილოვი, ე. ისაკაძე და სხვები.

ამ სტრიქონების ავტორისა და სხვადასხვა თაობის მრავალ მოსწავლეთათვის დაუვიწყარია „ათწლედის“ სასწავლო ნაწლის გამგე ქ-ნი შურა თოდუა, არა მარტო იმის გამო, რომ იგი შესანიშნავად გვასწავლიდა მუსიკის ჰარმონიის საგანს, არამედ არაერთხელ დაგვინახავს ივი — თავისუფალ დროს სკოლის ულამაზეს ბაღში როგორი გულმოდგინებითა და სიყვარულით უვლიდა მის მიერ გაშენებულ ულამაზესი ყვავილნარის ბუჩქებს.

ასევე დღემდე ვერ ვივიწყებთ დამწყებ კლასელთათვის სოლფეჯიოს უბრწინვალეს მასწავლებელს — რესპ. დამსახ. პედაგოგს ქ-ნ ნინო ოცხელს (დიდი მხატვრის პეტრე ოცხელის და), რომლის უაღრესად უშუალო და შეუმჩნევლად მხიარული კონტაქტი ბავშვებთან, სრულად გვავიწყებდა ამ საგნის დაწყებითი ათვისების ზოგიერთ სირთულეს.

1950 წლის სექტემბრიდან, ისევ და ისევ ბ-ნი გივის მზრუნველობის შედეგად — მოსწავლეებთან სპეციალობის გაკვეთილების ჩატარება რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო, ქუჩის მხარეს არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის სამსართულიანი აგურის შენობის უკან, უწინდელი საბავშვო ბაღის შენობაში ოფიციალურად განთავსდა ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სკოლა-ათწლედის მუსიკალური განყოფილება.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ბ-ნი გივის ის ყოველკვირეული, უაღრესად ყურადღებიანი და სისტემატიური შემოწმება იმ კვების რაციონისა, რომლითაც

მარაგდებოდა „ათწლედის“ ინტერნატში მცხოვრებ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოყვანილ მოსწავლეთათვის განკუთვნილი სამზარეულო. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ იგი ხშირად მოითხოვდა ზემდგომი ორგანოებისაგან იმ საკვები პროდუქტების მოცულობის გაზრდას, რომელიც განკუთვნილი იყო ინტერნატელ მოზარდი-მუსიკოსებისათვის.

ამ სასწავლებლის დიდებული პედაგოგების თავდადებულმა შრომამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ 1949 წელს ყოფილი „ათწლედელი“ მარინე იაშვილი გახდა მოსკოვის კონსერვატორიის ქართველ სტუდენტთა შორის პირველი, რომელსაც ქ. პრაღაში მიენიჭა ი. კუბელიკის სახ. მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება, ხოლო 1956 წელს მარგარიტა ჩხეიძეს („ათწლედის“ პედაგოგი, პროფ. ა. თულაშვილის კლასი) ქართველ სტუდენტ-პიანისტთაგან პირველს ერგო ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის ვ.ა. მოცარტის სახ. პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის საპატიო წოდება.

აქ არ შემიძლია არ მოვიხმო ჟურნალ „თბილისელებში“ (№2, 02.06.2014) დაბეჭდილი, თბილისში დაბადებული და ასევე პროფ. ანა თულაშვილის მიერ აღზრდილი, თანამედროვეობის დიდი გერმანელი პიანისტის რუდოლფ კერერის შვილიშვილის, **ელზა კერერის** ინტერვიუს ერთ-ერთი ადგილი: *„ბაბუასთვის, როგორც თვითონ ყვებოდა, თბილისში გატარებული ბავშვობისა და სწავლის წლები — მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ხანა იყო. ის დაბადებიდანვე ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას და მთელი ბავშვობა თბილისის კონსერვატორიაში გაატარა. იგი 2013 წლის ოქტომბერში — ბერლინში გარდაიცვალა 90 წლისა და ბოლო წუთებამდე დიდი სიყვარულითა და ნოსტალგიით იხსენებდა ამ ქალაქსა და ხალხს“...*

ბ-ნ გივი სვანიძეზე დიდი სიამოვნებით მოგვაწოდა მოგონება ასევე ყოფილმა „ათწლედელმა“ პიანისტმა (რესპ. დამსახ. პედაგოგ ს. გაბუნიას კლ.), მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა, პროფესორ ი. ზაკის ასპირანტმა, „ათწლედის“ ყოფილმა დირექტორმა (2005-2012 წლებში) ცნობილმა პედაგოგმა **ნინო მამრაძ**ემ: *„ვერ დავივიწყებ, როგორი პასუხისმგებლობით უსმენდა ბ-ნი გივი ყველა მოსწავლეს. გამომსვლელის შესაძლებლობებისა და ნაწარმოებების შესრულების ხარისხის მისეული შეფასება იყო მუდამ ობიექტური და გამომდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლის ინტერესებიდან. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია ჩვენს სფეროში, რადგან მოსწავლეები ეუფლებიან პროფესიას, რომელიც უწყვეტად არის დაკავშირებულია კონკურენტულ გარემოსთან. ვფიქრობ, ბევრ ჩვენთაგანს მან შესძინა საკუთარი თავის რწმენა და გაუმყარა მოტივაცია თავისი გულწრფელი, პატიოსანი და ჰუმანური დამოკიდებულებით“.* აღსანიშნავია, ცნობილი მევიოლინეს, პროფესორ როდამ ჯანდიერის გამონათქვამი: *“ როდესაც მე, 1961 წელს, ბაქოში ჩატარებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკოს- შემსრულებელთა კონკურსზე მოვიპოვე პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება — ბატონი გივი ამით უზომოდ ამაყობდა და ხშირად ამბობდა, რომ მე ვიყავი ერთერთი პირველი მოსწავლე, რომელმაც “ათწლედის” სახელით მოიპოვა ლაურეატის საპატიო წოდება.”*

გივი სვანიძე მეუღლესთან და შვილთან, ვეკა სვანიძესთან ერთად.

გ.სვანიძეს დიდი სიყვარულით იხსენებს „ნიჭიერთა ათწლედის“ ამჟამინდელი დირექტორიც, რესპუბ-

ლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი **ნოდარ ჟვანია**:„*გამორჩეული პიროვნება, შესანიშნავი მუსიკოსი, პიანისტი. იგი ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო — პედაგოგებისათვის თუ მოსწავლეთათვის. ბ-ნი გივი არაჩვეულებრივად ხელმძღვანელობდა „ნიჭიერთა ათწლედს“, მასთან არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას და ინტერნატს. მისი დირექტორობის პერიოდში არაერთმა, შემდგომში სახელოვანმა მუსი-*

მარცხნიდან მესამე გივი სვანიძე.

კოსმა, დაამთავრა „ნიჭიერთა ათწლედი“. პირადად მე განსაკუთრებული გრძნობა მაკავშირებდა ბატონ გივისთან, იგი ჩემი მშობლების მეგობარი იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა ბავშვთან ერთნაირად უშუალო და გულისხმიერი იყო. ნებისმიერ საკითხზე მივმართავდით ჩვენს დირექტორს და ისიც მუდამ გაგებით ეკიდებოდა ყველა ჩვენ მოთხოვნასა და პრობლემას. არასოდეს გაგვიგია მისი ხმამაღალი სიტყვა და ყველას გვახსოვს თუ როგორ დამაჯერებლად, დინჯად და წყნარად დაგვარიგებდა ხოლმე. გივი სვანიძე მოსწავლეებს გვიყვარდა და პატივს ვცემდით. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პედაგოგებთან. ამიტომაც, არასოდეს დაგვავიწყდება მისი ამაგი“.

ამრიგად, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ამ მუსიკალურ საშემსრულებლო აფეთქებას მოჰყვა ის შეუჩერებელი საერთაშორისო რეზონანსის შთამბეჭდავი გამარჯვებები, რომელიც მოიპოვეს დღეს უკვე საყოველთაოდ აღირებულმა, „ნიჭიერთა ათწლედში“ აღზრდილმა მუსიკოსებმა: მარინე გოგლიძე-მდივანმა, ელისო ვირსალაძემ, დიმიტრი ბაშკიროვმა, ლეო ვლასენკომ, ლიანა ისაკაძემ, თამარ გაბარაშვილმა, ციალა კვერნაძემ, ნანა იაშვილმა, ეთერ ანჯაფარიძემ, ლექსო თორაძემ, ალექსანდრე კორსანტიამ, ლიზიკო ბათიაშვილმა, ხატია ბუნიათიშვილმა და მრავალმა სხვამ.

ეს პროცესი შეუჩერებელი აღმოჩნდა და დღესაც გრძელდება.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეს, დოცენტ გივი სვანიძეს მრავალწლიანმა და მრავალმხრივმა დაუღალავმა შრომამ საგრძნობლად შეურყია ჯანმრთელობა, რასაც 1966 წლის 15 ნოემბერს, 50 წლის ასაკში, გულის უკმარისობის გამო მისი გარდაცვალება მოჰყვა... შეიძლება თამამად ითქვას რომ იგი ზვარაკად შეწირა ქართულ სამუსიკო პედაგოგიურ საშვილიშვილო საქმეს. მას არაერთი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. მრავალ დამწუხრებულთა შორის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტმა, ამჟამად ამავე

რუდოლფ კერერი

ნიჭიერთა ათწლედი. ცენტრში გივი სვანიძე პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად.

კონსერვატორიის პროფესორმა, ნათელა კვირკველიამ — თავისი ღრმა პატივისცემა გარდაცვლილ პედაგოგისადმი იმით გამოხატა, რომ არ ისურვა სხცა პედაგოგის კლასში გადასვლა და კონსერვატორიის დამთავრებისას, სახელმწიფო გამოცდაზე მთელი სადიპლომო პროგრამა შეასრულა თავისი სათაყვანებელი პედაგოგის სახელით.

სასიამოვნო ფაქტია, რომ მამის კვალს ღირსეულად ავრძელებს მისი ქალიშვილი — რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ქ-ნი ვეკა სვანიძე. მან თბილისის კონსერვატორია დაამთავრა პროფ. გიზი ამირეჯიბის ხელმძღვანელობით. ქ-ნი ვეკა წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეებთან და სისტემატიურად მართავს საკლასო კონცერტებს, რომელზეც შესანიშნავად მომზადებული მოსწავლეები გამოირჩევიან ნაწარმოების აკადემიური შესრულების მაღალი დონით. მისი არაერთი მოსწავლე გამხდარა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების I ადგილისა და „გრან-პრი“-ს მფლობელი, რომელთა შორის არაერთმა შემდგომში წარმატებით გაავრძელა სწავლა და მოღვაწეობა მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ კონსერვატორიებში, კერძოდ: მარინე ნადირაძე ამჟამად მოღვაწეობს დიდ ბრიტანეთში, როგორც პიანისტი და პედაგოგი, ანანო გოკიელი — ბერლინის UDK კონსერვატორიაში; ვახტანგ ჟორდანიამ — ვენის კონსერვატორიაში განაგრძო სწავლა, ცოტნე ცოცხალაშვილმა – ქალაქ ბოსტონის „ნიუ ენგლანდის“ კონსერვატორიაში;

დაბოლოს, შევთხოვოთ უფალს, რათა ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის — „ნიჭიერთა ათწლედის“ ყოფილი შენობების ნანგრევებთან განმარტოებით მდგარი ვეებერთელა, ცადაშოლტილი და ულამაზესი კვიპაროსის ხეც არ შეეწიროს მავანთა მიერ მომავლისათვის ჩაფიქრებულ მშენებლობას.

ამინ!..

საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი

2015 წლის 15-27 აპრილს თბილისში გაიმართა საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა რიგით მეექვსე კონკურსი. იგი სათავეს 1995 წლიდან იღებს და ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. აღსანიშნავია, რომ წელს ამ კონკურსს დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა და ამ ხნის განმავლობაში გამოიკვეთა მისი როლი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, იგი წლების განმავლობაში დიდი სტიმულის მიმცემი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ მთელი საქართველო არის ჩართული, ჩვენი ქვეყნის ყველა მცხოვრებს საშუალება ეძლევა თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნების. ისიც საგულისხმოა, რომ კონკურსის ყველა გამარჯვებული დღეს სა-

კონკურსის გახსნა

ვოკალისტების ჟიური. სხედან მარცხნიდან: ირენა მილკიავიჩუტე, გაღრი მაისურაძე, მზია ნიორაძე; დგანან: ზაზა აზმაიფარაშვილი, თეიმურაზ გუგუშვილი.

ერთაშორისო მასშტაბის შემსრულებელია.

კონკურსი ტრადიციულად ჟიურის წევრების კონცერტით გაიხსნა. მის შთამბეჭდავ მხარეს წარმოადგენდა ასევე ჟიურის წევრების მიერ გამართული მასტერკლასები.

წელს კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდა. მონაწილეობის მიღება შეეძლო 16-დან 30 წლამდე ასაკის საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს. წარმოდგენილი იყო შემდეგი სპეციალობები: ფორტეპიანო, სოლოსიმღერა, სიმებიანი საკრავები, ჩასაბერი საკრავები. ამასთან ერთად, დამსწრეთ საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ნორჩ კონკურსგარეშე შემსრულებლებს.

კონკურსანტებს თითოეულ კატეგორიაში ხუთი წევრისაგან შემდგარი ჟიური აფასებდა, რომელიც როგორც ქართველი, ავრეთვე უცხოელი მაღალი რანგის პროფესიონალი მუსიკოსებისაგან იყო დაკომპლექტებული.

დაარსების დღიდან საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და თბილისის მერიის ხელშეწყობით იმართება, მისი გენერალური სპონსორია თიბისი ბანკი, ავრეთვე არაერთი კომპანია, კერძო პირი, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების საელჩოები კი სპეციალურ პრიზებს აწესებენ კონკურსგარეშე ნორჩი მუსიკოსებისთვის. საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის დირექტორის, ქ-ნი მანანა დოიჯაშვილის თქმით — „კონკურსში მონაწილეობა ახალგაზრდა მუსიკოსისათვის მნიშვნელოვანი ეტაპია მისი შემოქმედებითი ზრდისათვის. როგორც წესი, კონკურსის შედეგებით კმაყოფილები მხოლოდ პირველი პრემიის ლაურეატები არიან, მაგრამ ჩვენს პროფესიაში რეალური გამარჯვებულები ისინი არიან, ვისაც შესწევს უნარი რეალურად შეაფასონ თავისი დღევანდელი

კონკურსის დახურვა და დაჯილდოება.

პროფესიული დონე, შესაძლებლობები, მომზადება, გამოიტანონ დასკვნები და სამომავლოდ გამოიყენონ კონკურსში მიღებული გამოცდილება თავიანთი პროფესიული დაოსტატების გზაზე“.

ნოდარ ნაკაიძე (ფორტეპიანოს სპეციალობის ჟიურის წევრი): ეს კონკურსი თავისთავად არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, შესანიშნავად ორგანიზებული, მაღალ სტანდარტებს მისადაგებული. დასანანია, რომ თანდათან კლებულობს მონაწილეობის მსურველთა რიცხვი. შეიძლება ფიქრობენ, რომ ძნელია და აღარ რისკავენ. წელს საფორტეპიანო კატეგორიაში მხოლოდ თორმეტმა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ თორმეტივე ძლიერი იყო. განსაკუთრებით ერთმა დამაინტერესა, რომელიც, შეიძლება ითქვას, უკვე მუსიკაში ცხოვრობს. მან გამოამჟღავნა იმპროვიზაციის უნარი, რაც აქვთ დიდ მუსიკოსებს, მაგრამ ვერ მიიღო I ადგილი და სწორედ ეს არის კონკურსი! —რატომ ვერ მიიღო? – სწორედ იმპულსურობის გამო. I ადგილი მართლაც ღირსეულმა კონკურსანტმა აიღო, აქ უფრო აკადემიური მხარე სჭარბობდა. საერთო ჯამში კი ყველაფერი კანონზომიერად მოხდა.

თემურ გუგუშვილი (სოლო სიმღერის სპეციალობის ჟიურის წევრი): ძალიან კარგია, რომ ტარდება ამგვარი კონკურსები. ჟიურის წევრებს იწვევენ სხვა ქვეყნიდან, ალბათ, იმიტომ, რომ მიკერძოებას არ ჰქონდეს ადგილი. ამ კონკურსმა აჟიოტაჟი გამოიწვია. გარშემო გვეკითხებოდნენ, — თუ რატომ არ გავეცით პირველი პრემია — თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ ასე მომხდარიყო. ისედაც უკმაყოფილება გამოთქვა საერთო დონით, მაგრამ, ჩემი აზრით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზრდასრულებთან არა გვაქვს საქმე. ბავშვებს არ უნდა მოვთხოვოთ ის, რასაც მოვთხოვთ უკვე ჩამოყალიბებული მომღერლებს. ასე რომ, იყო უსიამოვნო ნიუანსებიც, მაგრამ ამგვარი სიტუაციები კონკურსებს ახასიათებს და ცხოვრებაც ეს არის. ამ გადასახედიდან, ალბათ, ყველაფრი ისე

უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა.

შავლეგ შილაკაძე (სიმებიანი საკრავების სპეციალობის ჟიურის წევრი): ეს კონკურსი დიდი სტიმულია, ახალგაზრდების წინსვლას ძალიან უწყობს ხელს. თუმცა იმედგაცრუებასაც ხშირად აქვს ადგილი. ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი რეალურად არ აფასებს თავის შესაძლებლობებს. სიმებიან განყოფილებაში თავიდანვე გამოიკვეთა ორი ჩელისტი და ორი ალტისტი. ისინი თავიდანვე ლიდერობდნენ და ბოლომდე გავიდნენ. ვიოლინოების დონე საშუალო გახლდათ. სანდრო სიდამონიძის (I პრემია, ჩელო) შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი დონე აღემატებოდა საერთოს, სხვებიც მოდიან კარგები. ძალიან დამწყდა გული, რომ ერთი ნამდვილად ნიჭიერი კონკურსანტი ქულებით ვეღარ გავიდა შემდეგ ტურში, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ბრალია. არ შეიძლება ვინმეს უფრო უხაროდეს კონკურსანტის წარმატება, ვიდრე ჟიურის წევრს. ჟიური ხშირ შემთხვევაში არის კეთილმოსურნე. ამჯერად ჟიურის კეთილმოსურნეობას ადასტურებდა ის, რომ საერთო განხილვის გარეშე მაინც შედგა ერთსულოვნება.

ომარ მინდორაშვილი (ჩასაბერი საკრავების სპეციალობის ჟიურის თავმჯდომარე): პირველ რიგში მინდა კმაყოფილება გამოვთქვა საერთო ატმოსფეროს გამო. კონკურსის საერთაშორისო სტანდარტიდან გამომდინარე ჟიურის მუშაობის ფორმატს აღარ წარმოადგენს საერთო მსჯელობა და აზრის გამოტანა, როგორც ადრე იყო. ახლა ჟიურის ყველა წევრი წერს შეფასების თავის ქულას და ხდება შეჯერება, ამიტომაც ყველა დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. თუმცა შეიძლება აუდიტორიის მხრიდან გაჩნდეს უკმაყოფილება, ისინი შეიძლება სხვა შედეგს ელოდნენ. ამ შემთხვევაშიც ჰქონდა ადგილი ამდაგვარ რეაქციებს. მაგრამ როგორც ქ-ნი მანანა დოიჯაშვილი ბრძანებს – კონკურსზე მხოლოდ I პრემიის ლაურეატი რჩება კმაყოფილი. – ამ დროს კონკურსი ლატარეაა, არტურ რუბინშტეინისთვის არ მიუციათ I პრემია. საერთოდ გამოჩნდა, რომ კარგი თაობა მოდის. მთავარია, ახალგაზრდებს გზა ხსნილი ჰქონდეთ ჩვენს ქვეყანაში, თორემ სულ გაქცევაზე არიან.

რევაზ ხაინდრავა. კონკურსგარეშე მონაწილე.

ნუნუ გაბუნია

თამარ მესხი

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებებისა თუ საოპერო პარტიების ნიჭიერი შემსრულებელი, ,,დიდა ვოი ნანა-ს" უჩინარ შემოქმედთა ერთ-ერთი სანაქებო

თანამედროვე ქართულ ვოკალურ მუსიკას მისი რჩეული სიმღერების სახით (,,ქვეყანა ჩემი მგონია", ,,გაზაფხულზე შენთან მოსვლას დავაპირებ", ,,ბედის ვარსკვლავი", ,,მეორე ლეგენდა", ,,აბა მითხარ სად წავიდე", ,,გამახარე", ,,ავე მარია", ,,ოღონდ მენდე", ,,ის

შთამომავალთაგანი – აი, ნუნუ გაბუნიას პორტრეტის ძირითადი კონტურები. მან ცოტას გაკეთება როდი შეძლო. საკმაოდ საინტერესო და არაერთგვაროვანი მემკვიდრეობა შესძინა ქართულ პროფესიულ მუსიკას და საზოგადოებრივ ასპარეზზეც არაერთ საქმეში შეიტანა თავისი წვლილი. იყო საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის რედაქტორი, სოლისტი და მუსიკალური კოლექტივების გენერალური დირექტორი, კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, მაგრამ მისი სახელი მაინც ქართულ ლირიკულ სიმღერასთან ასოცირდება. ძნელია, არ დაიჩრდილო და მსმენელის აღიარება მოიპოვო ამ ჟანრის მაღალნიჭიერ შემოქმედთა ქვეყანაში. სახელმოხვეჭილ ავტორთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედმა მარადიული ქართული მუსიკალური ფენომენი ეროვნული სიდიადით ნათელჰყო.ამიტომაც, მშვენიერი ჰანგებისაკენ მიმავალი გზა იოლი არ ყოფილა ნუნუ გაბუნიასათვის, ვიდრე ივი სიმღერის ჭეშმარიტ დიდოსტატთა კოჰორტას ადევნებულ ზოგიერთ ენთუზიასტ კოლეგათაგან განსხვავებით კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებდა.

სიყვარული სად დაიკარგა" და სხვ. შემოუერთდა მნიშვნელოვანი ნაკადი, რომელშიც მშობლიური კულტურისადმი სათუთი დამოკიდებულების, მოწიწების, ამასთან მუსიკალურ-მხატვრული პირველწყაროს ძირეული გარდასახვის და სიახლისაკენ ლტოლვის საინტერესო შეჯერება მოხდა. მისი მუსიკალურ-სამეტყველო სტიქია ზოგადქართული სახეობრივ-ინტონაციური წყობის მქონეა, რამდენადაც ტრადიციული ძარღვის პულსაცია მასში მე-20 საუკუნის ენობრივ-ჰარმონიული ტენდენციებისაკენ სწრაფვას ერწყმის.

კომპოზიტორი გვერდს უქცევს ფოლკლორიზაციის, ასევე მდიდარი ხალხური წიაღიდან აღმოცენებულ მხატვრულ ნიმუშთა სხვადასხვა ვარიანტების საკუთარ ნააზრევთან მექანიკური ,,სელექციის" ხერხებს. გამორიცხავს ფოკლორულ ნიმუშთა მუსიკალურ-ესთეტიკური მოდელების ციტირებას. ამავდროულად, მისი ახლონათესაური კავშირი ტრადიციულ ფესვებთან ორგანული, სისხლხორცეულია. მის მუსიკაში არ იკვეთება ქრონოლოგიურად დაშორებული ეპოქების არქაული პლასტებისათვის ტიპური მუსიკალურ-მხატვრული კომპონენტები. მაგრამ უძველესი ფოლკლორული მეტყველების დამახასიათებელი ნორმე-

ბისგან პოლარული განსხვავებულობის მიუხედავად, მისი მელოსი ეროვნული ჟღერადობით გამოირჩევა და უხვადაა ქართული კოლორიტით, განსაკუთრებით კი ქალაქურ სასიმღერო ლირიკასთან მჭიდროდ გადაჯაჭვული ინტონაციური გამომსახველობით გაჯერებული. იგი სრულიად განახლებულად წარმოალაქური მრავახმიანობისათვის ნიშანდობლივი ლირიკულ-ინტიმური ხასიათი, სუბიექტური მოტივებისა და თემების განუწყვეტელი ვარიაციები, გამომსახველობითი სისადავის მქონე ჰანგებზე დამყარებული, უმეტესად ტერცია-სექსტური თანაფარდობის ხმათა ურთიერთმიმართება ახასიათებთ. გარკვეულ ნიმუშებში

ნუნუ გაგუნია, მიხეილ ჭიაურელი.

ჩენს ქართული სასიმღერო მუსიკის სტილურ მახასიათებლებს. ოსტატურად, პროფესიული სიფრთხილითა და ამავე დროს შემოქმედებითი სითამამით ძერწავს ქართული ქალაქური მუსიცირების გარემოში ჩამოყალიბებულ მელოდიურ სახეებსა თუ ჰარმონიული ფუნქციების ნაირფეროვნებას. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელთ დასავლურ განშტოებად წოდებული ქა-

თავს იჩენს ქალაქური მუსიკის მეორე ე.წ. თბილისური ტიპის ერთხმიანობის ჟღერადობა, ქალაქური ყაიდის მსუბუქი, სახასიათო, ლაღი ინტონაციები, რომელთა მელოდიური ქსოვილი მკვეთრ რიტმულ ჩარჩოებსა და მწყობრად კრისტალიზებულ არქიტექტონიკასთანაა შერწყმული.

გაბუნიას ნაწარმოებები ყურადღებას იქცევს პოე-

ნუნუ გაბუნია, მაყვალა ქასრაშვილი.

ტური სახეების უშუალობით ნათელი თემატიზმით, ფაქიზი მღერადობით. მისი მუსიკა იმდენად ზოგადი და ამავდროულად, იმდენად პირადულია, რომ მსმენელი მას საკუთარ ემოციად აღიქვამს. აუდიტორიას მოსწონს მისი ,,მუსიკა გულისათვის", რომელშიც ავტორის ხალასი ნიჭიერება ყოველგვარი ,,ფერუმარილის" გარეშეა წარმოჩენილი.

მეოცე საუკუნის ახალი ინტერნაციონალური კავშირების კულტურული მიღწევებისა და ზოგად ნაციონალურ მოდიფიცირებულ მხატვრულ ნიშან-თვისებათა სიმბიოზი თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნოლოგიურ საშუალებებთან მთელი სიცხადით ავლენს ავტორის პროფესიულ საზრისს, შემოქმედებით ესთეტიკასა და სტილის ინდივიდუალობას. ამ მხრივ განცალკევებით უნდა გამოვყოთ ,,ავე მარია", რომელიც თვით კომპოზიტორს განსაკუთრებით ეძვირფასება. ეს ნაწარმოები ლუიჯი ქერუბინის, ფრანც შუბერტის, იოჰან-სებასტიან ბახი-შარლ ჰუნოს, ჯ. კაჩინის, ჯუზეპე ვერდის, ბიზესა და სხვა ავტორთა მიერ შექმნილი მსოფლიოს საუკეთესო ერთსახელიანი სიმღერების კრებულშია შეტანილი. გაბუნიას ,,ავე მარია" ყოელწლიურად სრულდება ვენის ,,კონცერტ ჰაუზში" საშობაო საღამოზე ტრადიციულ ლათინურ ტექსტზე, ვენის ფილარმონიულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ასევე სასწავლო პროგრამაშია შესული ვენისა და რომის კონსერვატორიებში. წარმატებით სრულდება ევროპის მრავალ ქვეყანაში – საფრანგეთში, პოლონეთში, შვედეთში, გერმანიაში, ლატვიაში, ლიტვაში და აშშ-ს სხვადასხვა ქალაქებში.

ცნობილი და უცილობელი ჭეშმარიტებაა – სიმღერაში მელოდიაა მთავარი. გაბუნიას სასიმღერო კომპოზიციები ვოკალური მღერადობის წვდომის უნარითაა აღბეჭდილი. მისი ნაწარმოებებისათვის უცხოა უკვე მოსინჯული ინტონაციური ბრუნვების ,,ტრიალი". მელოდიურობის ფაქტორის წამყვანობასთან ერთად მათში თვალსაჩინოა ვოკალური ხაზისა და ინსტრუმენტული თანხლების ოსტატური, გააზრებულ ფაქტურული დამუშავება. ტრადიციული მეტრო-რიტმული ფორმულებისა თუ ტონიკა-სუბდომინანტა-დომინანტური ფუნქციების არატერციული სტრუქტურის გართულებულ ჰარმონიულ ვერტიკალებად გარდაქმნა.

ნუნუ გაბუნია დაჯილოდებულია ლირიკული წარმოსახვის უნარით, რაც მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ორგანული ატმოსფეროა. მის მუსიკაში ლირიკული განცდის გაბატონება სახეობრივ-შინაარსობრივი დიაპაზონის ერთგვარ შეზღუდვას, მძაფრი კონტრასტებისა და დრამატული კოლიზიების უკმარისობას განაპირობებს, თუმცა ყოველივე ეს ლირიკული საწყისის სხვადასხვა რაკურსში წარმოსახვით არის კომპენსირებული. სიყვარულის გრძნობა განფენილია ცხორებისეული სინამდვილის უამრავ კონკრეტულ ფორმაში. სიცოცხლე, თავისი ნაირფეროვნებით, მას სიკეთისა და სიყვარულის განსახიერებად წარმოუდგენია. თავისი მრწამსით იგი შორსაა ეთიკური განურჩევლობისაგან. ეს გრძნობა მარტო ჭვრეტისა და მისით ტკბობის საგანი კი არა, არამედ მისი გაგების ქვაკუთხედი, ეთიკური მწვერვალია.

გაბუნიას შემოქმედება რომანტიკულად ამაღლებული და კლასიკურად გაწონასწორებულია. იგი ცდილობს სრულყოფილად გამოხატოს „მიწისა" და „ცის" – რეალისტურისა და რომანტიკულის ურთიერთგამსჭვალავი მთლიანობა. ლირიზმის ფართო ხედვა მან სამყაროს მხატვრული გააზრების სხვადასხვა ჭრილში შემოგვთავაზა. ლირიკული ელემენტი ზოგჯერ ზნე-

ობრივ-სოციალური ხასიათის კონტექსტშიც კი არის წარმოდგენილი („ზღვა და სივრცე“, „თეთრი თოლია“). მის მუსიკაში არც პატრიოტულ-მოქალაქეობრივი ტონი დუნდება („საქართველოს ცა“, „სიმღერა წინანდალზე“, „სიმღერა სამშობლოზე“ და ა.შ.)

სამშობლოს სიყვარული მის ცნობიერებში საქართველოს ბუნების მშვენიერებასთან არის გაიგივებული, მაგრამ როგორც არ უნდა უმღეროს ხელოვანმა ზეცას თუ ყვავილებს, თუ იგი კაცთმოყვარე-ჰუმანისტი არ არის, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, არაფერი საერთო არ ექნება ერის ჭეშმარიტ ზნე-ხასიათთან, რომელიც სულმნათი პოეტის პირით ღაღადებს — ,,რასაცა გასცემ, შენია“. სწორედ ამ თვისებით გამო მას ,,დედა ტერეზაც“ კი შეარქვეს.

მაღალი ეპითეტებითაა შემკული მრავალი შემოქმედის შთაგონების ქალაქი თბილისი. კომპოზიტორს ორ ათეულზე მეტი სიმღერა აქვს შექმნილი ქვეყნის დედაქალაქზე. ეს ლირიკული ოდებია, რომლებიც გარკვეულ ემოციურ სიმძაფრესა და პათეტიკურ გზნებას, ზოგიერთი ნიმუში კი თბილისური ბოჰემის ,,ეშხიან“ კოლორიტს წარმოსახავს.

ჰარმონიულ ფერთა ნაირგვაროვნებით, ინტიმური სიფაქიზითა და გულითადობით გაჟღენთილი, მდიდარი, მრავალშრიანი პლასტებისა და შინაგანი სიღრმის მქონეა სააკვნე სიმღერების (,,ნანა“) ენა, მისთვის დამახასიათებელ სენტენციურ-დიდაქტიკურ ტექსტებში ჩაქსოვილი მამულის სიყვარულით.

ნუნუ გაბუნიას სასიმღერო ლირიკა ქართველი პოეტების ლექსებით იკვებება. განთქმულ ავტორთა სტრიქონების გვერდით მისთვის ზოგჯერ ნაკლებად ცნობილი პოეტის ლექსიც ბიძგის მიმცემი ხდება საგულიხმო ვოკალური ნაწარმოებების შექმნისას. გაბუნიას სიმღერები დაწერილია აკაკის, კოლაუ ნადირაძის, მორის ფოცხიშვილის, მიხეილ ქვლივიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, პეტრე გრუზინსკის, მაყვალა გონაშვილის, დოდო გვიშიანის, ლადო ბახტრიონელის, ნანა ცინცაძის, ასევე გია ჯოხაძის, ლია ახობაძის, ცირა კაკაბაძის, ნატო ზაქარეიშვილის, მაკა ბლიაძის და სხვათა ლექსებზე. სიმღერა ერთ-ერთი წამყვანი, მაგრამ არა ერთადერთი ჟანრია ნუნუ გაბუნიას შემოქმედებაში. მის კალამს მსხვილი ფორმის არა ერთი ნაწარმოები ეკუთვნის. მათ შორის ჯიმშერ მუჯირის ლიბრეტოს მიხედვით შექმნილი საბავშვო ოპერის ,,ზამთრის სიზმარი“. ასევე კამერული ოპერის ,,იმპრესარიო კანარის კუნძულებიდან” (ვლადიმერ დვორკინის ლიბრეტო, პრემიერა სვერდლოვსკში 1987წ.) პარტიტურები. ამ ჩამონათვალშია ბალეტები: ,,ქალიშვილი შავებში“ (ბორის პურგალინის ლიბრეტო მაქსიმ გორკის ,,იტალიური ზღაპრების“ მიხედვით), ,,სიყვარულის ტაძარი„ (ნუნუ გაბუნიას ლიბრეტო), ოპერეტები: ,,გაყრა„ გიორგი ერისთავის პიესის მიხედვით, ,,პროვინციელი ქალიშვილები„ კიტა ბუაჩიძის პიესის მიხედვით, ,,ნანა მღერის სიყვარულზე“ (ბორის პურგალინის ლიბრეტო), ,,კინტო„ (ვახტანგ გოგოლაშვილის ლიბრეტო აკაკის პიესების მიხედვით), მიუზიკლები: ,,ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (ლევ უსტინოვისა და ოლეგ ტაბაკოვის ლიბრეტო), ,,ბუ და პატარა ობობა” (თამაზ მეტრეველის ლიბრეტო), ,,კონკია“ (ვ. ძიგუასა და ლ. თაბაგარის ლიბრეტო და რეჟისურა), ,,დედის წინ რომ კვიცი გადახტება“ (ლია ძიძიგურის ლიბრეტო), ,,ფიფქიას სკოლა“ (ლანდაუს პიესა).

მუსიკა დრამატული თეატრების სპექტაკლებისათვის (,,ადამიანი დაბრუნდა“, ,,სად ხარ, ჩემო მებაღეო“, ,,ნერონი“, ,,მუხები“, ,,ტრამალი“ და ა.შ.)

მუსიკა ფილმისათვის ,,წითელი პატეფონი“, ასევე მულტფილებისათვის (,,მონადირენი“, ,, ყოჩაღი ბაკურის თავგადასავალი“, ,,სახლობანა“, ,,კალეიდოსკოპი“, ,,ლურჯა“, ,,ბულბულის იუბილე“ და სხვ.)

სიუიტები სიმფონიური ორკესტრისათვის — ,,თბილისობა“ ანუ ,,ძველი თბილისის სურათები“, საცეკვაო სიუიტა, ორი საბალეტო სიუიტა, კუვეიტური ჩანახატები, სიმღერები, რომანსები, საფორტეპიანო და ინსტრუმენტული მუსიკა.

ნუნუ გაბუნიას პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებანი ბავშვობის წლებს, ოჯახურ გარემოს უკავშირდება, მაგრამ შემოქმედებითი წრთობის თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა ეტაპებზე გამოჩენილ მაესტროსთან — პროფ. შალვა მშველიძესთან, შემდეგ პროფ. იონა ტუსკიასა და პროფ. ალექსანდრე შავერზაშვილის საკომპოზიციო კლასებში, ხოლო ვოკალური განხრით პროფ. ვერა დავიდოვასთან მეცადინეობა.

ომის შემდგომი პერიოდის ახალგაზრდობაზე, მათ შორის მომავალ კომპოზიტორზეც უდიდესი გავლენა იქონია მუსიკამ პოპულარული ფილმებიდან დინა დურბინის, ჯენეტ მაკდონალდის ნელსონ, ედის, მოგვიანებით კი ლოლიტა ტორესის სიმღერებმა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სასიმღერო ხელოვნებისკენ მისწრაფება. და ასე, სიმღერას სიმღერა მოჰყვა. თანთადან კი იგი ცხოვრებისა და შემოქმედებით გზის განუყრელ თანამგზავრად იქცა.

ამ კუთხით საგაგებოდ უნდა აღინიშნოს 1979წ. დიდ თეატრში ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში „მთვარის მოტაცება“ მის მიერ თამარის პარტიის წარმატებული შესრულება. აღნიშნულ ფაქტს არაერთი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ თუ რუსულ პრესაში. გაზეთ «Советская Культура»-ში. ს. ზავოროტინა წერდა «Насыщенный драмматизмом великолепный голос, академическая школа помогли певице завоевать признание московского зрителя. Артистизм, вдохновение, знание Грузинского фольклора придали образу Тамар в трактовке Н. Габуния особое очарование. Большой успех разделил с Габуния артист И. Шушания*».

ნუნუ გაბუნია ჩინებულად ასრულებდა როგორც საკუთარ, ისე სხვა ავტორთა ვოკალურ კომპოზიციებსაც. მახსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა კლასელების მხიარულ თავშეყრაზე. ლამაზი წყვილის, იშვიათი ხიბლის მქონე გულისწორთა შემოერთებამ, მერე ნუნუს მიერ ტორესის სიმღერების მგზნებარე შესრულებამ, თუ მისი მომავალი მეუღლის გოჩა აბაშიძის არტისტულმა მინი-ექსპრომტებმა ყველა ერთიანად მონუსხა. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობ-მეგობრობაც, რამაც კარგა ხანს გასტანა, მაგრამ ზოგჯერ ახლო ურთიერთობას მოულოდნელი პაუზები, გაუცხოება, ან ძნელად ასახსნელი გაუგებრობებიც ენაცვლება ხოლმე... თუმცა, ცხოვრებისეულ ნიუანსებზე, ბიოგრაფიულ დეტალებსა თუ ზიგზაგებზე, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ურთიერთმიმართებაზე, უმჯობესია, თვით ნუნუს გავესაუბროთ.

თამარ მესხი **– თქვენი ბიოგრაფია დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ სვლა საკუთარი თავისაკენ, შემოქმედებითი მე-საკენ ბავშვობიდან დაიწყო. სწავლობდით მუსიკას, იზრდებოდით მასთან ერთად. რას უკავშირდება მუსიკის თხზვის პირველი ნაბიჯები- ოჯახურ ტრადიციას, მშობლების მიერ „სულიერ საძირკველში“ მიზანმიმართულად ჩადებულ ადრეულ ინვესტიციას, თუ ეს თანდაყოლილი მოწოდება და შინაგანი ბუნების ძახილი იყო. და კიდევ: ვინც არ უნდა იყვნენ ჩვენი წინაპრები, რა სოციალური სტატუსისა და რეგალიების მქონე – იღებ როგორც ჩვეულებრივ მოცემულობას. უფრო მეტად კი მათი გამორჩეული თვისებები გაგონდება. მშობლებს, პატარაობას, როგორ გაიხსენებდით...**

ნუნუ გაბუნია – *ჩემი მშობლები პროფესიონალი მუსიკოსები არ იყვნენ, მაგრამ უყვარდათ კლასიკური, განსაკუთრებით საოპერი მუსიკა. დედას ლამაზი ტემბრის სოპრანო ჰქონდა და პირველ სამუსიკო სასწავლებელში ვოკალურ განყოფილებაზე სწავლობდა კიდეც. მაგრამ ჩემი ძმის დაბადებისთანავე თავი დაანება არა მარტო სასწავლებელს, არამედ სამედიცინო ინსტიტუტსაც. მამასაც, რომელიც იმ დროს ძლიერი ორგანიზაციის პროფკავშირების თავჯდომარე იყო, ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონდა და მღეროდა ტენორისათვის განკუთვნილ არიებს. განსაკუთრებით უყვარდა კავარადოსის მეორე არია პუჩინის „ტოსკა“-დან. ბებიების მოსმენას ხომ არაფერი სჯობდა... და მაინც, რომ არ დავბადებულიყავი თბილისში, არ მეცხოვრა რუსთაველის პროსპექტზე, თანაც ოპერის თეატრის გვედით, ჩემი მეზობელი ბერძენი ქალიშვილი რახილ სპირანდი რომ არ ყოფილიყო, საოპერო ხელოვნებაზე თავდავიწყებით შეყვარებული, სამი წლის ასაკიდან ყოველდღე რომ არ ვეტარებინე საოპერო თუ საბალეტო სპექტაკლებზე, ალბათ, ძალიან ბევრი დამაკლდებოდა. ამ „განსწავლულობის“ წყალობით მე-3 სამუსიკო სკოლის მისაღებ გამოცდებზე საოპერო არიები ვიმღერე და კომისიაც გავაოცე.*

მუსანბანის დაუფლების პირველი საფეხური არც-

* „დრამატიზმით გამსჭვალული შესანიშნავი ხმა, აკადემიური სკოლა მომღერალს დაეხმარა მოსკოვის მაყურებლის აღიარება მოეპოვებინა. არტისტიზმმა, შთაგონებამ, ქართული ფოლკლორის ცოდნამ თამარის სახის ნ. გაბუნიასეულ ინტერპრეტაციას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა. დიდი წარმატება გაბინიასთან ერთად ა. შუშანიამ გაიზიარა“.

იან ფრენკელი, მედეა გონგლიაშვილი, ევგენი (ჟენია) მაჭავარიანი, მაცაცო სეგისკვერაძე, გიორგი ცაგაძე, ნუნუ გაგუნია.

თუ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მასწავლებელს როიალზე დიდი სახაზავი ედო და შეცომისას გამეტებით გვირტყამდა თითებში. კიდევ კარგი, რომ დედამ დროზე გადამიყვანა მისგან. შემდეგ ისეთი შესანიშნავი პედაგოგების ხელში მოვხვდი, როგორებიც იყვნენ ირინა ლანდშტრასე (ოდესიდან დევნილი ომის დროს), მერი ჭავჭანიძე, ნუნუ გიტურიძე. ისინი ჩემით ამაყობდნენ. ჩემი პირველი ოპუსებიც მათთან მეცადინეობის დროს შეიქმნა.

სამუსიკო სასწავლებელში ჩემი ბედაგოგი იყო ჩვენი ქვეყნის უდიდესი კომპოზიტორი — შალვა მშველიძე. შემდეგ კონსერვატორიის რექტორმა იონა ტუსკიამ ამიყვანა თავის კლასში. მისი უეცარი გარდაცვალების შემდეგ სწავლა პროფ. ალექსანდრე შავერზაშვილთან გავაგრძელე. საკომპოზიტორო ფაკულტეტის დამთავრების მომდევნო წელსავე ვოკალურ ფაკულტეტზე ჩავაბარე (პედაგოგი პროფ. ვერა დავიდოვა). შემდეგ გავიარე სტაჟირება მოსკოვის დიდ თეატრში.

***თ.მ.* – კომპოზიტორობა ღვთის საჩუქარია თუ გამოცდილების შეძენის, მუსიკალური ინტელექტის დახვეწისა და პროფესიული სრულყოფის მისაღწევად მძიმე და უწყვეტი შრომითი რეჟიმი?**

ნ.ვ. *– რა თქმა უნდა, ღვთის საჩუქარი! თუ ნიჭი არ გაქვს, არც გამოცდილება გიშველის და არც შრომა! მაგრამ ნიჭთან ერთად გამოცდილებაც გჭირდება, მუსიკალური ინტელექტიც და მძიმე, უწყვეტი შრომაც!*

თ.მ. – დროთა განმავლობაში ადამიანის ბუნება თითქოს განსაკუთრებულ ცვლილებებს არ განიცდის. თუმც სამყაროს აღქმის განცდა და შეგრძნებები, ან მისი ენერგეტიკული მუხტი ფერმკრთალდება და იკლებს კიდეც. ხომ არ გაშინებთ ასაკი, წლები?

ნ.გ. – *ჯერ არ მაშინებს.*

თ.მ. – „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს. ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“ – ტიციან ტაბიძის ამ პოეტური სტროფის პერიფრაზი რამდენად მიესადაგება თქვენს შემოქმედებას.

ნ.გ. – *ვფიქრობ, ყველა შემოქმედს მიესადაგება. ხშირად ღამეებსაც მათენებინებს. ამეკვიატება მუსიკალური ფრაზა და თუ არ გადავიტანე სანოტო სისტემაზე, შეიძლება ძილი არც მომეკაროს.*

თ.მ. – ადამიანები ხშირად ვერ უმკლავდებიან, ანდა თავს ვერ აღწევენ მშფოთვარე სენტიმენტებს. პოეზია, მუსიკა აყუჩებს მარტოობის ტკივილსა თუ სულიერი ტრავმის განცდას. ნებისმიერ კულტურაში, მათ შორის ჩვენშიც, ახლობლის დაკარგვასთან დაკავშირებული ტრადიციის სხვადასხვა სახე არსებობს, რაც გენეტიკურ კავშირშია პოეზიასთან, მიცვალებულის კულტის ელემენტების შემცველ, საკრალური ნიშნით აღბეჭდილ სიმბოლიკასთან. მთელი ეს პროცესი დამწუხრებული ადამიანისთვის გარკვეული ფსიქოლოგიური თერაპიაცაა. ეთანხმებით თუ არა მეტაფორულ გამონათქვამს, რომ ხელოვნება (პოეზია, მუსიკა და ა.შ.) ადამიანის სულის „მკურნალია“ და რომ მუსიკა სამყაროს უკეთესს ხდის.

ნ.გ. – *რა თქმა უნდა, მუსიკა სამყაროს უკეთესს ხდის. ზნეობრივ ფაქტორზე დადებითად მოქმედებს. ადამიანის ეთიკურ მხარეზეც დიდ ზეგავლენას ახდენს.*

თ.მ. – რა განსხვავებას ხედავთ თანამედროვე ესთეტიკისა და წინა ფორმაციის სინამდვილეს შორის. დღევანდელობამ, საბედნიეროდ, დოგმატური კანონიკურობის არტახებიდან იხსნა შემოქმედი ადამიანები. მათ თავისუფლებით ტკბობის საშუალება მისცა. იმის მიუხედავად, რომ სააზროვნო არეალი აღარ შემოიფარგლება განსაზღვრული იდეური კრიტერიუმებითა და პოლიტიზირებული ჩარჩოებით, მაინც ნიჰილისტური გარემო დამკვიდრდა – მაღალმა კულტურულმა ღირებულებებმა და ჭეშმარიტმა ფასეულობებმა თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა. აქა-იქ გამოჩნდა მუსიკალური განათლების არმქონე თვითმარქვია არაერთი კომპოზიტორი, რომელსაც თავი „მაგარი“ ჰგონია და თავდაჯერებული სიამაყით ირგებს ამ საპატიო სტატუსს. სამწუხაროდ, ყველაფერი კომერციამდე დადის. პოპულარული გახდა არტმენეჯმენტი და რეკლამა, რომელიც ლამის ყოვლისშემძელეა. მაინტერესებს – ამჟამად მდიდარი, მაძღარი ხელოვანია წარმატებული თუ ჭეშმარიტების მოსაძიებლად გაჭირვებაა აუცილებელი. როგორ ფიქრობთ, სცალია დღეს ქვეყანას მუსიკისათვის? როგორ გესახებათ თანამედროვე პროფესიული მუსიკის განვითარების გზები...

ნ.გ. – *ვფიქრობ, რომ ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოები დღესაც შესანიშნავად გაჟღერდება. სამწუხაროდ, ბევრი ფიქრობს, რომ რაც უფრო გაუგებარია ნაწარმოები, მით უფრო თანამედროვეა (?!). უნიჭობის გადაფარვას ზოგი სხვადასხვა ხერხებით ცდილობს. ჭეშმარიტი ნაწარმოები, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს, დღეს მთელი მსოფლიოს მუსიკალურ ხელოვნებაში ძალზე იშვიათად იქმნება. ხელოვანს, განსაკუთრებით კი კომპოზიტორს, აუცილებლად სჭირდება ნორმალური, მყუდრო გარემო. მხატვარს ან პოეტს შეუძლია თავისი შედევრი ბუნების წიაღში, ქუჩაში ნებისმიერ ადგილას შექმნას და სხვისი დახმარება არ დასჭირდება. იმისათვის, რომ მუსიკალური ნაწარმოები კარგად ან კიდევ უკეთესად გაჟღერდეს, ბევრი რამაა საჭირო: ოპერისა და ბალეტის, თუ მუსიკისა და დრამის თეატრები, სიმფონიური ორკესტრი, სოლისტები, ინსტრუმენტალისტები, დირიჟორები, ლიბრეტისტები, პოეტები, მხატვრები და ა.შ. გააჩნია რა ჟანრის მუსიკას შექმნი. ამჟამად ყოველივე ეს დიდ თანხებს საჭიროებს. დღეს ივი ავტორმა უნდა მოიძიოს. ვინც ამას შეძლებს, მისი ნაწარმოებიც გაჟღერდება! ამიტომაც მუსიკალური განათლების არმქონე ე.წ. კომპოზიტორების ბუმია დღეს. სწორი ნათქვამია – ნიჭიერს სჭირდება დახმარება, თორემ უნიჭო ისედაც მშვენივრად გაიკვლევს გზასო. გარდა ამისა, ნაწარმოებები უნდა დაისტამბოს, რათა კომპოზიტორის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ შესრულდეს ავტორისეული ჩანაფიქრის შესაბამისად. დღეს ესეც გართულდა*

ჩვენთვის. კომუნისტებს არ მივტირი, მაგრამ იმ დროს ყველაფერი უფასოდ გვქონდა: ჩაწერაც, ნოტებიც, გამოცემაც, დარბაზიც. შემსრულებლებიც და სახელმწიფო პირიქით, ჰონორარსაც გვიხდიდა!

ალბათ, იმისთვის არსებობს კუტურის სამინისტრო, მერიის კულტურის სამსახური, რომ ხელი შეუწყონ პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარებას. მინდა, ჩემი მადლიერება გამოვხატო მერიის კულტურის სამსახურის ყოფილი მუშაკების მიმართ. ისინი პატრონებად მოგვევლინენ, როცა „ჩარეცხილები" გვიწოდეს – მამუკა ქაცარავა, შოთა მაღლაკელიძე, ნეკა სებისკვერაძე. მიმაჩნია, რომ არ უნდა განმეორდეს ის ცუდი, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდა, მაგრამ სიკეთეც არ უნდა დაგვავიწყდეს. ამ პიროვნებათა მსგავსად, მთავრობის დახმარება აუცილებელია პროფესიული მუსიკის განვითარებისათვის.

თ.მ. – თანამედროვე ესტრადა სახეცვლილებას განიცდის და მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო მიმართულებებს ერწყმის. ჭარბად ისმის ინგლისურენოვანი სიმღერების ზოგჯერ მართლაც ნიჭიერი ინტერპრეტაციები. მაგრამ უფრო ხშირად – ნახევრადშემოსილ „წვრილ-წვრილ ვარსკვლავთა" ყურთასმენის დამხშობი მკივანი ინტონაციები, ამაზე რას გვეტყოდით?

ნ.გ. – *ქართული სიმღერა რთული სამღერია. მასში იმდენი ნიუანსის ღრმად წვდომაა საჭირო, რომ ძნელად მოიძებნება მომღერალი, რომელიც ქართულ სიმღერას იდეალურად შეასრულებს. მერწმუნეთ, ვინც ქართულ სიმღერას დასძლევს, ის ინგლისურენოვანსაც ჩინებულად შეასრულებს. სამწუხაროდ, დღეს ვინც ხმამაღლა იყვირებს, სიმღერა ჰგონია. გემოვნების არმქონე მსმენელიც ამ ყვირილს აღფრთოვანებით ხვდება.*

თ.მ. – სიმღერის ჟანრი თქვენთვის პრიორიტეტულია. თვით სიმღერა განუყრელი, ალბათ, თილისმასავით თანმდევი ნაწილია. საზოგადოებამ იცის თქვენი ვოკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების შესახებ. როგორ მოახერხეთ ამ ორი ურთულესი ამპლუის – საოპერო მომღერლის მოღვაწეობისა და კომპოზიტორის კაბინეტური „ჩაკეტილობის" შეთავსება, როგორი იყო გზა საოპერო სცენიდან საესტრადო სიმღერის ავტორის პოპულარობამდე?

ნუნუ გაგუნია, ელენა ოგრაგცოვა.

ნ.გ. – *კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრში მიწვეულმა ცნობილმა ჯაგმენმა ბორის რიჩკოვმა (გიული ჩოხელის მეუღლე) სხვა სიმღერებს შორის შეარჩია ჩემი ოთხი სიმღერა, რომელიც მრავალი წელი ჟღერდა ამ შესანიშნავ კოლექტივში. თაობები იცვლებოდა, ჩემს სიმღერებს კი ახალი შემსრულებლები მღეროდნენ. საკომპოზიტორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა ვოკალურზე გავაგრძელე. საოპერო სტუდიის სხვადასხვა სპექტაკლებში მთავარი პარტიები ვიმღერე. თბილისის საოპერო თეატრში ოთარ თაქთაქიშვილს „მთვარის მოტაცებაში" თამარის პარტია მხოლოდ ერთხელ მქონდა ნამღერი, როცა დიდი თეატრის მთავარმა რეჟისორმა ბორის პოკროვსკიმ მომისმინა თეატრის მთავარი კონცერტმაისტერის ლია მოგილევსკაიას*

შემოქმედებით საღამოზე, სადაც იგორ მოროზოვთან ერთად თამარისა და თარაშის სცენა და დუეტი ვიმღერეთ. ასეთი დიდი წარმატება არასოდეს მქონია! კონცერტის შემდეგ, ბანკეტზე ცნობილმა მსახიობმა ვალერტინ გაფტმა, რომელიც სუფრას უძღვებოდა, პირველი სადღეგრძელო ჩემი შესვა. არ მავიწყდება ბორის პოკროვსკის უმაღლესი შეფასებაც, რის შემდეგ ერთ-ერთი საპრემიერო სპექტაკლში თამარის პარტიის შესრულება შემომთავაზა. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო! შემდეგ ისევ მიმიწვიეს ამავე სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად და დეზდემონას პარტიის შესრულებაც შემომთავაზეს (ვერდის „ოტელოში“), მაგრამ ვერ გავბედე პირდაპირ დიდ თეატრში ამ პარტიის შესრულება.

თ.მ. – ცხოვრების ფურცლებმა ბედიც და უბედობაც დაიტია. თუ აისახა თქვენს სიმღერებში ამქვეყნიური გაწამაწია – ულმობელი დარტყმები ან ბედნიერი აღტკინება. ისინი თქვენი ცხოვრების გარკვეული ანარეკლია?

ნ.გ. – *ბედიც და უბედობაც ადამიანის თანამგზავრია. მე გამონაკლისი არა ვარ! ბუნებრივია, ჩემს შემოქმედებაშიც ბევრია ტკივილიანი და ბედნიერი წუთებისაგან ნაჩუქარი ნაწარმოებები. ბედნიერი ვარ, რადგან როგორც კომპოზიტორი და როგორც მომღერალი არაერთხელ გამოვსულვარ ისეთ მნიშვნელოვან დარბაზებში, როგორებიცაა მოსკოვის სვეტლანოვი დარბაზი, ყრილობათა სასახლე, საკონცერტო დარბაზი „როსია“, პეტერბურგის „ოქტიაბრსკი“, ჟურნალისტების სასახლე და მრავალი ქვეყნის სხვადასხვა დარბაზები. შემოქმედებითი საღამოები მქონდა მოსკოვში – საკავშირო კომპოზიტორთა კავშირში, თეატრალურ მოღვაწეთა დარბაზში, ლიტერატორთა სახლში, პეტერბურგში, ერევანში, მინსკში, ალმა-ატაში, კიევსა და სხვა მრავალ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ ცალკე გადაცემა მომიძღვნა, რადგან წლის საუკეთესო სიმღერებს შორის ჩემი სამი სიმღერა დასახელდა და ერთ-ერთი, ამერიკის ტელევიზიამ შეიძინა.*

თ.მ. – როგორია თქვენი სადაგი დღეები – შემოქმედებითად აქტიური, სხვადასხვაგარი, შრომითი საქმიანობით დაკავებული, თუ ყოფითი დავიდარაბისაგან „სტერილური“, თავისუფალი, რა კვებავს თქვენს შთაგონებას – მტანჯველი მუზის უცაბედი გამოცხადება, შემოქმედებითი ტრანსის განცდა, თუ...

ნ.გ. – *სხვადასხვაგვარი – შემოქმედებითადაც აქტიური, საქმიანობით დატვირთული. არ მაკლია ყოფითი დავიდარაბაც – მე ხომ უკვე დიდი ბებიაც ვარ! რაც შეეხება ნაწარმოების თხზვას, ეს ჩემთვის სასიამოვნო პროცესია. საერთოდ, ადვილად ვქმნი ნაწარმოებს, უფრო რთულია მისი დახვეწა. შეიძლება არც განწყობა გქონდეს, არც ლექსი, მაგრამ რაღაცას ინსტრუმენტთან მიყავხარ და უცებ ქმნი ახალს.*

თ.მ. – ამჟამად რას გეგმავთ, რაზე მუშაობთ.

ნ.გ. – *დიდი სურვილი მაქვს გავმართო ისეთი კონცერტი, სადაც საოპერო მომღერლებისათვის დაწერილი ჩემი ნაწარმოებები შესრულდება, ეს უკანასკნელნი შესრულებულია მაყვალა ქასრაშვილის, თამარ ივერის, ეთერ ჭყონიას, ლადო ათანელის, თემურ გუგუშვილის, ოთარ ჯორჯიკიასა თუ სხვათა მიერ. სამწუხაროდ, წელს დავკარგე ჩემი მეგობარი, დიდი მომღერალი ელენე ობრაზცოვა, რომელიც ჩემს საავტორო კონცერტზე უსათუოდ იმღერებდა. უკვე გამოცემულ დისკებს მინდა მივუმატო კიდევ რამდენიმე, სადაც ჩვენი საესტრადო მომღერლების მიერ იქნება შესრულებული სიმღერები თბილისზე, ლირიკული და საბავშვო სიმღერები – იმ ასი სიმღერიდან, რომლის ნაწილი, ანუ 60 სიმღერა (თავისი პლიუსით და მინუსით), უკვე გამოცემულია. ამას დაემატება 2 დისკი, სადაც ყველასთვის ცნობილი მომღერალი-მუსიკოსების მიერ ბავშვობაში ჩაწერილი სიმღერები იქნება შეტანილი. გარდა ამისა, დისკები, რომელზეც იქნება ჩემი მუსიკა სიმფონიური ორკესტრისათვის, დისკი საოპერო მომღერლების შესრულებით. კიდევ ერთი დისკი, სადაც ჩემი შესრულებით კლასიკური ვოკალური მუსიკა იჟღერებს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. თბილისის მერიამ დასტამბა ჩემი სამუსიკო განმარტებითი ლექსიკონი – ცნობარი. დიდი სურვილი მაქვს ამას დავუმატო კომპოზიტორების ბიოგრაფიები და უკვე ენციკლოპედიაც შეიქმნება. აი, ჩემი გეგმები.*

თ.მ. – გმადლობთ საუბრისათვის.

ნ.გ. – *მეც მადლობას მოგახსენებთ.*

თანამედროვე ინგლისელი მწერლის ალან მელის წიგნი „ბრავო“ და სხვა ძალიან მოკლე მოთხრობები“ 20 ნოველისგან შედგება, მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. „ბრავო“ მოგვითხრობს ადამიანზე, რომელიც მუსიკალურ ბიზნესში უჩვეულო საქმიანობით არის დაკავებული. ალან მელის ნოველების ეს კრებული ქართულად თარგმნილია ქეთევან თუხარელის მიერ (ლიტერატურული ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“).
ამ კრებულიდან ჩვენ შევარჩიეთ ერთი მოთხრობა, რომელიც, ვფიქრობთ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აქტუალურია და ჟურნალ „მუსიკის“ მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

ბრავო

ალან მელი

პირველად ერთმანეთს ღვინის ბარში შევხვდით ოქსფორდსტრიტზე. ეს-ესაა ერთ საშინელ კონცერტზე ვიყავი ვიგმორ ჰოლში — ნაკლებად ცნობილი კორეელი სოპრანოს ჰუგო ვულფის სიმღერების ციკლს ვუსმინე. წარმოგიდგენია?! მომიახლოვდა და ჩემს საკონცერტო პროგრამაზე მიმითითა.

„ო, ჩემო ძვირფასო! ჩემი აზრით, ზოგი იგებს, ზოგი კარგავს! ბოლო ცივი გამაგრილებელი სასმელი დალიე და ყველაფერი ეშმაკსაც წაუღია“.

ორი ჭიქა „სანსერა“ შეუკვეთა და კუთხეში მდგომ მაგიდასთან მივიტანეთ. ჩვეულებრივ, ადამიანებისგან, რომლებსაც საერთოდ არ ვიცნობ, სასმელს არ ვიღებ, მაგრამ მასში რაღაც მომნუსხველი იყო. მეტად უცნაურ ტანსაცმელს ატარებდა — ოდნავ შელახულ მოკლემკლავიან პერანგზე კრიკეტის ზოლიანი ბლაიზერი, ყავისფერი ველვეტის შარვალი და ჭუჭყიანი, გაცვეთილი ბოტასები. ასე ორმოცდაათის იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტის. მოკლე ჭაღარა თმა და პატარა ულვაშები ჰქონდა. ყველაზე მიმზიდველი მასში ხმა იყო - თბილი და მოღუღუნე. მის ხმას რაღაც მუსიკალური თვისება ჰქონდა, რასაც ირლანდიასთან ვაკავშირებ.

— საქმე ძველებურად აღარ მიდის, — ამოიოხრა და ღვინო მოწრუპა, — მახსოვს დიდი ადამიანები - ბექჰემი, სერ მელკოლმ სარჯენტი, ფონ კარაიანი - შენ შეგიძლია დაასახელო, მე კი მათ ვიცნობდი. ყოველ შემთხვევაში, „ბრავო“.

მან ჭიქა ასწია და დავლიეთ. ჭიქების ხელახლა შესავსებად წავედი.

— მაშ, მუსიკალურ ბიზნესში ხარ? — ჩავეკითხე.

— მე? მუსიკა ჩემს ვენებშია. ივი ჰაერია ჩემს ფილტვებში. მუსიკა საჭმელია ჩემს კუჭში. მუსიკა? მე და მუსიკა ასე ვართ, აი! — და თითები ერთმანეთზე გადააჭდო, რომ ეჩვენებინა, თუ რა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან.

— შენ თვითონ თუ უკრავ? — ვკითხე

— არა, მთლად კი არ ვუკრავ, უფრო გადაცემებ-

სა და ჩაწერების სფეროში ვტრიალებ, — საიდუმლოდ გამანდო, — მაგრამ ყოველ წარმოდგენაში არსებითი როლი მაქვს, — პირდაპირ არ მიპასუხა. — ყველასთან მიმუშავია — ზუბინ მეტასთან, ბერნშტაინთან (უნდა გითხრა, რომ მაშინ სულ ყმაწვილი იყო), არტურ რუბინშტეინთან (ნამდვილ მექალთანესთან), პავაროტისთან, სოლტისთან. უამრავი ამბის მოყოლა შემიძლია.

როცა გამოვედით, რათა სახლებისკენ წავსულიყავით, შევთანხმდით, რომ მომავალ კვირას ისევ შევხვდებოდით. იქიდან მოყოლებული, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში დროდადრო ვხვდებოდით, მაგრამ მიუხედავად ჩვენი საერთო ინტერესისა მუსიკისადმი, კონცერტზე ერთად არასოდეს დავდიოდით. ერთხელ შევთავაზე, მაგრამ ისეთი მტკიცე უარი მითხრა, მეორედ აღარ შემითავაზებია.

ალან მელი

და მაინც, ყოველთვის, როცა ვხვდებოდით, თავისი მუსიკალური კონტაქტებით მეტრაბახებოდა.

— გასულ კვირას სერ ნევილ მარინერის კონცერტზე ვიყავი, — თქვა მან თავმდაბლური ღიმილით, — მომავალ კვირას კი ჯულიარდი იქნება. ყოველ ღამე დაკავებული ვარ, მაგრამ ისინი ისეთი საყვარელი ხალხია, საყვარელი... — მისი ხმა ნოსტალგიურად ჟღერდა.

— ახლა უნდა გითხრათ, რომ მაინცდამაინც ცნობისმოყვარე პიროვნება არა ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ბრავომ დამაინტრიგა, ჩემში ინტერესი გააღვივა (როცა სახელი ვკითხე, მიპასუხა, უბრალოდ ბრავო დამიძახეთო). საიდან იცნობდა ყველა ამ მუსიკოსს ასე კარგად? რითი არსებობდა? საერთოდ ვინ იყო?

ერთ საღამოს მაინც შევხვდით ერთმანეთს ერთსა და იმავე კონცერტზე. ეს იყო როიალ ფესტივალ ჰოლში. პირველ რიგში შევნიშნე. თავის შეუდარებელ სტილში იყო ჩაცმული. მეტისმეტად აღგზნებული ჩანდა. როცა ორკესტრი კონცერტის პირველი ნახევრის დასასრულს მიუახლოვდა, დავინახე, როგორ წამოხტა, ხმამაღალი ტაშისკვრითა და შეძახილებით: „ბრავო“, თან რაც შეიძლება ახლოს იდგა კონცერტის ჩამწერ რადიო-მიკროფონებთან. ახლა კი მივხვდი, რა „როლი“ ჰქონდა მას.

ასე რომ, როცა კონცერტის ცოცხალ რადიოგადაცემას მოუსმენთ, იფიქრეთ ბრავოზე.

1955 წელს აფიშები გვამცნობდა, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდებოდა ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები საღამო-კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებდა ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფე, მისი დისშვილი – ეთერ ჭაბუკიანი. დაინტერესებული მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ახალბედა ბალერინას გამოსვლას. პროგრამა რთული და სერიოზული იყო. ოდეტას პარტია ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედის ტბა„ და ესმერალდას პა-დე-დე პუნის ბალეტიდან „ესმერალდა“. მაყურებელი მოწონებით შეხვდა ეთერ ჭაბუკიანს, ყველა დარწმუნდა, რომ საბალეტო ხელოვნებას საიმედო ძალა შეემატა, ამის იმედს იძლეოდა მისი დახვეწილი მანერები, სცენური კულტურა, მომხიბვლელი გარეგნობა. ეთერს ღვიძლი

ეთერ ჭაბუკიანი

თამარ მესხი- მოდებაძე

შვილივით ზრდიდნენ ვახტანგ და თამარ ჭაბუკიანები, თვით ვახტანგ ჭაბუკიანი — ცეკვის ჯადოქარი, კლასიკური ბალეტის რეფორმატორი, ქართული ეროვნული ბალეტის ფუძემდებელი, პედაგოგი, რომელმაც მრავალი სახელოვანი თაობა აღუზარდა საბალეტო ხელოვნებას.

ეთერი დაგვიანებით, 14 წლის ასაკში ეზიარა საბალეტო ხელოვნებას. ბავშვობაში ციცქნა ტანის, ბუნებით მორცხვი გოგონა ყოფილა. ტანი უცბად აუყრია. მშვენიერი აღნაგობა, კარგი საბალეტო მონაცემები, ეს კი ვახტანგის გამოცდილ თვალს არ გამოპარვია და როდესაც ბალეტის ანბანის შესწავლა მისი ასაკისათვის უკვე დაგვიანებული იყო, სწორედ მაშინ მიაბარეს გამოცდილ და ღვაწლმოსილ პედაგოგებს – სერაფიმა ვეკუასა და ნინო ვაეიკოვას. შემდეგ კი ჩარიცხეს ვახტანგ ჭაბუკიანის კლასში.

თავდადებულ შრომას შეუძლია ყველა სტერეოტიპი დაანგრიოს. ეთერმა წარმატებით დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და მოსკოვში სტაჟირებაზე გაგზავნეს. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სოლისტად ჩარიცხეს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

ვახტანგ ჭაბუკიანს არასოდეს დაუშვია, რომ მის ნათესავებს თეატრში პრივილეგიები ჰქონოდათ. მისი საზომი იყო მხოლოდ და მხოლოდ ნიჭი, სხვა საზომი არ გააჩნდა, არც ეთერი ცდილობდა თავისი მდგომა-

კ. სენ- სანსი. "მომაკვდავი გედი".

ეთერ ჭაბუკიანი მეუღლესთან და ქალიშვილთან — გურამ და მარინა ჭიქაძეებთან ერთად.

რეობით ესარგებლა. მან თავისი გზა აირჩია, სურდა მხოლოდ შრომით მიეღწია შემოქმედებითი სიმაღლეებისათვის.

ეთერის რეპერტუარი თანდათან გამდიდრდა: ხასინტას ტრაგიკული სახე კრეინის ბალეტ „ლაურენსიაში", ცეცხლოვანი ქუჩის მოცეკვავე მინკუსის ბალეტ „დონ-კიხოტში", შუმანის ფანტაზია, გლიუკის მელოდია, ამაყი მირტა ადანის „ჟიზელში", ლაღი ბიანკა ალექსი მაჭავარიანის „ოტელოში" და მისი შემოქმედების მწვერვალი – სენ-სანსის „მომაკვდავი გედი".

1958 წელი, საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში: დიდი თეატრის სცენაზე ტრიუმფალური წარმატება ხვდა ქართულ საბალეტო სპექტაკლებს – ალექსი მაჭავარიანის „ოტელოს" და დავით თორაძის „გორდას". დიდ თეატრს მოზღვავებული მაყურებლისაგან ცხენოსანი მილიცია იცავდა. ბალეტ „ოტელოს" დაესწრო ბელგიის დედოფალი, რომელმაც შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა: „მე ვიყავი ძალიან ბედნიერი, როდესაც ვუყურებდი და ვუსმენდი შესანიშნავ ბალეტ „ოტელოს" ასეთი არაჩვეულებრივი შესრულებით, საუკეთესო სურვილებით, მომავალ შეხვედრამდე", – ელიზაბეტი. 26 მარტი 1958 წელი.

დეკადის დასკვნით კონცერტზე ეთერს დიდად საპასუხისმგებლო გამოცდა ელოდა. მას პირველად უნდა შეესრულებინა სენ-სანსის „მომაკვდავი გედი". მაყურებელთა დარბაზში თავი მოიყარეს მე-20 საუკუნის უდიდესმა მოცეკვავეებმა: გალინა ულანოვამ, მაია პლისეცკაიამ, ალა შელისტმა, ნატალია ვიაჩესლოვამ, ტატიანა დუდინსკაიამ და საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. „და, აი, გაისმა სენ-სანსის უკვდავი მუსიკა. სცენაზე გამოცურდა „მომაკვდავი გედი", რომელიც ეთხოვება სიცოცხლეს, მაყურებელი სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა გედის სულის შემძვრელ განცდებს, რომლიც ასე ძლიერი ძალით გადმოსცა მოცეკვავემ. გედ-

ლურჯი ფრინველი „მძინარე მზეთუნახავიდან“.

ვახტანგ და ეთერ ჭაბუკიანები
არგენტინელ მოცეკვავესთან ერთად.

მა უკანასკნელად შეარხია ფრთები“, – წერდა რუსული პრესა. აღფთოვანებას ვერ მალავდნენ გალინა ულანოვა და მაია პლისეცკაია, რომელთა შემოქმედებაშიც „მომაკვდავ გედს“ წამყვანი ადგილი ეკავა.

ეს იყო ქართველი მოცეკვავის ნამდვილი ტრიუმფი. ეთერ ჭაბუკიანი აღიარეს „მომაკვდავი გედის“ ერთ-ერთ უბრწინვალეს შემსრულებლად. ამ გამარჯვების შემდეგ ეთერი წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ სცენაზე, სადაც კლასიკურ რეპერტუართან ერთად ქართულ ხალხურ ცეკვებსაც ასრულებდა, მაგრამ „მომაკვდავ გედს“, როგორც წესი, ყოველთვის ბისზე ამეორებინებდნენ.

საზღვარგარეთის პრესა წერდა:

„მომაკვდავი გედი“ ეთერ ჭაბუკიანის შესრულებით სამუდამოდ დარჩება მუნიციპალის თეატრის სცენაზე, როგორც დიდი ტრიუმფი, რომელსაც ბევრი საერთო აქვს არაჩვეულებრივ ანა პავლოვასთან, ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება ეთერის ღვთაებრივი ხელები“.

„ეთერ ჭაბუკიანის „მომაკვდავი გედი“ – ეს იყო ლამაზი სიზმარი; პოემა პოეტური შედევრი“.

„კონცერტის კულმინაცია იყო ეთერ ჭაბუკიანი. იგი არაჩვეულებრივია, მაყურებელი აღფრთოვანებულია მისი ხელოვნებით“.

საქართველოს სახალხო არტისტმა ლილიანა მითაიშვილმა გვიამბო: „კარგად მახსოვს ჩვენი გასტროლები არგენტინაში, კერძოდ, ბუენოს-აირესში. შეხვედრები ჩვენ თანამემამულეებთან. დიდი სიხარული, ცრემლები... როდესაც ეთერმა, როგორც წესი, „მომაკვდავი გედი“ ბისზე შეასრულა, მისი შემოქმედებით მოხიბლულმა და აღტაცებულმა არგენტინის მთავრობამ და ბალეტის მოცეკვავეებმა გადაწყვიტეს, ეთერ ჭაბუკიანისათვის სამახსოვრო საჩუქარი გაეკეთებინათ. ანა პავლოვამ არგენტინაში გასტროლების დროს არგენტინელ მხატვარს და კოსტიუმების მკერავს იმ დროისათვის განსხვავებული და ძვირადღირებული კოსტიუმი – პაჩკა შეაკერინა. ამ კოსტიუმით იპყრობდა ბალე-

რინა მსოფლიოს მრავალ სცენას. სწორედ ამ ესკიზსა და თარგის მიხედვით ქართველ ბალერინას ზუსტად ისეთივე მომაკვდავი თეთრი გედის კოსტიუმი შეუკერეს არგენტინელმა თაყვანისმცემლებმა და სამახსოვრო საჩუქრად გადასცეს“.

ლათინურ ამერიკაში იმ გასტროლების დროს, მუნიციპალის თეატრის სცენაზე სენსაციური ამბავი მოხდა, რასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა ლათინური ამერიკის პრესაში. თეატრში მუშაობდა ყრუ-მუნჯი ჯუჯა, სახელად კაკასენო, დღისით პროგრამებს ჰყიდდა, დეკორაციებს ალაგებდა, საღამოს კი სპექტაკლის დაწყების წინ კულისების ერთ-ერთ ამოჩემებულ კუთხეში

ლურჯი ფრინველი „მძინარე მზეთუნახავიდან“.

იჯდა და სპექტაკლს უყურებდა. ყრუ-მუნჯი კაკასენო ყველაფერს თავისებურად განიცდიდა – ბალეტის სილამაზეს სხეულის რხევით აღიქვამდა. გამოცხადდა ეთერის ნომერი. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ჩელო ტიროდა, ტკივილისაგან კვნესოდა, ორი გადაჯვარედინებული სხივი მკრთალ სინათლეში კრთოდა, ცურავდა, სცენაზე დაფრინავდა საოცარი ფრინველი. ჩელო კი არა ეს სასიკვდილოდ დაჭრილი გედი ემშვიდობებოდა სიცოცხლეს. კაკასენო ცხარე ცრემლებით ატირდა. გედმა უკანასკნელად მოიკრიბა ძალღონე, ფრთები აიქნია და მარადისობას შეუერთდა. დარბაზი გრიგალისებური ტაშისაგან ზანზარებდა. ოვაცია არ ცხრებოდა. ბალერინა იძულებული გახდა ნომერი გაემეორებინა. ეთერი საწყის მდგომარეობაში დადგა, სწორედ ამ მომენტში გაოგნებული კაკასენო სკამიდან გადმოხტა იგი ვერაფერს და ველარავის ამჩნევდა. ხელებგაწვდილი მიიწევდა სცენის სიღრმისაკენ და აღტაცებული თვალებში შესცინებდა მოცეკვავე ქალს, აკანკალებული, აცრემლებული კაკასენო ფეხებში ქვითინით ჩაუვარდა ბელერინას. დარბაზში პანიკა ატყდა სასწრაფოდ დაუშვეს ფარდა.

ეთერმა ჯუჯას თავისი სურათი აჩუქა წარწერით: „ხელოვნების დიდ დამფასებელს — ეთერ ჭაბუკიანისაგან“.

ეთერი უკვე აღიარებული ბალერინა იყო როცა, სიყვარული ეწვია. ოჯახურ სიმყუდროვეში თავს ბედნიერად გრძნობდა. მალე ქალიშვილი შეეძინა, სახელად მარინა დაარქვა. „ქალისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება დედობაა“, – ხშირად ამბობდა ეთერი.

გასტროლებიდან სიხარულით მიისწრაფოდა შინისაკენ, სადაც საყვარელი ადმიანები ელოდნენ. პირველ აპრილს 36 წელი შეუსრულდა. მეგობრებს გულღიად და მხიარულად შეხვდა. თეატრში საპრემიერო ორომტრიალი იდგა. ვახტანგ ჭაბუკიანი მინკუსის ბალეტ „ბაიადერას“ დგამდა, სადაც ეთერს ერთ-ერთი მთავარი პარტია უნდა შეესრულებინა.

6 აპრილს სიცოცხლით სავსე გავიდა სახლიდან. მეუღლემ — გურამ ჭიქაძემ ტრანსპორტის გაჩერებამდე მიაცილა, მაგრამ მუხანათი ბედი წინ აღუდგა. ეთერი რეპეტიციაზე არ მისულა. ვახტანგ ჭაბუკიანი ნერვიულობდა. რამდენიმე საათის შემდეგ თბილისი საშინელმა ამბავმა შესძრა: ეთერ ჭაბუკიანის უსულო გვამი ქუჩაში ქვაფენილზე იპოვეს. რა მოხდა? ვინ გაიმეტა ეს მშვენიერი ხელოვანი ქალი სასიკვდილოდ – დღემდე დადგენილი არ არის. ამ ტრაგედიის შემდეგ ვახტანგ ჭაბუკიანს სცენაზე აღარ უცეკვია.

მზეს რომ აპრილში გაუთბა სხივი,
მაშინ იგემეს სიმუხთლე ბედის,

ქუჩის მოცეკვავე „დონ- კიხოტიდან“.

ვახტანგ გუნაშვილი და ეთერ ჭაბუკიანი.
საკონცერტო ნომერი.

თბილისს მოედო ავი ამბავი
გარდაცვალება ფრთა-თეთრა გედის,
გაქრა ოცნება, ნაზი ხილვები,
ვერ გაფრინდები ნარნარა ფრთებით,
პეპელასავით ყველას ხიბლავდი
შენი სიტურფით და ტანის რხევით.
თურმე ეს იყო ბოლო აკორდი,
ყვავილი ქვაზე გასრისეს ურცხვად,
ცა მოიქუფრა, დაობლდა სცენა,
თვალებს ცრემლები სდიოდა უხვად.
თეთრი ბაფთები დასწყდა პუანტებს
მომაკვდავ გედის ხსოვნა გვახელებს,
რა მოხდა? ზმუის იქ კაკასენო
რა მოხდა? იწვდის ბღავილით ხელებს (ნინო მესხი)

ტრაგედია 1968 წლის 6 აპრილს მოხდა. 11 აპრილს ეთერი საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს. 24 წლის შემდეგ ზუსტად 6 აპრილს გარდაიცვალა ვახტანგ ჭაბუკიანი და ისიც 11 აპრილს მიაბარეს მამა დავითის წმინდა მიწას. ბალერინას შემოქმედება მასთან ერთად კვდება. რჩება რეცენზიები, აფიშები, თაყვანის-

ვახტანგ გუნაშვილი და ეთერ ჭაბუკიანი. ბალეტი „ცისფერი მთის საუნჯე“.

მცემელთა მოგონებები. ეთერ ჭაბუკიანი ჩვენს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ქართული ბალეტის ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელმაც მხოლოდ 10 წელი იკაშკაშა და მიუხედავად მოკლე დროისა, ნათელი კვალი დატოვა ქართულ საბალეტო ხელოვნებაში. ეთერის სიცოცხლე გაგრძელდა მის ოჯახში, მისი მეუღლის გულში, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ცოლქმრული ფიცის ერთგული დარჩა. მის ქალიშვილს მარინა ჭიქაძეს, ინგლისური ენის სპეციალისტს, ჰყავს მეუღლე გიორგი ედილაშვილი, ორი ვაჟიშვილი ერეკლე და რატი და შვილიშვილი პატარა ალექსანდრე.

ეთერი ჭაბუკიანის საფლავზე ამოტვიფრულია თეთრი გედი, როგორც მისი შემოქმედების მწვერვალი...

საფლავის ქვაზე ამოუტვიფრავთ
მომაკვდავ გედის ბარელიეფი
სუროს წნულებში, ნაზად ელავენ
შეშფოთებული ლურჯი იები.
ვეღარ იცეკვებ, ფრთებს ვეღარ გაშლი,
სიცოცხლე ჩაქრა დამსხვრეულ მკლავში,
შენ აქ დარჩები სამარადისოდ
იდუმალებით მოცულ საფლავში.
დღესაც სენ-სანსის მუსიკა გვხიბლავს
ორკესტრში კვნესის ჩანგი და ჩელო
შენ არ მომკვდრხარ! თვითონ ხარ მკვდარი,
ლამაზი გედის, ბოროტო მკვლელო!

(ნინო მესხი)

„კლასიკიდან ჯაზურ იმპროვიზაციამდე“

მანანა ხვედელიძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო-სარეკლამო დაფაზე ამ მიმზიდველი სახელწოდებით ქველმოქმედების შინაარსის მატარებელი აფიშა რამდენიმე დღე იქცევდა მუსიკის მოყვარულთა ყურადღებას. საქართველოში, ესოდენ საჭირო საქველმოქმედო საქმიანობის შედეგი, ხშირ შემთხვევაში ადრესატამდე აღწევს და ასეთი ფორმით დახმარება მხოლოდ მისასალმებელია.

ამჯერად საქველმოქმედო აქცია მიზნობრივად მიმართული იყო საქართველოში ერთერთი გამორჩეული სამუსიკო სასწავლებლის დასახმარებლად. სასწავლებლისა, რომლის მნიშვნელობის გადამეტება ძნელია. მრავლისმეტყველი ისტორიის მატარებელი „ნიჭიერთა აღწლედი“ ათეული წლებია გამორჩეული ნიჭის მქონე ახალგაზრდების ერთგვარი თავშესაფარია. საამაყო ტრადიცია დამკვიდრებული ათეული წლების წინ დღესაც ღირსეულად გრძელდება. მსოფლიოს საკონცერტო სცენებს ამშვენებენ ამ სკოლის აღზრდილები, დღეს უკვე გამორჩეული მუსიკოს-შემსრულებლები. ის რომ სკოლის დახმარების ინიციატივით არაერთი კონცერტი გაიმართა მეტყველებს ასეთი ინიციატივების საჭიროებაზე. სკოლა რამდენიმე წელი შენობის გარეშე დარჩა და სხვა შენობას შეფარებული მაინც სრულფასოვნად განაგრძობდა სასწავლო პროცესს.

„სასწავლებელი ყოველთვის იყო და დღესაც არის პროფესიულად ორიენტირებული განათლების კერა. აქ სწავლობდნენ და სწავლობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები. მათ კვლავ ასწავლიან სახელგანთქმული პედაგოგები და პროფესორები. „ნიჭიერთა ათწლედის“ კრედოა: ისეთი შემოქმედებითი მიკროსამყაროს შექმნა, რომელიც მოამზადებს ახალგაზრდებს მომავალი წარმატებული საქმიანობისთვის, მისცემს თითოეულ მათგანს ისეთ პროფესიულ დატვირთვას, რომელიც შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალურად გახსნას მოემსახურება...

„ნიჭიერთა ათწლედი“ ინარჩუნებს სასწავლებლის საუკეთესო ტრადიციებს ახალი პერსპექტივების ჭრილში...“.

დღეს ამ სასწავლებლის მადლიერი უამრავი კურსდამთავრებულია და სწორედ ეს უნიკალური საშუალება იქნა გამოყენებული ისევ და ისევ მის დასახმარებლად.

ამჯერად, აუდიტორიის მოსაზიდად ფრიად ორიგინალური შინაარსი იქნა შერჩეული. ამ საინტერესო იდეის ავტორი და საღამოს ორგანიზატორი კონსერვატორიის მუზეუმის გამგე ქალბატონი მარინე ჩიხლაძეა.

კონსერვატორიის მუზეუმი, თავის უშუალო დანიშნულებას, ტრადიციულ ჩარჩოს (ექსპონატების შეგრო-

ვება, დაცვა და გამოფენა) დიდი ხანია გასცდა. მარინა ჩიხლაძემ სამუზეუმო სივრცე მცირე საკონცერტო დარბაზად აქცია და შინაარსით დატვირთა.

მისი ყურადღების მიღმა არ რჩება საიუბილეო თარიღი თუ მნიშვნელოვანი სამუსიკო მოვლენა. მუზეუმის გამგე ქმნის შესაბამის საგულისხმო სცენარს და მის განსახორციელებლად იწვევს საუკეთესო საშემსრულებლო ძალებს. ამ საღამოებს კი მუდამ თან სდევს ქალბატონ მარინას მისცა გასაქანი უფრო დიდი მასშტაბების დასაპყრობად. და სწორედ ასეთი საღამოების რიგს მიეკუთვნება კონცერტი-აქცია, სახელწოდებით — „კლასიკიდან ჯაზურ იმპროვიზაციამდე", რომელიც კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

ავტორმა სწორად შეარჩია შინაარსი, რათა საქველმოქმედო საღამოზე მოეზიდა ამ აქციაში მონაწილე

კონცერტის შემდეგ: ნანა ავალიშვილი, მარინა ჩიხლაძე, დინი ვირსალაძე, ნოდარ ჟვანია, ალექსანდრე კორსანტია.

მთავარი — საგანმანათლებლო დანიშნულება; ცნობილი მუსიკისმცოდნეები პროფესიული ოსტატობით უძღვებიან საღამოს და იპყრობენ შემსრულებლებთან ერთად აუდიტორიის ყურადღებას.

არცთუ დიდი სამუზეუმო სივრცე, მყუდრო გარემო და საგანგებოდ კეთილგანწობილი მასპინძლობა იზიდავს სრულიად განსხვავებული ასაკის საზოგადოებას. გარემო კი განაპირობებს „სცენასა და პარტერს" შორის უწყვეტ კავშირს და შესაბამისად, უშუალო კონტაქტს.

წლების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ პოტენციური მაყურებელი. ჩვეული აკადემიური რეპერტუარის მქონე ცნობილი მუსიკოსები ორიგინალური იმპროვიზაციებით, ჯაზური სტანდარტებით და მიმზიდველი გულწრფელობით ასრულებდნენ პოპულარულ კომპოზიციებს. ყურადღებას იქცევდა სხვადასხვა თაობის მუსიკოს-შემსრულებელთა მაღალი სტატუსი და უჩვეულო ამპლუა. საკმარისია დავასახელოთ მონაწილენი, რომ ნათელი გახდეს საღამოსადმი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი: ნანა ავალიშვილი, ვახტანგ მაჭავარიანი, გიორგი შავერზაშვილი, ალექ-

ვახტანგ მაჭავარიანი, ალექსანდრე კორსანტია, დინი ვირსალაძე, ნატალია ქუთათელაძე.

სანდრე კორსანტია, დინი ვირსალაძე, დავით ევგენიძე, ზურაბ რამიშვილი, პავლე კვაჭაძე, კახა ჯაგაშვილი, საქ, ს. ცინცაძის სახ. ეროვნული სიმებიანი კვარტეტი კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიას და ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით. მათ გვერდით კი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსები: ნატალია ქუთათელაზე, ლევან კემულარია, პაპუნა შარიქაძე, მიხეილ ხოშიკიანი, გიორგი კაპანაძე. წამყვანის როლი კი მოირგო ბატონმა თამაზ ბათიაშვილმა და ჩვეული აკადემიურობით გაუძღვა საღამოს.

მიუხედავად აკადემიური შემსრულებლების მიერ წარმოდგენილი უჩვეულო პროგრამისა, მაღალმხატვრული დონე შესაბამისად დაფასდა მსმენელების მხრიდან, იყო მადლიერება, აღფრთოვანება... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა თაობის შემსრულებლები,, რომლებიც მუსიკის ყველაზე დემოკრატიულ ჟანრს პროფესიონალური ოსტატობით წარმოაჩენდნენ.

კიდე ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქველმოქმედებისთვის საზოგადოება მუდამ მზადაა. ამიტომაც ბევრი აღმოჩნდა ამ კონცერტში მონაწილეობის მსურველი, მაგრამ პროექტი ამ შემთხვევაში საღამოს მონაწილეებად მხოლოდ „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეებს და სახელოვან კურსდამთავრებულებს მოიაზრებდა.

საღამო შედგა და ორგანიზატორი და ახალგაზრდა შემსრულებლები სპეციალური სიგელებითაც დაჯილდოვდნენ.

იდეა განხორციელდა და კონცერტიდან შემოსული თანხა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეთა მხარდასაჭერ ფონდში გადაირიცხა.

ჯემალ შანშიაშვილი (1934-2015)

გულგათ ტორაძე

ჩემი უმცროსი მეგობარი ბატონი ჯემალ შანშიაშვილი ქართული მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენელი გახლდათ: ჩინებული პიანისტი და პედაგოგი, მუსიკალური ცხოვრებისა და სამუსიკო განათლების აქტიური მონაწილე, მშვენიერი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება.

ჯემალ შანშიაშვილი

ჯემალი სწავლობდა და დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება (1954–1959). მისი მასწავლებელი იყო ცნობილი პიანისტი და პედაგოგი ბატონი ანდრო სვანიძე. მასთანვე გაიარა ასპირანტურის კურსიც. იგი მუდამ დიდი პატივისცემით იგონებდა კონსერვატორიის რექტორს (1952–1962), კომპოზიტორ ბატონ იონა ტუსკიას. დაიწყო პედაგოგიური მუშაობა კონსერვატორიაში (1981 – დოცენტი, 1995 – პროფესორი). 1979 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. კლასიკურ რეპერტუართან ერთად აქტიურად ეწეოდა ქართული მუსიკის ახალი ნაწარმოებების შესრულებასა და პროპაგანდას.

1975 წლიდან სისტემატურად თანამშრომლობდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან, დაუახლოვდა მინისტრს, გამოჩენილ კომპოზიტორსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ოთარ თაქთაქიშვილს, ასრულებდა მის საორგანიზაციო და მეთოდური ხასიათის დავალებებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მუსიკალურ სასწავლებლებსა და დაწესებულებებში.

ახლო მეგობრობა ჰქონდა აგრეთვე სხვა კომპოზიტორებთან, განსაკუთრებით სულხან ცინცაძესა და სულხან ნასიძესთან.

ქართული მუსიკის დიდი მოამაგე

ჯემალ შანშიაშვილი

ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, დიდი ქართველი კომპოზიტორი, მუსიკოსი და პიროვნება XX საუკუნის საქართველოს მრავალმხრივ გამორჩეული მოღვაწე იყო. მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის აღორძინებასა და წინსვლაზე. გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, რაც მის მხატვრულ შემოქმედებაში ძალუმად გამჟღავნდა, იგი მეტად დახვეწილი ინტელიგენტი და კეთილშობილი ადამიანი იყო. მრავალი მისი თვალსაჩინო ნაწარმოები ამშვენებს საამაყო ქართულ მუსიკალურ კულტურას. ფასდაუდებელია მისი, როგორც

საქართველოს კულტურის მინისტრის მოღვაწეობა იმ დროს, როცა ეროვნული ხელოვნების გამომზეურებას, რბილად რომ ვთქვათ, არ მიესალმებოდნენ ზემდგომნი, თუმც ბატონი ოთარის გონიერება, დახვეწილი ტაქტი და ხშირად გამბედაობაც, განაპირობებდნენ საერთო წარმატებას. საამაყო, ლამაზი პიროვნება, მუდამ გამორჩეული, რბილი, მშვიდი, მომღიმარი გამომეტყველებით, მუდამ პოზიტივისკენ განგაწყობდა.

ბატონო ოთარის კეთილგანწყობას ჩემდამი მუდამ ვგრძნობდი და მეც ვცდილობდი შეძლებისდაგვარად გამომეხატა მისდამი პატივისცემა და რიდიც.

ხშირად ვგრძნობდი, რომ მენდობოდა და მაგზავნიდა მისაღები კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს სხვადასხვა რაიონების მუსიკალურ სასწავლებლებში. ერთხელ, როცა ერთერთი სასწავლებლის ხელმძღვანელთან ჩემი პოზიციის დაცვის საკითხი წარმოიშვა, ბატონმა ოთარმა უყოყმანოდ ჩემი მხარე დაიკავა. მახსოვს, როგორ მამობრივად მამშვიდებდა და მხარს მიჭერდა.

ბატონი ოთარის კეთილი დამოკიდებულება ჩემი პროფესიონალიზმისადმი კიდევ უფრო საგრძნობი შეიქნა, როცა კონსერვატორიის ხელმძღვანელობამ წარმადგინა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდების მისანიჭებლად საკავშირო საატესტაციო კომისიაზე მოსკოვში. საგულისხმოა, რომ წარდგინებაზე საჭირო იყო მხოლოდ მისი ხელმოწერა.

წარუშლელია ჩემთვის ის მოგონება, რომელიც უკავშირდება ო.თაქთაქიშვილის შემოქმედებით საღამოს 1964 წელს მოსკოვში, სადაც საბჭოთა მუსიკალური ელიტა და მთავრობის წარმომადგენლები გულმხურვალედ გამოხატავდნენ აღფრთოვანებას მისი ბრწყინვალე შემოქმედებით. ახლაც თვალწინ მიდგას, რა თავშეკავებული ემოციით და ღირსებით იღებდა ივი მილოცვებს, რა სითბო და ენერგია ახლდა ყოველ მის ჟესტს, მიხაროდა რომ ვიყავი ამ ტრიუმფის მოწმე და ჩემი ქვეყნის სასიქადულო შვილის შემოქმედებითი ზეიმის თანამონაწილე.

ოთარ თაქთაქიშვილი

ბატონი ოთარის არაერთი დიდებული საფორტეპიანო ნაწარმოები მაქვს შესრულებული თბილისის ფილარმონიაში, ტელევიზიაში და საქართველოს ბევრ რაიონში. დარწმუნებული ვარ, მისი ბრწყინვალე მუსიკა, რაც დრო გავა, უფრო მეტ თაყვანისმცემელს შეიძენს და კვლავაც ძალუმად გაჟღერდება ჩვენი სამშობლოს და საზღვარგარეთის საკონცერტო დარბაზებში.

ნაკერები

ალექსანდრე მწარიაშვილი

ხელოვანის და კერძოდ მუსიკოსის მოღვაწეობა და წოდებაც კი მადლიანი ნაბოძარია. „ქუჩის მუსიკოსიც“– ამაყად ჟღერს! შეადარეთ – „ქუჩის ეკონომისტი“ ან „ქუჩის იურისტი?“ – ერთია ამაში სამწუხარო... მუსიკოსის კეთილდღეობა „ქუჩის პოლიტიკოსებზე“ არის დამოკიდებული....

გავიხსენოთ ცნობილი გამოთქმა: „სახელმწფო რომელიც არ ინახავს თავის ჯარს, მერე შეინახავს სხვისი ქვეყნის ჯარს“... სხვისი ქვეყნის მუსიკოსების შენახვა ჩვენ უკვე დავიწყეთ ვადაგასული მსახიობების ჩამოყვანით და ჯაზის, უფრო „ასტეროიდების“, ვიდრე „ვარსკვლავების“ დაპატიჟებით, უხვად ვუხდით ჩვენი ხელოვანებისთვის საოცნებო ჰონორარებს და ამით ვარღვევთ ბიზნესის კანონს, რომ არცთუ ისეთი იაფი იმპორტი კლავს ადგილობრივს! ნუთუ ოდესმე ჩინურ მუსიკაზეც გადავალთ?

თურმე ის, რაც ქართულ კულტურაში ათწლეულობით ხდებოდა და საამაყო ტრადიციად იქცა – ნეპოტიზმია!!!! ჩვენ კი ამას კრეატიულად – „შემოქმედებით დინასტიას“ ვუწოდებდით...

რადგან ნებისმიერი მუსიკის „გაჯაზება“ შესაძლებელია – ჯაზი არის ხერხი ანუ ფერი, რომელიც სხვანაირად გაანათებს მუსიკალურ ტილოს. ამიტომ მე არ დავდივარ ჯაზის „ჯემ სეიშენებზე“, როგორც არასდროს არ წავალ წითელი ან ყვითელი ფერის გამოფენაზე....

XVIII–XIX საუკუნეებში ნავთობის მოპოვება გოდორით იყო შესაძლებელი, ის ზედაპირზე იყო და ფასიც დაბალი ჰქონდა. დღეს მისი მოპოვებისთვის დედამიწაში ღრმად, ბურღით შედიან და ყოველ წვეთს ფასი აქვს! წინა საუკუნეებში მუსიკის მოპოვებაც ადვილი იყო – ზედაპირზე დაუმუშავებელი იდო ჰარმონიები, გამები, არპეჯიოები და მელოდიები... დღეს მუსიკის მოპოვება ითხოვს წიაღისეულში ღრმად შეღწევასაც, ყოველ მოპოვებულ „ბრილიანტის კარატს“ ტონობით შლაკი და ტალახი მოჰყვება (და სამწუხაროდ, ხშირად ამას ხელოვნების ნიმუშებად წარმოგვიდგენენ), შედეგად კი ამ დიდი ოფლით მოპოვებულ მუსიკას, ნავთობისაგან განსხვავებით – ჩალის ფასი აქვს...

როცა პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ მთავრობას ბევრი აქვს გაკეთებული ხალხისთვის მაგრამ ამას არ აშუქებენ – მხოლოდ ჩვენ, ქართველ კომპოზიტორებს,

ფრაკზე

გულწრფელად გვჯერა ამის! ჩვენი დაწერილი მუსიკაც უკვე დიდი ხანია ვერ აღწევს მსმენელთა ყურამდე...

ამოცანა: ხელოვნების და სამუსიკო სკოლების პედაგოგებს მიანიჭეს ხელოვნების მუშაკის სტატუსი, რის შედეგად მათი ხელფასი 100 ლარზე ნაკლები გახდა. კულტურის სამინისტროში საშუალო ხელფასი 500 ლარზე მეტია. კითხვა: რამდენი „კულტურის მუშაკი" არის კულტურის სამინისტროში?!

მაღალმთიან აჭარულ სოფელში მშენებარე მინარეთი სრულიად არ არის საშიში, ისე როგორც უამრავი პატარ-პატარა მინარეთი ქართველი ხალხის სულებში, მენტალობაში და გემოვნებაში, რომელიც შენდება თურქული (ან სხვა, აზიური და ა.შ.) სერიალების მეშვეობით. ეს ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკური და კულტურული ვექტორი უნდა ემთხვეოდეს.

მე ვარ ქართველი – მაშასადამე ვარ ევროპელი...
მე ვარ პარლამენტარი – მაშასადამე ვარ პოლიტიკოსი....
მე 2-ჯერ ვიყავი „პროფილში" – ესეგი ვარ ვარსკვლავი...
მე სიმღერა დავწერე – ესე იგი ვარ კომპოზიტორი...
ოო....რამნდენი მცდარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ჩამოყალიბდა ჩვენ საზოგადოებაში!!

დასავლეთში არსებობს კანონი, რომლის მიხედვით ადამიანის წვლილის აღიარება და დაფასება ხდება მისი გარდაცვალების 50 წლის შემდეგ... საქართველოში, ამ წესის შემოღების შემთხვევაში, ჩვენ არ გვექნებოდა თითქმის არცერთი ძეგლი და ქალაქებში გვექნებოდა უსახელო ქუჩები... ჩვენ ან არ ვენდობით მეხსიერებას ან პიროვნების ღვაწლს და ვჩქარობთ... იმდენად ვჩაქარობთ, რომ შემოვიღეთ „ვარსკვლავების" გახსნა გარდაცვალებამდე 50 წლით ადრე! შედეგად – შემოქმედი აღარ იყურება ზევით და არ ეძებს ცაში თავის ვარსკლავს, არამედ ტროტუარს მისჩერებია.

ელექტრო ინსტრუმენტებზე დამკვრელებს მოჰყვნენ ელექტრო კომპოზიტორები, რომელთა ცოდნა, გემო და სული მავთულით უერთდება დენის „როზეტკას"... ასე რომ, ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა შეითავსოს კულტურის სამინისტროს ფუნკციები!! ხომ სწორედ მასზეა დღეს დამოკიდებული რამდენი „ტალანტი" და „გენიოსი" ეყოლება საქართველოს და ჩვეულებრივი „ფიდერი" თავისუფლად ჩააქრობს უამრავ „ვარსკლავს" და „შემიქმედს"!

ჭეშმარიტი ვარსკვლავი

თამარ წულუკიძე

ალბათ, არ უნდა გვიკვირდეს პარადოქსების. ისტორიამაც მოგვამზადა საამისოდ: დღეს, როდესაც ასე მოჭარბდა ხელოვანთა კვარცხლბეკზე აყვანის შემთხვევები, ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალები, ხშირად წარმოითქმის სიტყვები – ლეგენდა, კორიფე, იმდენად , რომ შეიძლება ითქვას, ლამის გაცვდა, გაუფერულდა ამ ცნებების ჟღერადობა; ამ დროს ჩვენს გვერდით ჩუმად, შეუმჩნევლად მოღვაწეობს, აგრძელებს თავისივე შექმნილ სამყაროს არსებობას ჭეშმარიტი ვარსკვლავიც, ლეგენდაც, კორიფეც, ერთ-ერთი პირველი ჯაზის მომღერალი არამხლოდ საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებშიც – ქალბატონი გიული ჩოხელი.

აი, შედგა გიული ჩოხელის შემოქმედებითი საღამო და მისი ვარსკვლავის გახსნა დიდი საკონცერტო დარბაზის წინ. ასეთი ზეიმი, საყოველთაო სიხარული და აღფრთოვანება, ჩემი აზრით, დიდი ხანია არ ახსოვს თბილისს. გიული ჩოხელის ფენომენის ახსნას რაც შეეხება, თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა კიდეც ამ საღამოს ინიციატორმა, ორგანიზატორმა, ასევე ერთ-ერთმა წამყვანმა (ეს უკანასკნელი ამპლუა მან გაინაწილა ნიკა წულუკიძესთან ერთად –თ.წ.), მუსიკოლოგმა ნია ბახტაძემ; გიული ჩოხელი თავისი ხელოვნებით, უსწრებდა ჩვენში არსებულ ვითარებას! – ვითარება კი ჩვენი ქვეყნისთვის, მოგეხსენებათ, საერთო ჯამშიც რთული იყო, სახელდობრ, ჯაზის ხელოვნებასთან მიმართებაში კი ეს საკმაოდ მკვეთრად გამოვლინდა. დაინტერესებულ პირთათვის ჩანაწერების მოპოვებაც

ძალიან რთულად ხდებოდა. ჯაზმენის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში თვით ქალბატონმა გიულიმ გადმოსცა იმ საღამოს თავის გამოსვლაში: იმხანად თუ სადმე ოფიციალურ ინსტანციაში მომიწევდა მისვლა – ჯაზმენი მოდისო და ყველა გარბოდაო. – ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გიული ჩოხელის შემოქმედებითი ცხოვრება ბრძოლითა და წარმოუდგენელი წინააღმდეგობების გადალახვით იყო აღსავსე. მომღერალი კი არა თუ ვერ მოდრიკა მის თავს დატეხილმა ქარიშხლებმა, პირიქით, ეს ყველაფრი უღვივებდა შემოქმედებით გზნებასა და შემართებას. საზოგადოების მხრივაც პატარა ნაწილისთვის იყო მისაღები მისი ხელოვნება. აუდიტორია, ალბათ, მაინც მეტ-ნაკლებად იყო მზად ქართულ ნიადაგთან შერწყმული ჯაზის მისაღებად. მომღერალი კი მაინც მიიკვლევდა გზას, რასაც ახლდა ბრძოლაც, წარმატება-აღიარებაც, უარყოფითი რეაქციებიც – შემოტევებიც, დამარცხებებიც, გამარჯვებებიც.

დღეს კი, როდესაც მისი შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლიდან 50-60 წელია გასული, ამ ხნის განმავლობაში ჯაზის ქართულ საწყისთან შედუღაბების მცდელობები სხვა განზომილებაში გადავიდა. ამდენად გიული ჩოხელის ხელოვნებას უკვე სხვანაირად მომზადებული შეხვდა მსმენელი. ამ საღამომ ცხადყო, რომ გიული ჩოხელის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ეპოქის დასაწყისი. მან შექმნა თავისი სახე ჯაზის სფეროში, იქ, სადაც წესით და რიგით უცხო სხეული უნდა ყოფილიყო, საოცარი ბუნებრიობით შეერ-

გიული ჩოხელი, დათო მაგანაშვილი.

წყა და მეტიც, თითქოს იმ "უცხო გარემოს" ორგანულ ნაწილად მოევლინა სამყაროს. მნიშვნელოვანი იყო იმ საღამოს აჟღერებული ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც, რომ გიული ჩოხელისაგან წამოსული იმპულსებით ჩვენმა კომპოზიტორებმაც გამოხატეს საკუთარი თავი ჯაზის სფეროში და ამ გადასახედიდან საკმაოდ საინტერესო ნიმუშებიც შექმნეს. დღეს კი, როდესაც ესოდენ აქტუალური გახდა ხელოვნებაში იდენტობისა და გლობალიზაციის საკითხი, ანუ ერთი მხრივ ეროვნული მეობის, ეროვნული ნიადაგის ერთგულება და მეორე მხრივ მსოფლიო პროცესების თანამონაწილეობა, ჩვენს სინამდვილეში ამის ერთ-ერთ საუკეთესო გამოვლინება შეიძლება სწორედ "ქართული ჯაზის ფენომენი" მივიჩნიოთ, ხოლო მის ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელად კი გიული ჩოხელი ვიგულოთ.

და მაინც, როგორ შემოვიდა გიული ჩოხელის ცხოვრებაში ჯაზი და ამდენად როგორ დაიწყო ის დიდი და მნიშვნელოვანი გზა, რომლის არსებობაც ამჯერად საზეიმოდ აღინიშნა, ამის შესახებ თავად მომღერალმა მოგვითხრო.

გიული ჩოხელი *— ამას წინ უძღოდა ჩემი ურთიერთობა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრთან, რომლის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობიც დედაჩემი, ელენე ჩოხელი გახლდათ, მას „სიცილის ოსტატს" უწოდებდნენ. დედაჩემი იყო გატაცებული ჯაზით, ჩუმად ისმენდა „სპიდოლათი", მეგობარმა გაუკეთა მოკლე ტალღები. მეც რომ გავხდი 13-14 წლის, ჩამირთო და მომასმენინა, ასე უცებ შემოვიდნენ ჩემს გულში ქაუნთ ბეისი, უილიამსი და გადამიტრიალეს ყველაფერი. შემდეგ უკვე ხრუშჩოვის დრო იყო და შესაძლებელი გახდა ამერიკული ფილმების ნახვა, სადაც უკრავდა გლენ მილერი. მეც ჩემთვის დავიწყე ამის სიმღერა. დედამ კი მითხრა — მგონი, პლეხანოვზე არის კლუბი, სადაც ჯაზს უკრავენო. მართლაც, მივედი, სამხედრო*

საიუბილეო კონცერტის შემდეგ. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი.

ორკესტრი დამხვდა, მეც ვიმღერე ჩემი იმპროვიზაციით. დირიჟორი გაგიყდა, რასაც ჰქვია და ეგრევე მიმიღო თავიანთ კლუბში. იმ დროიდან დავიწყე იქ სიმღერა. 1954 წლიდან კი უკვე მიმიწვიეს გპი-ს ჯაზ-ორკესტრში და იქედან დაიწყო სერიოზული კარიერა.

თამარ წულუკიძე — თქვენი შემოქმედებითი გზა ხანგრძლივი, ინტენსიური პროცესი იყო აღსავსე აღმაფრენით, გამარჯვებებით, წინააღმდეგობებით (მნიშვნელოვან მოვლენათა რიგს განეკუთვნება სოპოტის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მსოფლიოს 55 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, გრან-პრის მიღება და ევროპის საუკეთესო მომღერალთა ხუთეულში შესვლა, ტალინის და კიდევ მთელ რიგ საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალებზე ლაურეატობის მიღება და ა. შ.) მაგრამ რაღაც ხანი გიული ჩოხელი თვალს მიეფარა საზოგადოებრივი არეალიდან. შემდეგ კი კვლავ გამოჩნდა სულ სხვა ამპლუაში — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების რეჟისორი, მხატვარი, პოეტი.

გ.ჩ. — *მართალია. ჯერ იყო და დედაჩემის ავადმყოფობის გამო შევწყვიტე სიმღერა. შემდეგ კი ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურმა საერთო ცვლილებებმა ჩემს მდგომარეობაზეც მოახდინა ზეგავლენა. თბილისის ომი, ხალხის დაპირისპირება, უშუქობა, გაჭირვება... ვერაფრით ვერ წარმომედგინა, თუ კიდევ შეიძლებოდა სამამულო ომის სიმძიმის განმეორება.*

გამახსენდა ბავშვობის მწარე ეპიზოდები: პატარა გოგოს დედაჩემი როგორ მაგზავნიდა ფურნეში პურის წიგნაკებით.

ახლაც 1995 წელია, ვსხედვართ თბილისში, სახლში მე, ჩემი ქალიშვილი დინა რიჩკოვა, მისი მეუღლე და პატარა ბიჭი. ყველანი უმუშევრები, უფულოები. ასეთ ყოფაში ვართ და ჩემს სახლში გაისმა ტელეფონის ზარი. ვიღებ ყურმილს და მეუბნებიან, რომ გირეკავს აშშ, მომმართავენ რუსულად. გაკვირვებული ვკითხულობ, თუ ვინ არის. — აბა, თუ გაიხსენებთო, ათეული წლე-

ბის წინ მე, მოსკოველმა ბიჭმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა სადიპლომო თემად ავირჩიე მომღერალი გიული ჩოხელი და მოგმართეთ – აღიარებულ მომღერალს. თქვენ დიდი სითბოთი და გულისხმიერებით მიმიღეთ და ყველანარირი დახმარება გამიწიეთ. 1974 წელს ჩვენი ოჯახი (ებრაელები გახლდნენ) წავიდა ნიუ-იორკში და მას აქეთ იქ ვცხოვრობ. მაქვს საკუთარი რადიო, ტელევიზია, საკუთარი ვილა და შემიძლია დაგპატიჟოთ სტუმრადო. – ვუთხარი: არ შემიძლია არც სიმღერა, არც არაფერი მეთქი. – არა, ისე გეპატიჟებითო, როგორც საპატიო სტუმარს. – მე, როგორც ყოფილი საბჭოერთის მოქალაქემ სხვადასხვა სვლები გავთვალე, ვერ ვთქვი, რომ საშუალება არა მაქვს ჩასვლის, ვუთხარი, – ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ ჩამოვალ-მეთქი. – მან მიპასუხა, – გზის, ბილეთის, საცხოვრებლის დარდი ნუ გექნებათ, ყველაფრით უზრუნველყოილი იქნებითო. – ჩავედი და დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. უამრავი რადიო და ტელეგადაცემა მომზადდა ჩემს შესახებ. ბედნიერი ვიყავი, რომ გავიცანი ასტრუდ ჯილბერტო, რომელმაც პირველმა იმღერა ბოსანოვა საქსოფონისტ სტენვეცთან ერთად. ჩვენი, ბორის რიჩკოვის და ჩემი ჩამოყალიბებული თბილისური ჯაზბენდის, „ჩანგის“ წევრებმა რომ გაიგეს ნიუ-იორკში ვიყავი (ისინი დიდი ხანია იქ ცხოვრობენ), მომიწყვეს შეხვედრა ჩინურ რესტორანში; დამაჯილდოვეს ვილის კონოფერის (ეს იყო წლების განმავლობაში ამერიკის ხმა, რომელიც სწვდებოდა მსოფლიოს) მიკროფონით, რომელიც მთელ მსოფლიოში მარტო მე მაქვს; ჟურნალმა „დიდი ვაშინგტონი“ მთხოვა, გავმხდრიყავი მისი წევრი, მათ გადმომცეს ჯილდო „მე-20 საუკუნის მსოფლიო ჯაზის განვითარებაში გაწეული წვლილისათვის“. ფირმა „ინტერპრაისმა“ გამოსცა ჩემი დისკი. ეს ყველაფერი თავიდან ძალიან მომხიბლავი და ამაღელვებელი იყო, მაგრამ ბოლოს ძალიან დავიღალე – ყოველ საღამოს შეხვედრები, კონცერტები... ერთ საღამოსაც მოვედი სახლში და მომინდა რაღაც ცვლილება. გამოვყარე მთელი საჩუქრები, რაც მივიღე და ცელოფნის პარკების მიღმა დავინახე მხატვრული კომპოზიციები. ჩემს მასპინძელს – ოლეგს ვუთხარი, რომ რაღაც პერიოდი მჭირდება განმარტოება, ხალხისა და შეხვედრების გარეშე ყოფნა და საბოლოოდ მიიღებთ სიურპრიზს-მეთქი. – იმანაც მითმინა, მითმინა და საბოლოოდ დავპატიჟე სტუმრებთან ერთად და დავახვედრე 100 ნამუშევარი. რომ ნახა ჩემი ქმნილებები, გაგიჟდა, – სოჰოში, პავილიონში მოგიწყობთ გამოფენასო. მართლაც, შედგა გამოფენაც. ასეთი მოულოდნელობა მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ახლაც დიდი გატაცებით განვაგრძობ ამ სფეროში მოღვაწეობას. თბილისშიც მქონდა გამოფენა, მ. ბერძენიშვილის კულტურულ ცენტრ „მუზაში“. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გახლდით ამერიკაში. მაგრამ შემდეგაც თბილისში ჩამოსული კი ჩავიკეტე სახლში, ეგონათ არ ვარსებობ ან ამერიკაში ვცხოვრობ. ერთხელაც სიჩუმეში დაირეკა ზარი – ეს გახლდათ ნია ბახტაძე რადიო 1-დან, მომმართა გადაცემის გასაკეთებლად. მართლაც, რვა გადაცემა მომიძღვნა. გარდა ამისა, ნიას დამსახურება, მისი ინიციატივა იყო ჩემი საიუბილეო საღამოს მოწყობა და ვარსკვლავის გახსნა და ა.შ. მადლობის სიტყვებიც არ მყოფნის მისი და ამ პროექტის ყველა მხარდამჭერისა და მონაწილის მიმართ. ნიამ გამაცნო დათო მაზანაშვილიც, ეს არის ნამდვილი ჯაზმენი, ღრმად მოაზროვნე მუსიკოსი. მან კონცერტისათვის ძალიან რთულ არანჟირებას გაართვა თავი. დიდად მადლობელი ვარ კონცერტში მონაწილე ყველა მომღერლის, ესენი იყვნენ როგორც ახალგაზრდა, ასევე უკვე სოლიდური ასაკის მუსიკოსები, რომლებიც ჩემი რეპერტუარით წარსდგნენ. ახალგაზრდების რეპეტიციებს მეც ვესწრებოდი და გარკვეული მიმართულებაც მივეცი მათ ინტერპრეტაციას, რაც ძალიან ნიჭიერად განასახიერეს.

თ.წ. – ვინ არიან თქვენი კერპები ჯაზის სფეროში?

გ.ჩ. – პესიმისტურ განწყობაზე თუ ვარ, ვრთავ ისევ მაილზ დევისს, ელლა ფიცჯერალდს, ეს სულ სხვაა... ან დიდ ბრიჯი ოტერს, რომელიც თავისი ხელწერით არავის არ ჰგავს. არავის არ უნდა ჰგავდე, უნდა გაარღვიო რაღაც და შეიცნო შენი თავი.

თ.წ. – თავიდან რომ გიხდებოდეთ ცხოვრების გზის გამოვლა, რამეს თუ შეცვლიდით?

გ.ჩ. – არა, არაფერს არ შევცვლიდი. ახლა ვკითხულობ ჯაზის ისტორიას და ზოგიერთი ჯაზმენის ბიოგრაფია ძალიან ჰგავს ჩემსას.

ჩემზე ამბობენ, რომ ვულკანი ვარ, ყველაფე-

რი არის ჩემგან მოსალოდნელი. ალბათ, მართლა ეს ამოფრქვევა იყო მთელი ჩემი სამომღერლო კარიერა, ცელოფნის პარკებით შექმნილი კომპოზიციები, ჩემი გადაღებული ფილმები, ახლა ლექსებსაც ვწერ, სადაც ვანთხევ როგორც პირად ნაღველს, ასევე სამშობლოსთან დაკავშირებულ ტკივილს.

საიუბილეო საღამოზე სცენაზე რომ ვიტირე, ეს იყო ჩემი რეაქცია მთელ განვლილ ცხოვრებაზე, საიდანაც მოვედი. იმ საღამოს კი იყო დიდი ზეიმი, მაგრამ მე იმ წუთებშიგამახსენდა ჩემი ძალიან რთული და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება, თვალწინ წარმომიდგნენ ყველაზე ახლობელი ადამიანები, რომლებიც დღეს ცოცხლები არ არიან — დედა, მეუღლე, ქალიშვილი... და ეს ყველაფერი ამოვიტირე. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ მაქსიმალურად დავიხარჯე სიმღერისათვის, ჯაზისათვის, რაც მთავარია, ჩემი სამშობლოსათვის და ყველა გაჭირვება და დაბრკოლება ამ ყველაფრის მიმართ დიდმა სიყვარულმა დამაძლევინა!

საქართველოში ჯაზის ხელოვნებას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს განსაკუთრებული დამფასებლები. გთავაზობთ ამგვარი „კომპეტენტური მსმენელის“ დამოკიდებულებას გიული ჩოხელისადმი:

გაიოზ კანდელაკი: „მიმაჩნია, რომ გიული ჩოხელი ერთ-ერთი ლიდერი იყო ჯაზის სფეროში. სსრკ-ში ბევრი ვერ მღეროდა და არც მღეროდა ჯაზს, მაშინ ქუხდნენ ჩოხელი და ხომიანცი... როდესაც ქალბატონმა გიულიმ თავის პირადი და შემოქმედებითი ცხოვრება ჯაზის დიდ პიანისტს ბორის რიჩკოვს დაუკავშირა, მისმა რანგმა კიდევ მეტად აიწია. მაგალითად, პოლიტექნიკურში რომ იმღერა ბზვანელის „ჩავაქრე სანთელი“ — დიდებულად გაიჟღერა. საერთოდ თავისებური ინტონაცია ჰქონდა, სპეციფიკური. რაც არ უნდა ემღერა, ჯაზური მიდგომა ჰქონდა, ჯაზური აზროვნება. ახლა რომ სახვითი ხელოვნებით არის გატაცებული, ესეც ჯაზური ბუნების გამოვლენაა, ყველაფერში იმპროვიზაციულია.

ძალიან დასანანი იყო, რომ ასეთი დიდი ხელოვანი, ფაქტობრივად, მიტოვებული იყო. დღევანდელმა

ვარსკვლავის გახსნა. 20 მარტი, 2015.

მთავრობამ, კულტურის სამინისტრომ, ქალაქის მერიის სამსახურმა ყველაფერი გააკეთა მისი დამსახურების აღსანიშნავად“.

ვასილ კაჭარავა: „ყოველთვის მხიბლავდა გიული ჩოხელის ხელოვნება და მისი პიროვნება. ეს აღფრთოვანება მოდის მისი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან მოყოლებული. მან გაგვხადა ჯაზის ბრწყინვალე შესრულების მოწმე მაშინ, როდესაც ეს შეუძლებელი იყო.

ჯაზთან დაკავშირებით მაშინ იდეოლოგიური ფაქტორი არსებობდა. ამერიკის დეპარტამენტმა 1955 წელს შეიმუშავა პროგრამა „ჯაზის ელჩები“ და დიზი გილესპი, ლუი არმსტრონგი, მაილზ დევისი გააგზავნეს სხვადასხვა ქვეყნებში დიპლომატიური მისიით. იქ ისინი წარმოადგენდნენ ამერიკის, როგორც სახელმწიფოს სახეს. ამ ქმედების შემდეგ ჯაზისა და ამერიკის ცნებების გაიგივება მოხდა. ვინაიდან აშშ-სა და სსრკ-ს ურთიერთობა მაშინ არასახარბიელო იყო, ჯაზი იქცა მტრული ქვეყნის – ამერიკის სიმბოლოდ, მტრის ხატად. წარმოიდგინეთ, ამ ფონზე რამხელა ძალა და გამბედაობა იყო საჭირო, რომ გემოღვაწა. გასაკვირია, რომ გიული ჩოხელი – ქალი გაუმკლავდა ასეთ წინააღმდეგობებს და ფაქტობრივად, შეუძლებელი შესძლო. მან საოცრად კარგად შეითვისა ჯაზი, შეიყვარა და ეს სიყვარული ბოლომდე გაიტანა. როდესაც ჯაზს მღერიან სხვა ეროვნების ადამიანები, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ამერიკულის პირდაპირ კოპირებას, ქალბატონმა გიულიმ კი მოახდინა იშვიათი სინთეზი ამერიკული და ქართული საწყისების“.

საერთოდ, აღფრთოვანებული ვარ ქალბატონი გიულის პიროვნებით – დიდთან დიდია და პატარასთან პატარა. ძალიან სასიხარულოა, რომ დღემდე ფორმაშია, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე. ბედის მადლობელი ვარ, რომ ის გავიცანი.

მინაწერი: მოგეხსენებათ, დღევანდელ დღეს ყველაზე აქტიური საურთიერთო და ინფორმაციის მომწო-

დებელი ქსელი ფეისბუქი გახლავთ. გიული ჩოხელის საიუბილეო საღამოსა და ვარსკვლავის გახსნას ფბ-ზე დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მუსიკოლოგმა მარინა ქავთარაძემაც თავის გვერდზე გააზიარა კულტურის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ბიულეტენი გიული ჩოხელის შესახებ. გთავაზობთ გამოხმაურებების ამონარიდებს მარინა ქავთარაძის ფეისბუქის გვერდიდან:

თამარ წულუკიძე: ეს დიდი მომღერალი თითქოს გუშინ საღამოს აღმოაჩინა ქართველმა საზოგადოებამ...

მარინა ქავთარაძე: ბავშვობიდან მიყვარდა ჯაზი და შესაბამისად ქართული ჯაზის ლეგენდა — გიული ჩოხელიც, რომელმაც ცოცხლად გვაზიარა ჯაზს მაშინ, როდესაც ეს ტაბუდადებული იყო. მადლობა ნია ბახტაძეს, რომ ჩვენს საზოგადოებას გაახსენა უსამართლოდ დავიწყებული ნამდვილი ვარსკვლავი.

მარინა ჩიხლაძე: მადლობა ნია ბახტაძეს და მის შემოქმედენით გუნდს — გიული ჩოხელის დიდ საიუბილეო საღამოზე ფილარმონიის აუდიტორიას თბილისის 70-იანი წლების კარგად მონატრებული, ნოსტალგიური, მელოდიები რომ შეახსენა და ემოციებით აღსავსე საზოგადოება შინ ბედნიერი გაისტუმრა, ამ პროექტის მიზანიც ხომ ეგ იყო?!...

ნანა ლორია: ნურავის ნუ ეწყინება, მაგრამ ამ კონცერტის მონაწილეთა შორის ყველაზე კაშკაშა იყო ქალბატონი გიულის გამოსვლა — იგი გახლდათ შეუდარებლად თავისუფალი, გულწრფელი, ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი!!!

შემოქმედებითი გარდასახვანი
გიული ჩოხელი

„თამარ მეფის მონოლოგი“

წინაპრის ანდერძს ქარ-ცეცხლი ჰქვიან...
სახეში ნასროლი ტყვიების გვამი,
ვლოცულობ კოლხეთის გადასარჩენად,
რომ არ დაბრუნდეს ღალატის ჟამი.

ძველ ნანგრევებში დაძრწის თამარი,
ჭაღარა თმაში ვარდი დამჭკნარა,
წარსულ დიდებას ვერ დაიბრუნებს,
მტერმა დასტოვა გლოვის ამარა.

თამარ! ქალღმერთო! რატომ დაძრწიხარ?!
ცოცხალი ხარ თუ აჩრდილი?!
შენი ეპოქა აღარ არსებობს,
შემოგეხია მეფის მანდილი!

მე, არც ტახტს ვეძებ,
დაკარგულ გვირგვინს,
მძიმე ჟამს დავდე
მშვიდობის ფიცი,
მე ჩემს მონოლოგს არ ვუღალატებ —
მე ქართველი ვარ!
ეს, ყველამ იცის!
ცა დამშვიდდება, დაზრდიან შვილებს...
მშვიდობის ჟამი კვლავ დაბრუნდება...
წინაპრის ანდერძს დახევს, გადაყრის,
ახალ ცხოვრებას შუქით შეხვდება.

ჩემი აჩრდილი კოლხეთს აკურთხებს,
ქრისტიანობას ვუდგავარ ფარად,
ვლოცულობ მსოფლიოს გადასარჩენად,
ქრისტიანობას მიიღებს მარად.

მსოფლიოს ტრაგიკულ ქვაფენილებზე
დაჩოქილი გუნდი ავე-მარიას იმღერებს,
დაღუპულ გმირებს პატივს მიაგებს,
და ჩემს მონოლოგს არ დაივიწყებს.

ცა დამშვიდდება, დაზრდიან შვილებს,
მშვიდობის ჟამი კვლავ დაბრუნდება,
წინაპრის ანდერძს დახევს, გადაყრის,
ახალ ცხოვრებას შუქით შეხვდება.

ვიცი, გამიგებს შთამომავალი,
რწმენა შვილია, ღმერთთან მავალი.



ქართულ მუსიკალურ და თეატრალურ საზოგადოებას გამოაკლდა უნიკალური პიროვნება ავთანდილ (ავთო) დანელია, რომელიც საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

თავისი განათლებით იგი არ გახლდათ არც მუსიკოსი, არც თეატრალური რეჟისორი და არც ბალეტმაისტერი, მაგრამ მხატვრული შემოქმედების ყველა ამ და სხვა სფეროებშიც იგი ამჟღავნებდა გასაოცარ გათვითცნობიერებულობას, პროფესიონალიზმსა და ხელოვნებისადმი ჭეშმარიტად ფანატიკურ ერთგულებასა და სიყვარულს.

ქვემოთ, მე, ცხადია, ფაქტებითა და, წარმოიდგინეთ, ციფრებითაც შევეცდები დავასაბუთო ყოველივე ზემოთქმული, მაგრამ მანამდე, საჭიროდ ვთვლი, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩემი უმცროსი მეგობრის ბიოგრაფიის უმთავრესი მომენტების შესახებ.

ავთანდილი დაიბადა 1944 წელს, სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. მაგრამ განგების ნებით, მას აღარასოდეს მიუმართავს ქიმიისათვის!

და აი, რატომ. მოსკოვში სწავლის დაწყებასთან ერთად, ავთოს სულში გაიღვიძა ხელოვნებისადმი, პირველ რიგში, მუსიკისა და ბალეტისადმი, მხურვალე სიყვარულმა და ინტერესმა. ამის შემდეგ, უკვე სწავლის დამთავრებისას, იგი გახდა უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედების ოფიციალური ხელმძღვანელი. ამ თანამდებობაზე იგი რჩებოდა თითქმის 30 წლის მანძილზე, საქართველოში გადმოსახლებამდე.

ბუნებრივია, რომ მოსკოვში ცხოვრების წლების მანძილზე, ავთო დაუახლოვდა საბჭოთა მუსიკალურ, თეატრალურ და საბალეტო სამყაროს წარმომადგენლებს და, ამავე დროს, გამოჩენილ საზღვარგარეთელ ხელოვანთ და შემოქმედებით კოლექტივებს (მათ შორის, მილანის სახელოვანი საოპერო თეატრ „ლა სკალას“ არტისტულ დასს), რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მართავდნენ გასტროლებს მოსკოვში.

ახლა კი ზემოთნახსენები ფანტასტიკური ციფრების შესახებ, რომლებიც ამშვენებენ ავთოს ბიოგრაფიას.

ჩვენი მეგობარი ავთანდილ დანელია

გულბათ ცორაძე

გამოჩენილი მოცეკვავის მაია პლისეცკაიას გაცნობისა და დამეგობრების შემდეგ, ავთო დაესწრო სახელოვანი ბალერინას 337 სპექტაკლს (!) ჩაიკოვსკის „გედების ტბისა“ და „ჟიზელის“ წარმოდგენებში, 80-ზე მეტჯერ დაესწრო პროკოფიევის ოპერა „მოთამაშეს“ შესანიშნავი მომღერლის მაყვალა ქასრაშვილის მონაწილეობით მოსკოვის „დიდ თეატრში“. ცხადია, არ გამოუტოვებია სვიატოსლავ რიხტერისა

ავთო დანელია მე გავიცანი 1971 წლის ოქტომბერში მოსკოვის „დიდ თეატრში“ ვენის საოპერო თეატრის მიერ წარმოდგენილ ვაგნერის „ტრისტან და იზოლდეს“ სპექტაკლზე, რამაც ჩვენზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათა შორის, ავთოს ჰქონდა მუდმივი „საკუთარი“ ადგილი თეატრის მე-3 რიგში!

ერთმანეთს კი დავუახლოვდით მოგვიანებით,

და სხვა დიდებული საბჭოთა და უცხოელი მუსიკოსების, მათ შორის, ორი „დიდი ზურაბის“ — ანჯაფარიძისა და სოტკილავას სპექტაკლები, კონცერტები, კონკურსები ჩვენი სახელოვანი ელისო ვირსალაძის, ლიანა ისაკაძის, პაატა ბურჭულაძის, ეთერ ანჯაფარიძის, მოცეკვავეების — ნინო ანანიაშვილის, ნიკოლოზ ცისკარიძის, მიხეილ ლავროვსკის მონაწილეობით.

თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ავთანდილი დიდ ადგილს უთმობს მეგობრულ ურთიერთობას გენიალურ ვახტანგ ჭაბუკიანთან. ივი მრავალგზის დასწრებია (მათ შორის, უცხოეთშიც) გამოჩენილი მუსიკოსების ჰერბერტ კარაიანის, ზუბინ მეტას, ლორინ მააზელის და თავისი მეგობრის — ლუჩანო პავაროტის კონცერტებს.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ავთოს ბიოგრაფიაში ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარმა ურთიერთობამ 1970 წელს შეუდარებელ მარია კალასთან, რომელიც იმ დროს პ.ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ჟიურის წევრი იყო.

როდესაც ივი საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში 90-იან წლებში. სისტემატურად ვხვდებოდით ჩვენი კონსერვატორიის დარბაზებში. დავრწმუნდი მის განსაკუთრებულ მუსიკალურ ერუდიციაში და ხელოვნებისადმი ფანატიკურ ერთგულებაში.

მთელი დარბაზის ყურადღებას კი ავთო მუდამ იქცევდა დიდი გემოვნებით შერჩეული საჩუქრებით, რომლებითაც ივი აჯილდოებდა კონცერტში მონაწილე მუსიკოსებს. ავთო ძალიან შეიყვარა მთელმა ჩვენმა მუსიკალურმა საზოგადოებამ.

მალე ივი დაუმეგობრდა ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ მისი უშუალობით, უმაღლესი ზნეობრივი და მხატვრული კულტურით. მე სამუდამოდ დავრჩი მისი მადლიერი იმით, რომ მან ჩაატარა ჩემი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის — თამარ მაჭავარიანის ხსოვნის საღამო.

საკონცერტო და თეტრალური დარბაზების დამსწრეთა და, მით უმეტეს, მის ნაცნობ-მეგობართა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება საოცარი ადამიანის, დაუვიწყარი ავთანდილ დანელიას ნათელი სახე.

წერილი-გახსენება

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ნანავ-და“

ალა სხირტლაძე (ბუკაკიშვილი)

კონსერვატორიის მცირე დარბაზი. მარცხნიდან მარჯვნივ: თენგიზ შავლოხაშვილი, რუბენ კაჭილოტი, მარინა ქავთარაძე, ჟუჟუნა ახობაძე, იოსებ ბარდანაშვილი, ვალერი სხირტლაძე.

საოცარია ზოგჯერ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების თანხვედრა ან ზოგჯერ დაპირისპირებაც კი.

ჩვენს წერილს შეიძლება წერილი-გახსენება ვუწოდოთ. მისი დაწერის სურვილს ამ რამოდენიმე ხნის წინ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში გამართულმა კონცერტმა უბიძგა.

2015 წლის 20 მარტს კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ირინე ებრალიძის სადოქტორო პორტფოლიოს ნაწარმოებების საჯარო შესრულება.

კონცერტზე წარმოდგენილი იყო ფოლკჯაზის სტილის კომპოზიციები, რომლებშიც დოქტორანტის მიერ დამუშავებული და არანჟირებული ს. ცინცაძის, ვ.ა-ზარაშვილის ნაწარმოებებიდან თემები აჟღერდა, და თავად ი.ებრალიძის მიერ შექმნილი ორიგინალური ეთნოჯაზის ნაწარმოებები.

კონცერტი საინტერესო იყო როგორც შინაარსით, ასევე მასში მონაწილე მუსიკოსების მაღალი საშემსრულებლო დონით - აღსანიშნავია, რომ მასში, როგორც გამოცდილი ქართველი ჯაზმუსიკოსები: ლაშა სხილაძე (დასარტყამი), ზურაბ ასტამაძე (გიტარა), ლევან რუსია (ბას-გიტარა), ზუკა სიმონიშვილი (გიტარა), ნია უნდილაშვილი, ირინე ებრალიძე (ვოკალი), ასევე ახალბედა მომღერლებიც — თათია ყურაშვილი და გიორგი თედიაშვილი მონაწილეობდნენ. საღამომ სასიამოვნო, თბილი ასოციაციები გამოიწვია არა მარტო ჩემს, არამედ, იქ დამსწრე მუსიკოლოგ მარინა ქავთარაძის მეხსიერებაში — კონცერტის დაწყებისთანავე გადავხედეთ ერთმანეთს და... ჩვენი სტუდენტობის შორეული წლები გავიხსენეთ (1968-1973 წწ.).

იმ წლებში სტუდენტების ძალებით ორი ვოკალური კოლექტივი შეიქმნა — „მოტეტი“, რომელსაც კონსერვატორიის მაშინდელი პრორექტორი ბატონი გივი ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ნანავ-და“ - მას კი, თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი, ვალერი სხირტლაძე ჩაუდგა სათავეში.

ორივე კოლექტივი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო კონსერვატორიის სტუდენტთა ვიწრო წრეში, არამედ თბილისის ახალგაზრდობის სახელოვნებო სფეროში — განსაკუთრებით სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები მყავს მხედველობაში. უნდა ითქვას, ამ უმაღლეს სასწავლებლებს ერთობლივი სამეცნიერო კვლევებიც აკავშირებდა — ყოველწლიურად ერთიანი ძალებით იმართებოდა გასვლითი სტუდენტური სამეცნიერო სიმპოზიუმები ბაკურიანში, სადაც ხდებოდა იდეების, გამოცდილების და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ახალგაზრდული დროსტარება-მოლხენაც და ამგვარად, საფუძველი ეყრებოდა საინტერესო შემოქმედებით კონტაქტებს, მომავალი თაობის ინტელიგენციის ჩამოყალიბებას და განვითარებას. რაც ჩემი აზრით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითი გახლავთ სტუდენტთა ძალებით გამართული ჯაზის პირველი ფესტივალი. რომელიც თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ინიციატივით და ძალისხმევით ჩატარდა და სტუდენტთა წრეში დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი მოახდინა. მოგეხსენებათ, რომ ჯაზი სწორედ იმ წლებში იკიდებდა ჩვენში ფეხს და ასე ვთქვათ „უცხო და დასავლურ ხილს“ წარმოადგენდა, ამიტომ ერთგვარ ფრთხილ და ზოგჯერ აშკარად უარყოფით რეაქციასაც იწვევდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. ასეთი დამოკიდეულება კონსერვატორიის ზოგი ხელმძღვანელის სიფრთხაილეში გამოიხატებოდა, და ამიტომ ამგვარი ფესტივალის ჩატარებას კონსერვატორიის ხელმძღვანელობის საგანგებო ნებართვა სჭირდებოდა (ეს დღევანდელ ახალგაზრდებში გაკვირვებას გამოიწვევს, მაგრამ ასე იყო).

კონსერვატორიის სტუდენტთა საინიციატივო-საორგანიზაციო ჯგუფის მიერ ეს ნებართვა მოპოვებული იქნა და ისინი (ჯარჯი მაღალაშვილი, ვალერი სხირტლაძე, ვოგა შავერზაშვილი და სხვ.) დიდი ძალისხმევით და მონდომებით შეუდგნენ მოსამზადებელ სამუშაოს.

და აი, ეს ნანატრი დღეც დადგა — კონსერვატორიის დიდი დარბაზის კარები გაიხსნა ფესტივალისთვის. მახსოვს რამდენი მსურველი მოაწყდა კონსერვატორიის შესასვლელს (და არა მარტო ზემოთხსენებული უმაღლესი სასწავლებლებიდან). აუცილებელი გახდა მილიციის მიერ წესრიგის რეგულირება. ამ ხალხმრავლობის გამო ფესტივალის ჩატარება მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა, სამაგიეროდ კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ამ გახსენებით შეიძლება ცოტა გადავუხვიე ძირითად თემას, მაგრამ ამით კონსერვატორიის იმდროინდელი სტუდენტური ცხოვრების წარმოჩენა მინდოდა,

რომელიც საინტერესოდ და ინტენსიურად ვითარდებოდა, რა თქმა უნდა უფროსი თაობის ხელშეწყობით.

ჩვენი წერილის-გახსენების საგანს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ნანავ-და“ წარმოადგენს და ამიტომ მინდა გავიხსენო ერთი მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ანსამბლის შექმნაზე.

60-იან წლებში პარიზში ჩამოყალიბდა ბეკ-ვოკალისტების ჯგუფი, უორდ სვინგლის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფი თავდაპირველად მუშაობდა ისეთ მომღერლებთან, როგორებიცაა — ედიტ პიაფი, მიშელ ლეგრანი და შარლ აზნაური. ჯგუფის ხელმძღვანელს სვინგლს მალე ახალი იდეა დაებადა — ვოკალური ანსამბლის მეშვეობით ინსტრუმენტული მუსიკის შესრულება. სადებიუტო ალბომს დაერქვა "Jazz Sebastian Bach", რომელმაც მოუტანა ანსამბლს საერთაშორისო აღიარება და „გრემი“-ს პრემია. ბახს მოჰყვა ვივალდის, ვენის კლასიკოსების ნაწარმოებები, ხალხური სიმღერები და ჯაზური კომპოზიციები.

1963 წელს ანსამბლმა კომპანია ფილიფსთან ჩაწერა პირველი ფირფიტა "Jazz Sebastian Bach", შემდეგ "Going Baroque" და "Swingling Mozart". ამ ალბომებმა მიიღეს გლენ გულდის, ელლა ფიდჯერალდის, იეგუდი მენუხინის და სხვ. აღფრთოვანებული გამოხმაურება.

Swingle Singer-ის რეპერტუარში 1000-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის და სტილის (კლასიკიდან ჯაზამდე) დამუშავებული და არანჟირებული ნაწარმოებები შედის. თავისი არსებობის მანძილზე ანსამბლი გამოდიოდა ყველა კონტინენტზე, მსოფლიოს ყველაზე ცნობილ დარბაზებში, მათ შორის — კარნეგი ჰოლში და ნიუ-ორკის ფილარმონიაში, მილანის „ლა სკალა“-ში, პარიზის თეატრ „Satle“-ში, ამსტერდამის „კონცერტგებაუში“, ბუენოს-აირესის „კოლონში“ და სხვ. გამართა 4000-ზე მეტი კონცერტი.

ანსამბლის უნიკალური ვოკალური ტექნიკა სტიმულად იქცა თანამედროვე კომპოზიტორებისთვის, რათა შეექმნათ სპეციალურად მისთვის თავისი წარმოებები. ასე მაგალითად, იტალიელმა-ავანგარდისტმა ლუჩანო ბერიომ სპეციალურად მათთვის შექმნა სუიტა „A-Ronne“ (1974), ოპერა „არარაობა“ (1996), რომელიც დაიდგა „La Scala“-ში, და სხვა ნაწარმოებები. 1969 წელს ანსამბლმა ნიუ-ორკის ფილარმონიულ ორკესტრთან შეასრულა ლუჩანო ბერიოს ახალი ოპუსი — „Sinfonia“ ორკესტრის, 8 ვოკალისტის, ორგანის, კლავესინის და ფორტეპიანოსთვის (1968). ამ ნაწარმოების პრემიერა შედგა ამერიკის ერთ-ერთ ნაციონალურ სატელევიზიო არხზე და ამის შემდეგ ბერიოს ეს ნაწარმოები მე 20 საუკუნის ერთ-ერთ მუსიკალურ „ჰიტად“ იქცა.

თბილისშიც ძალიან პოპულარი გახდა ეს ანსამბლი. მახსოვს, როგორ ვშოულობდით, ერთმანეთს ვასმენინებდით და ვუზიარებდით ანსამბლის ახალ ჩანაწერებს, და რა გასაკვირია, რომ კონსერვატორიის სტუდენტები გაიტაცა "The Swingle Singers"-ის შესრულების ვოკალურმა მანერამ, მუსიკალურმა სტილმა და პროფესიონალიზმმა. ზუსტად ამან განაპირობა მათ მიერ ე.წ. სვინგლსინგერსის სტილის „გათავისება-გამოყენება“ ქართულ ფოლკლორსა და კლასიკასთან მიმართებაში. ანსამბლ „ნანავ-და“-ს შექმნელი და ხელმძღვანელი ვალერი სხირტლაძე იყო.

ვალერი სხირტლაძე ჩვენს მეხსიერებაში ახალგაზრდად დარჩა (1980 წელს ტრაგიკულად შეწყდა მისი ცხოვრება). ის თეორიულ განყოფილებაზე პროფესორ შალვა ასლანიშვილის კლასში სწავლობდა. ნიჭიერი, პერსპექტიული მუსიკოსი იყო. ყველაზე მეტად მას ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკა იტაცებდა — ჭაბუკობის წლებიდანვე 15-16 წლის ასაკიდან საქართველოს სხვადასხვა ანსამბლებში მღეროდა და ნელნელა არანჟირების ტექნიკას ეწაფებოდა, სიმღერებსაც წერდა. ძალიან უყვარდა ჯაზი. ეს მისწრაფებები კონსერვატორიის სწავლის პერიოდში უფრო გაფართოვდა და განვითარდა.

1973წ. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა ჯარის რიგებში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო საესტრადო ანსამბლ „რეროში“ სოლისტად და ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელად. 1975წ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ხელმძღვანელობდა ანსამბლ „მზიურს“. შემდეგ კი 1977 წლიდან ზ.ფალიაშვილის სახელობის რუსთავის №1 სამუსიკო სასაწავლებლის დირექტორი იყო, სადაც დაარსა და ხელმძღვანელობდა ვოკალურ

მარცხნიდან მარჯვნივ: თენგიზ შავლოხაშვილი, რუბენ კაჟილოტი, იოსებ ბარდანაშვილი, ვალერი სხირტლაძე.

–ინსტრუმენტულ ანსამბლს „რუსთავის გვირილები“, რომელიც კარგად იყო ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

ანსამბლ „ნანავ-და“-ში კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო და საშემსრულებლო ფაკულტეტების სხვადასხვა კურსის სტუდენტები გაერთიანდნენ — მარინა ქავთარაძე, ჟუჟუნა ახობაძე, ვალერი სხირტლაძე (მუსიკისმცოდნეები), თენგიზ შავლოხაშვილი, იოსებ ბარდანაშვილი, რუბენ კაჟილოტი (კომპოზიტორები); საშემსრულებლო ფაკულტეტიდან — თამაზ ხაბურგა (ფორტეპიანო), ალექსანდრე ანანიაშვილი (კონტრაბასი), ერვანდ (ვანდიკ) პეტროსიანი (ფლეიტა), და გამონაკლისს წარმოადგენდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ბოხო ნეფარიძე (დასარტყამი საკრავები).

ანსამბლი „ნანავ-და“ საინტერესო და შეიძლება ითქვას პირველი ცდა იყო ქართული სიმღერის შერწყმისა ჯაზთან და თანამედროვე ხერხებისა და სტილის საშუალებით მისი ახალ ამპლუაში წარმოჩენისა. შეიძლება დღეს ამით არავის გააკვირვებ — ახლა უფრო გაბედულად, თამამად ეკიდებიან სხვადასხვა ექსპერიმენტებს ფოლკლორთან მიმართებაში (გარკვეულწილად ანსამბლი „ნანავ-და“-ც ამას ისახავდა მიზნად), მაგრამ იმ წლებისთვის ნამდვილად ახალი და საინტერესო წამოწყება იყო.

ანსამბლის რეპერტუარი კლასიკოსების: ბახის ჰენდელის, რამოს, შოპენისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებისაგან შედგებოდა, ამასთან ერთად, ქართული და რუსული ხალხური სიმღერები. საგულისხმოა, რომ ამ ნაწარმოებების გადამუშავებას თვითონვე ანსამბლის წევრები აკეთებდნენ ანსამბლის საშემსრულებლო მანერაში და ამრიგად, კლასიკური და ხალხური მუსიკა სტილისტურ ერთიანობით ხასიათდებოდა. ასე რომ, ანსამბლი გარდა საშემსრულებლო შემოქმედებისა საკომპოზიტორო ცხოვრებითაც ცხოვრობდა — არანჟირება კარგ პროფესიულ დონეზე და დახვეწილი გემოვნებითკეთდებოდა. ასე მაგალითად — „ნანავ-და“, „Скоморошья“, „Во поле береза

стояла“, რამოს „კლავესინისტების რონდო“ (ვ. სხირტლაძე), „ჩაგუნა“, ჰენდელ „პასაკალია“ g-moll (ი. ბარდანაშვილი) „ცანგალა და გოგონა“ (რ.კაჟილოტი), შოპენის ნოქტიურნი (თ. შავლოხაშვიული).

ტებს საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

უნდა ითქვას, რომ ამ ანსამბლის არსებობით კონსერვატორია ამაყობდა, რაც მის შემოქმედებით ყოფას

მარცხნიდან მეოთხე ვალერი სხირტლაძე, ბოლო — ბ. ნეფარიძე.

რეპერტუარის მრავალფეროვნებით და შესრულების პროფესიონალიზმით ანსამბლმა პოპულარობა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებსაც გარეთაც მიაღწია, რასაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ხშირი და წარმატებული საგასტროლო მოგზაურობები ადასტურებს. ანსამბლი მართავდა კონცერ-

ამდიდრებდა. ამის მაჩვენებელი ის იყო, რომ კონსერვატორიის ხელმძღვანელობა ანსამბლს ყურადღებას არ აკლებდა, კონცერტების სხვადასხვა პროგრამებში რთავდა. კონსერვატორიის მაშინდელმა რექტორმა, ბატონმა სულხან ცინცაძემ, ხელი შეუწვო ამ წამოწყებას და შემდგომში მხარშიც ამოუდგა სტუდენტებს.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლს ბატონი ანზორ ერქომაიშვილი გულშემათკივრობდა და მხარს უჭერდა ქართულ სიმღერასთან მიმართებაში ასეთი სტილის გამოყენებას (ანზორ ერქომაიშილთან ვ. სხირტლაძეს მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა აკავშირებდა). გარდა ამისა ანსამბლს მეცენატებიც გამოუჩნდნენ და სტაბილურად გარკვეულ ფინანსურ დახმარებასაც უწევდნენ, ეს კი ერთგვარ სტიმულს აძლევდა სტუდენტებს.

ასეთია ანსამბლ „ნანავ-დას" შექმნისა და ხანმოკლე არსებობის ისტორია. მოკლე დროში (სულ 3 წელი იარსება), ანსამბლმა საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარი დააგროვა, მოასწრო ჩანაწერების გაკეთება (საქართველოს ტელევიზიაში — 1973წ. და ტელევიზიის მუსიკალური რადიოს რედაქციაში — 1971წ.). სამწუხაროდ, მხოლოდ რადიოს ჩანაწერი მოვიძიეთ, რომლის საშუალებითაც ჟურნალის მკითხველებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება ანსამბლზე.

რატომ შეწყვიტა ანსამბლმა თავისი არსებობა?! სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზი მასში გაერთიანებული სტუდენტების დროის უქონლობა უნდა ყოფილიყო — ბოლო კურსებზე მყოფ ახალგაზრდებს თავისი სადიპლომო ნამუშევრებისთვის უნდა მიეხედათ. ყველა მათგანი კი შემდგომში კარგი პროფესიონალი გახდა.

ანსამბლის წევრი კომპოზიტორი თ.შავლოხაშვილი იხსენებს:

თბილისის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში სტუდენტებმა შევქმენით ვოკალური ანსამბლი „ნანავ-და". მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ვალერი სხირტლაძე. ვალერის მუსიკალური მონაცემები და შემოქმედებითი ალღო ანსამბლის პროფესიული წრთობის საწინდარი გახლდათ, თუმცა ამისათვის ძალისხმევას არც ჩვენ, საკომპოზიტორო განყოფილების სტუდენტები — სოსო ბარდანაშვილი, რუბენ კაჟილოტი და მე ვაკლებდით. ანსამბლ „ნანავ-დას" განსაკუთრებული შემოქმედებითი მიმართულება და სტილი გააჩნდა, რომელიც „სვინგელ სინგენსების" სტილს უახლოვდებოდა. ვალერი სხირტლაძე მენეჯერის თვისებებითაც იყო დაჯილდოებული. ამ თვისებების წყალობით ანსამბლს საგასტროლო ტურნეები ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც კონცერტები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. (გასტროლების დროს არც გართობა და ოინბაზობა გვაკლდა, რაც ჩვენი მეგობრული და კეთილმოსურნეობის გამოვლინება იყო). ძალზე სამწუხაროდ, ვალერი სხირტლაძე მალე ხელიდან გამოგვეცალა, სრულიად ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა (უფალმა აცხონოს მისი სული!)".

P.S.

ხშირად ვფიქრობ, რომ შეიძლება ვერ მოვასწარი სხვანაირი ვალერის დანახვა-გაცნობა, ღმერთმა არ მაცალა, მის უარყოფით თვისებებს ვერ ან არ ვიხსენებ, სამაგიეროდ ჩემს მეხსიერებაში ასეთი ადამიანი დარჩა — თბილი და მოსიყვარულე ახალგაზრდა, ნიჭიერი, შემოქმედი, კარგი მეგობარი, იუმორის ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, შესანიშნავი მეუღლე და არაჩვეულებრივი მამა. ვიცი რომ მრავალი განუხორციელებელი ფიქრი, იდეა, აზრი წაიღო თან! დამიტოვა თავისნაირი თბილი, მზრუნველი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით და ნიჭით დაჯილდოებული ვაჟკაცი.

დღეს ჩვენს ოჯახში კიდევ ორი პატარა ბიჭი იზრდება (ვალერის შვილიშვილები). უფროსი — ვალერი, ბაბუამისის სახელს ატარებს.

მიხარია, რომ ჩემი ვაჟკაცები სიყვარულით და სიამაყით იხსენებენ ბაბუას და უფრთხილდებიან ყველა იმ მოგონებას, რაც მის სახელს უკავშირდება.

ისიც ვიცი, რომ ეს წერილი-გახსენება თბილ მოგონებებს განაახლებს მისი მეგობრების მეხსიერებაში!

თბილისის კონსერვატორია მსოფლიო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე

მარიამ მეფარიშვილი, თეონა უგულავა
(კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტები)

გაზაფხულობით თბილისის კონსერვატორიის შემოქმედებითი ცხოვრება განსაკუთრებით ინტენსიური ხდება. ძირითადად სასწავლო წლის სწორედ ამ პერიოდში ტარდება სხვადასხვა სახის საშემსრულებლო კონკერსები, ფესტივალები და სამეცნიერო კონფერენციები. ამ მხრივ გამონაკლისს არც წლევანდელი სასწავლო წელი წარმოადგენს. ჩვენთვის, მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის სტუდენტებისთვის გან-

თბილისის კონსერვატორია. კონფერენცია.

საკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 17-19 აპრილს თბილისში ჩატარებული საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია „მუსიკალური იდენტობა და კულტურათა გზაჯვარედინი“.

კონფერენცია მიზნად ისახავდა მულტიკულტურალიზმის, მრავალფეროვანი პრობლემატიკის განხილვას და ეროვნული იდენტობის წარმოჩენას გლობალიზაციის ეპოქაში.

კონფერენცია ორიენტირებული იყო ეჩვენებინა იდენტობისა და კულტურათა გზაჯვარედინის პრობლემატიკის მრავალფეროვნება არა მხოლოდ სამეცნიერო-მუსიკოლოგიურ, არამედ პრაქტიკულ-საშემშრულებლო რაკურსებში. ამასთან, პროექტი მიზნად ისახავდა ქართული თანამედროვე მუსიკოლოგიური სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებას და განსხვავებული ტრადიციების მქონე სამეცნიერო სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.

აღსანიშნავია კონფერენციის შინაარსობრივი მხარე. მისი პროგრამა მოიცავდა დღევანდელი მუსიკალური მეცნიერებისათვის ძალზედ აქტიალურ საკითხთა ფართო წრეს, სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალურ სფეროში მიმდინარე პროცესებს. განსხვავებულ რაკურსში შუქდებოდა ეროვნული იდენტობის ფენომენი(ეთნოლოგიის, ლიტურგიკული მუსიკის, საკომპოზიტორო შემოქმედების, ინტერნაციონალური და ნაციონალური ტრადიციების, კონკრეტული მუსიკალური ჟანრების, აღმოსავლურ-დასავლური მუსიკალური კავშირების ჭრილში). საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი ინტერდისციპლინარული რაკურსით.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ წამყვანი ქართველი მუსიკოლოგები - თეორეტიკოსები, ისტორიკოსები, ფოლკლორისტები, საეკლესიო მუსიკის სპეციალისტები. სტუმართა შორის იყვნენ მუსიკოლოგები ლატვიიდან, ლიტვიიდან, ირანიდან, თურქეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, საბერძნეთიდან, კანადიდან. ზოგი მათგანი უმაღლესი მუსიკალური განათლების ცნობილი კერების წარმომადგენელი და სახელმოხვეჭილი მუსიკის თეორეტიკოსია, ზოგი კი, ახალგაზრდა სპეციალისტი, ან დოქტორანტი. მაგრამ ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ინფორმაციული ტევადობის, პრობლემატიკის აქტუალობის თვალსაზრისით, მრგვალი მაგიდის დროს წამოჭრილი საკითხების გათვალისწინებით ეს კონფერენცია ძალზედ შედეგიანი იქნება თითოეული მონაწილის შემდგომი სამეცნიერო მუშაობისთვის.

უშუალოდ კონფერენციამდე, 16 აპრილს უცხოელ-

იანის კუდინში (ლატვია), ნინო ჟვანია.

მარიკა ნადარეიშვილი.

მა მონაწილეებმა ჩაატარეს მასტერკლასები და ვორქშოფები.

იაზეფს ვიტოლსის სახ. ლატვიის მუსიკის აკადემიის ასოც. როფესორი იანის კუდინში წარუძღვა მასტერკლასს თემაზე: „სტილისტურად კონსერვატიულ პოსტ-მოდერნიზმსა და ნეოავანგარდს შორის: სიტუაცია XXI საუკუნის დასაწყისის ლიტვურ აკადემიურ მუსიკალურ სფეროში“.

ამავე დღეს ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტის დოქტორმა ემანუილ ვლიტაკისმა ჩაატარა ვორქშოფი კონსერვატორიის სტუდენტ კომპოზიტორებისათვის.

20 აპრილს ლიტვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის მუსიკოლოგიური დეპარტამენტის პროფესორმა გრაჟინა დაუნორავიჩიენემ წაიკითხა ლექცია სათაურით, „მიკალოუს კონსტანტინას ჩურლიონისის მოდერნისტული ექსპერიმენტები (1875-1911წ.წ.)“.

ლექცია-სემინარების პროცესმა თავის მხრივ განსაკუთრებული შემეცნებითი დატვირთვა ჰპოვა აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში.

მრგვალი მაგიდა – „თვითიდენტობა და გლობალიზაცია“

18 აპრილს, კონფერენციის მეორე დღეს, სამეცნიერო სესიებს დასრულების შემდეგ გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: ,,თვითიდენტობა და გლობალიზაცია“. კონფერენციის მონაწილე მომხსენებლებს შორის გაიმართა დისკუსია ესოდენ აქტიალურ და მნიშვნელოვან საკითხზე. დისკუსიის პროცესში გამოიკვეთა მრავალი განსხვავებული წახნაგი. უპირველეს ყოვლისა აქცენტი გაკეთდა მუსიკალური იდენტობის კატეგორიებზე — გლობალურსა და ლოკალურზე და მათ ურთიერთმიმართებაზე. იდენტობასთან დაკავშირებით გამოითქვა საინტერესო და განსხვავებული შეხედულებები.

მრგვალი მაგიდის დისკუსიამ წამოჭრა მრავალი მნიშვნელოვანი შეხედულება და დასვა ბევრი სამსჯელო კითხვა. ყურადღება გამახვილდა იდენტობის ფენომენზე, როგორც ურთიერთდამოკიდებულებაზე ჩემსა და სხვას შორის. რასთან მივყავართ ამ პროცესს, განსხვავებების პოვნისკენ, თუ საკუთარი თავის და ინდივიდუალიზმის ძიებისკენ. როდესაც ინდივიდუალიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთობის პრობლემატიკა წამოიჭრა, მან გამოიწვია მსჯელობის ინტერდისციპლინარული ჭრილი. გაჩნდა მისი ახსნის ფილოსოფიური მხარე მოაზროვნეთა შეხედულებების გათვალისწინებით, ასევე აღინიშნა კომპოზიტორისა და იდენტობის მიმართების საკითხი.

საბოლოო ჯამში მრგვალი მაგიდა კონფერენცი-

კონფერენციის დასკვნითი კონცერტი კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

ის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ურთიერთშემეცნებით პროცესად იქცა. აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ ამ პროცესში მეცნიერების გარდა აქტიურად ერთვებოდნენ კომპოზიტორები და შემსრულებლები, ეს კი საკმაოდ მრავალწახნაგოვანს და მრავალიდეურს ხდიდა მსჯელობის პროცესს.

კონცერტი

სამეცნიერო სესიის ლოგიკური გაგრძელება იყო უაღრესად შთამბეჭდავი კონცერტი ,,კულტურათა გზაჯვარედინი" (ორგანიზატორი და მონაწილე ნინო ჟვანია), რომელმაც პრაქტიკაზე წარმოაჩინა იდენტობის მრავალფეროვნება.

კონცერტი პოლისტილისტური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ქართულ ხალხურ მუსიკას ენაცვლებოდა თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკით შექმნილი ახალბედა და უკვე სახელმოხვეჭილი ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. საუკეთესო მხრიდან წარმოჩინდნენ კონსერვატორიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

„კიდევაც დაიზრდებიან“...

თამარ მესხი

ნათქვამია — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო — მეც ასე დამემართა. ჩემმა პატარა შვილიშვილმა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლაზე ცივი უარი მტკიცა. დრო რომ არ დამეკარგა, ჩემს კოლეგებთან გავიკითხე და მათ რჩევით კახა ონაშვილთან მოვხვდით. ასე შედგა პატარა გიორგი ბარამიძის შეხვედრა ამაგდარ მასწავლებელთან, რომლის დიდი დამსახურებითაც ბიჭები უსაქმოდ ყიალის მაგივრად სულმოუთქმელად მიიჩქაროდნენ სიმღერის გაკვეთილებზე. ბუნებრივია, თავიდან მათ არც საჭირო ჩვევები, თუ რაიმე გამოცდილება, ან საკმარისი „მუსიკალურ-ლექსიკური“ მარაგი გააჩნდათ. ეს ყველაფერი მოგვიანებით მოვიდა, როცა მოზარდების შინაგანი მოთხოვნილება სერიოზულ ინტერესში გადაიზარდა და ხალხური სიმღერაც ნელ-ნელა მათი ცხოვრების წესის სისხლხორცეული ნაწილი გახდა.

წინამდებარე წერილი ჩემი უსაზღვრო მადლიერების გამომხატველია ღირსეული ოსტატისადმი, რომელმაც თავის მადლიან კვალში ჩააყენა პატარა შეგირდები.

ქართული სამუსიკო ფოლკლორის, როგორც უნიკალური კულტურული საგანძურის ფასი, დღეს საყოველთაოდაა ცნობილი. ქართული მუსიკალური ფენომენის რაობასა და მნიშვნელობაზე არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებიც მსჯელობენ.

ქართული ტრადიციული სამუსიკო შემოქმედება ორიგინალური მრავალხმიანობით გამორჩეული, უძველესი, მრავალდიალექტიანი, ჟანრულად მრავალსახოვანი მაღალმხატვრული მოვლენაა.

2001 წელს იუნესკომ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში შექმნილია ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი ჯგუფები, რომლებიც ხშირად თბილისში გამართული ფორუმების — სამეცნიერო სიმპოზიუმების მონაწილეებიც არიან.

ქართული მუსიკის მესვეურებმა სამუსიკო განათლების გარიჟრაჟზევე განჭვრიტეს მოზარდი თაობის ეროვნულ ჰანგებზე „ამეტყველების“ აუცილებლობა. მათი თვალთახედვით ხალხური სასიმღერო ნიმუშების თანდათანობით, სისტემატიზირებული სწავლება არათუ მნიშვნელოვან, არამედ უცილობელ ამოცანას წარმოადგენდა. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს პედაგოგიკაში გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, რომ ახალთაობის სულიერი წვრთნა, ესთეტიკურ-მხატვრული ინტერესების, აზროვნებისა და მუსიკალური ინტელექტის ჩამოყალიბება ეროვნულ საწყისებს უნდა ემყარებოდეს.

ცნობილია, რომ ქართული ხალხური სიმღერების პირველი კრებულის გამოცემის აზრი „დედა ენის“ ავტორს ეკუთვნის, რაც სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს ამ ცნობილ პიროვნებას. იაკობ გოგებაშვილისა და მიხეილ მაჭავარიანის მიერ შედგენილი „სამშობლო ხმები“ თითქმის ლოზუნგად იქცა ყმაწვილთა ეროვნული აღზრდის საქმეში.

თუმცა, უდავო ჭეშმარიტების მიუხედავად ქართული ხალხური სიმღერის სწავლება ყოველთვის როდი იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამ სავალალო ტენდენციის მიზეზები კერძო თუ ზოგადი, ობიექტური თუ სუბიექტური იყო. უმთავრესი კი მაინც ის გახლდათ, რომ საბჭოური იდეოლოგიით თავსმოხვეული ინტერნაციონალური სულისკვეთების ბატონობის ხანაში ეროვნულ ნიადაგზე სწავლება ერთგვარად ჩრდილქვეშ მოექცა, შემდგომში კი ეროვნული ცნობიერებით ნაკარნახევმა მოწინავე შეხედულებებმა თუ წარსულის ხარვეზებმა განსაკუთ-

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მძლეავარი“.

რებული სიმწვავით დააყენა ახალგაზრდობის ნაციონალურ-პატრიოტული თვითშეგნების ფორმირების საკითხი.

ჩვენი მოუწესრიგებელი, აწეწილი საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე ჯერ კიდევ საჭიროა ისეთ ტრივიალური ჭეშმარიტებების მტკიცება, რაც ცივილიზებული საზოგადოებისათვის ნათელია. მრავალ მიღწევათა მიუხედავად, თავი იჩინა გემოვნების დაქვეითების, სტერეოტიპის, მიმბაძველობის პრობლემებმა, რასაც მსხვერპლად ეწირება მსმენელის ყური თუ ესთეტიკური გემოვნება.

საესტრადო თუ ტელე შოუებზე აღტკინებული მოსახლეობის დიდ ნაწილს ნაკლებად აინტერესებს მაღალი მხატვრული ღირებულებანი და ჭეშმარიტი მუსიკალური ფასეულობები. ათასგვარი საზრუნავით დამძიმებულ დღევანდელობას განსაკუთრებით ეძვირფასება ზნეობრიობისა და სულიერების მქადაგებელი, ეროვნული ტრადიციებსა თუ მუსიკალურ „მადანში“ გამობრძმედილი, წინაპართა დანატოვარი საუნჯის ერთგულად მოდარაჯე გულმხურვალე მამულიშვილები.

ეროვნული სულისკვეთების მქონე ადამიანთა შორის კახაბერ ონაშვილი სწორედ ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქართული ხალხური სიმღერით იცხოვრა და დღესაც მისთვის იღვწის. მუსიკალურ-ფოლკლორული სივრცე მისი ცხოვრების ძირითადი ასპარეზია, ყოველდღიური ფიქრისა და ზრუნვის საგანი. იგი გატაცებით, უხმაუროდ, ამბიციების გარეშე, უანგარო სიყვარულით ემსახურება მას, თუმცა ხმამაღლა ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამ სიყვარულზე. გაუნელებელი ჟინითა და დაუღლელად ამ გზით მავალს, არასოდეს უცდია ოდნავ მაინც გადაეხვია იმ გზიდან, არსთა გამრიგემ და ოჯახურმა გარემომ ყრმობიდამვე რომ განუსაზღვრა.

სიმღერა-საგალობლების შესწავლა საქართველოში ოდითგანვე საგვარეულო ოჯახურ ტრადიციას წარმოადგენდა. საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული საშემსრულებლო სტილი უნიჭიერესი ხალხური მომღერლების მიერ თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამ ტრადიციის მატარებელთა რიგს განეკუთვნება ონაშვილების გვარიც — მამა-შვილის, ტარიელ და კახაბერ ონაშვილებისა თუ მათი მემკვიდრის ტარიელ უმცროსის სახით.

საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, ზაქარია ფალიაშვილისა და ალბერტ შვაიცერის სახელობის

კახაბერ ონაშვილი

პრემიების ლაურეატმა, ქართული ტრადიციული სიმღერის ცნობილმა შემსრულებელმა და სწორუპოვარი ქართლ-კახური დიალექტის დიდოსტატმა ტარიელ ონაშვილმა ესტაფეტა ვაჟს გადაულოცა და პროფესიულ სამიზნედ ახალთაობის ღირსეულ შთამომავლებად აღზრდის ეროვნული საქმისადმი ერთგულება დაუსახა. კახაბერმა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო განხრით დაამთავრა. იგი მამასთან ერთად ანსამბლ „რუსთავში“ მღეროდა. ამასთან ერთ-ერთ თვალსაჩინო ლოტბარად ითვლება.

მათი ხელმძღვანელობით 1994წ. შეიქმნა ბიჭების ფოლკლორული გუნდი „მძლევარი“, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი ყმაწვილი ეუფლება მშობლიურ სიმღერებს. სახელწოდება „მძლევარი“ ძველქართულ ტერმინს „ძნობა“ (გალობა) უკავშირდება. განმარტებითი ლექსიკონის თანახმად მძლევარი მჯობს, დამძლევს ნიშნავს. ერთდროულად კი გადამფრენი მგალობელი ფრინველების გუნდს გულისხმობს.

თავისი ოცწლიანი არსებობის მანძლზე „მძლევარმა“ მრავალი გამარჯვება მოიპოვა და საუკეთესო გუნდის რეპუტაცია დაიმკვიდრა. მის მიღწევათა შორის აღსანიშნავია რესპუბლიკურ ფესტივალ „ოქროს მართვეს“ პირველი ხარისხის დიპლომი, საყმაწვილო პირველ მსოფლიო დელფიადაში მონაწილეობა, თბილისის ფოლკორული ფესტივალის, საქართველოს ფოლკლორული სიმღერების და ფესტივალ „მომავლის ხმების“ პირველი ადგილები, ვალერი გერგიევის მოსკოვის სააღდგომო ფესტივალის ლაურეატობა, პრიზი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისათვის პომორიეს (ბულგარეთი) მართლმადიდებლური ხმების ფესტივალზე. წარმატებული გამოსვლები მაკედონიაში, ბულგარეთში, ეგვიპტეში, შვეიცარიაში, სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში ანსამბლ „რუსთავსა“ და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟ. ვახტანგ კახიძე). „მძლევარის“ რეპერტუარშია სხვადასხვა კუთხის, ჟანრისა და სირთულის 200-მდე სიმღერა.

გუნდ „მძლევართან“ ერთად ფუნქციონირებს ასე-

ვე უფროსების ანსამბლი (13 მომღერალი), რომელიც სანაქებო პროფესიონალიზმით ასრულებს ურთულეს პოლიფონიურ კომპოზიციებს, მელოდიურ-რიტმული სტრუქტურით, კილოური, ჰარმონიული თავისთავადობითა და ჟანრული ნაირსახეობით აღბეჭდილ 100-ზე მეტ ნაწარმოებს. ანსამბლი „მძლევარი“ 2007წ. შეიქმნა. იგი უკვე აღიარებული დასია. პირველი თაობის აწ დაოსტატებული მომღერლები გვერდში უდგანან ნორჩ შემსრულებლებს. მათგან როგორც პედაგოგი, მთელი ძალისხმევით იღწვის არჩილ როინიშვინილი (ლოტბარი). ანსამბლში გაერთიანებულნი არიან ჩინებული შემსრულებლები კახაბერ ლელუაშვილი, ლევან კვინიკაძე, ილია და დაჩი ბახუაშვილები, გიორგი კონტრიძე, გიორგი ჭელიძე, დავით სპარსიაშვილი, თამაზ ჯაფოშვილი, თემურ რიჟამაძე, ლადო ილურიძე, ასევე დავით ყიფიანი, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა „მძლევარს“.

წმინდა ფოლკლორული სასიმღერო ნიმუშების პარალელურად ანსამბლი „მძლევარი“ ჩინებული ოსტატობით ასრულებს პროფესიულ საგუნდო ნაწარმოებებსაც, რამაც მისი აკადემიურ, კლასიკურ საგუნდო კოლექტივად ჩამოყალიბება განაპირობა.

„მძლევარის“ უმცროს-უფროსი თაობის წევრთა და მესვეურთა უშრეტი ენთუზიაზმი, შემართება თუ პროფესიული რესურსი მომავალი მიღწევების საწინდარია. თუმცა თვით შემოქმედებითი პროცესის, მომღერალთა მხატვრული შესაძლებლობების გახსნა-განვითარების „საიდუმლოებათა“ გამჟღავნებაში თვით ბ-ნი კახა დამეხმარა. კითხვას კითხვა მოჰყვა, პასუხს — პასუხი და ჩვენი დიალოგიც შედგა.

თამარ მესხი — ვინ და რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი პროფესიული მრწამსი. ოჯახურმა ატმოსფერომ, სიყრმისეულმა მისწრაფებებმა და შთაბეჭდილებებმა, მასწავლებლებმა თუ?..

კახა ონაშვილი — *თითქმის ორი წლის ასაკიდან ვმღერი. მუსიკალობა თავიდანვე დამყვა ოჯახიდან, სადაც ყველა მღერის. მამაჩემის — ტარიელ ონაშვილის საშემსრულებლო მოღვაწეობას მარტო ტელევიზიით*

როდი ვადევნებდი თვალყურს. შინაური მუსიკირების ყოველდღიური ფონი, რეპეტიციები და კონცერტები ხალხური სიმღერისადმი დიდ ლტოლვას აღძრავდა ჩემში. ოთხი-ხუთი წლის ცეროდენა და-ძმას სამხმად სიმღერაც შეგვეძლო. 6 წლისა ანსამბლ „მართვეში“ ჩავირიცხე და ქართული სიმღერის გამოჩენილ ოსტატებთან — ანზორ ერქომაიშვილთან, ჰამლეტ გონაშვილთან და სხვებთან ვეზიარე ფოლკლორულ საგანძურს. სწორედ მამაჩემის ხელოვნებამ და „მართვე“-ში გატარებულმა წლებმა განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლამაც, სადაც მუსიკალური განათლება მივიღე.

თ.მ. — მოზარდებში თანდათან სუსტდება მუსიკალურ-შემეცნებითი მოთხოვნილება, ეცემა ინტერესი. უფრო მეტიც — ბავშვები იძულებით სწავლობენ. მხოლოდ მცირე პროცენტს აქვს შეგნებული ცოდნის, განათლების საჭიროება. როგორც ჩანს, ტრადიციულ სისტემაში რაღაც ვერ არის კარგად. სტანდარტულმა მეთოდიკამ ამოწურა თავი. ალბათ, დროა ალტერნატიულ პრინციპებზე დამყარებული ფორმების დანერგვა. ერთ-ერთ მთავარ პოსტულატად უნდა მივიჩნიოთ ინდივიდუალური, სიღრმისეული მიდგომა აღსაზრდელისადმი, თითოეული მათგანის შესაძლებლობათა გამოვლენა და განვითარება. როგორია თქვენი მიდგომა ზოგადად პრობლემის, ან კონკრეტულად სწავლებისადმი.

კ.ო. — *ქართული სიმღერა მსოფლიოში უმაგალითო მოვლენაა. მრავალხმიანობის მრავალფეროვნებითა და მაღალმხატვრულობით სხვადასხვა ხალხების კულტურულ მემკვიდრეობაში მას ანალოგი არ გააჩნია. მსოფლიო ცივილიზაციის შედევრებთან ერთად ხომალდ „ვოიაჯერით“ გალაქტიკაში ხომ ჩვენი „ჩაკრულოც“ გაიგზავნა. საყოველთაოდაა ცნობილი ივორ სტრავინსკის აღტაცებული შეფასება „ხასანბეგურას“ მოსმენის შემდეგ.*

ქართული სიმღერა ჩვენი უდიდესი მონაპოვარია, განსაკუთრებულად ფასეული და საპატრონო. ჭკვიან კაცს უთქვამს — თუ სიმღერის გადარჩენა გინდა, ის ბავშვს უნდა ასწავლოო. ასე გაზრდილი შვილების სახით საიმედო მომავალი თაობა გვეყოლება. ოჯახსა და საგანმანათლებლო კერებთან ერთად დიდი როლი ეკისრება ელექტრონულ მედიასაც. ტელე-რადიო ეთერში ხშირად უნდა ისმოდეს ხალხური ჰანგები. თუ ჩვენს სახლებში არ დადუმდება ჰამლეტ გონაშვილისა და მისთანათა საოცარი ხმები, თუ ვირტუოზ ინსტრუმენტალისტთა მუსიკა, მშობლიურ ფესვებზე აღზრდილი ჯანსაღი სულისკვეთების მქონე შთამომავლობით ვიამაყებთ.

თ.მ. — ქართული სიმღერის სწავლება, ცხადია, პრაქტიკული მუშაობის პრიორიტეტს გულისხმობს. მცირე დოზით — თეორიულ-ინფორმაციული მასალის მიწოდებასაც. თვალსაწიერის გასაფართოებლად სასურველია ლაკონური საუბრები ხალხური ვოკალური მუსიკის უძველესობაზე, მის მრავალფეროვან, სინკრეტულ ბუნებაზე, ვარიანტულობაზე, ჟანრულ თუ დიალექტურ სპეციფიკაზე, მუსიკალური ენის ზოგად ნიშნებზე, განსაკუთრებით კი ორიგინალურ მრავალხმიანობაზე (ბავშვებისთვის მისაწვდომი ფორმით) და ა.შ. მეთანხმებით, თუ სხვაგვარად ფიქრობთ?

კ.ო. — *ყოველი ჩვენი რეპეტიცია დიალოგით იწყება, ერთად ვსაუბრობთ კუთხურობის, მუსიკალური ენის თავისებურებებისა თუ სიმღერათა სოციალური დანიშნულების შესახებ. უძველეს წეს-ჩვეულებათა ცოდნა, პატივისცემა და დიდი გულმოდგინება ეხმარება ბავშვებს ისე მღეროდნენ, როგორც მათი წინაპრები. სიმღერა დადებით მუხტს სძენს ადამიანს, თუმცა მისი შესწავლა მრავალმხრივ ჯაფას, ნებაყოფლობით „კატორღულ“ შრომას მოითხოვს.*

თ.მ. — ნორჩი „ორფეოსების“ კონტინგენტის შერჩევას, რა თქმა უნდა, მუსიკალური მონაცემების შემოწმების შედეგად ახდენთ, მაგრამ გზადაგზა, ალბათ, მაინც აწყდებით „სმენით პარადოქსებს“ ინტონაციური სიზუსტის, რიტმისა თუ მეხსიერების მხრივ. როგორ ხდება მოსალოდნელი ლაფსუსების კორექცია.

როგორია რეპერტუარის „განლაგების“, ლოკალური ნიმუშების შესწავლის თანმიმდევრობის ლოგიკა. პრინციპით — ფაქტურული სისადავიდან, მარტივიდან რთულისაკენ თუ?.. რამდენად გათვალისწინებულია ამ პროცესში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთა-ბარის ნიმუშთა, ქალაქური მუსიკისა თუ საგალობლების თავისებურებანი.

კ.ო. — *შერჩევა სმენა-რიტმის შემოწმებით, 5-6 წლის ასაკიდან ხდება. პირველი ნაბიჯები ელემენტარული ინ-*

ტონაციების გამღერებას უკავშირდება. მათი მუსიკალური მონაცემების დახვეწა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის. თითოეული გამღერება ინტონაციური სიმყარის თანდათანობითი მიღწევის საშუალებას იძლევა. სიმღერის შერჩევისა და მცირე ანალიზის შემდეგ ტექსტისა და მუსიკის შერწყმა იწყება. პირველი (ზედა) და მეორე ხმების დაუფლებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პატარებისთვის ძნელად აღსაქმელ ცალკეულ მონაკვეთებს. აქვე ჩნდება აუდიო საშუალებების გამოყენების აუცილებლობაც, რადგან რეპერტუარის ზრდასთან ერთად გამორიცხული არაა განვლილი მასალის დავიწყების ალბათობაც. პროგრამის ნელ-ნელა გართულებასთან ერთად ყურადღება მახვილდება კუთხურობის მახასიათებლებზე, სიმღერის რაობაზე. ყოველი სასიმღერო მუხლი ყმაწვილების ყურთასმენაში განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიზუსტით უნდა ჩაიბეჭდოს.

თ.მ. — ყოველი მოზარდი თავისთავად განსაკუთრებულ ინდივიდუმს წარმოადგენს — განსხვავებულს თავისი ბუნებით, ნიჭიერებითა და აქტიურობის ხარისხით. ამავე დროს ისინი ერთნაირად საყვარელი და საინტერესო არსებები არიან. ხომ არ დაასახელებდით განსაკუთრებით გამორჩეულთ, საამაყოს თქვენთვის, მოზარდებისთვის კი — მისაბაძ თანაგუნდელებს.

კ.ო. — გეთანხმებით, რომ ყოველი მათგანი განსაკუთრებული ინდივიდუმია. ოცდაორწლიანი პრაქტიკის მანძილზე არაერთ მომღერალს გაუვლია ჩვენს ხელში. აქ დაფრთიანებული პირველი თაობის მომღერლები არამცთუ გვერდში უდგანან გუნდს, არამედ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევიან. მათ უთენდებათ და უღამდებათ სიმღერის სამსახურში. ეს დიდი ოჯახია, სადაც მრავალი ყმაწვილი იზრდება ერთმანეთისადმი უსაზღვრო სიყვარულით, პასუხისმგებლობითა და იმედით, რომ თითოეული მათგანი ქართველობის, ვაჟკაცობისა და ერისკაცობის განსახიერებას წარმოადგენს — „კიდევაც დაიზრდებიან“...

თ.მ. — საქართველოში არაერთი ანსამბლი თუ გუნდი ფუნქციონირებს, მათი რიცხვი, საბედნიეროდ, განუხრელად იზრდება, რომელს მიიჩნევდით სანიმუშოდ?

კ.ო. — *სასიხარულოა, რომ ჩვენში არაერთი ანსამბლი თუ გუნდი მოქმედებს. ტრადიციული სიმღერებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ანსამბლ „რუსთავისა“ და მისი ხელმძღვანელის, ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილის დამსახურება. „რუსთავი“ ფლაგმანია, რომელის მეოხებითაც ქართულმა სიმღერამ საყოველთაო პოპულარობა მოუხვეჭა. მარტო ის რად ღირს, რომ ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი, შვედი თუ ავსტრალიელი ქართულ ხმებს მღერის.*

ჩემთვის უპირველესი მაგალითი და მისაბაძი პიროვნებაა მამაჩემი, რომელმაც მთელი ცხოვრება ხალხურ სიმღერას შეალია. მის შესრულებაში სიმღერის უკიდეგანო სიყვარულს, ემოციური წარმოსახვისა და „ხალხური პროფესიონალიზმის“ მაღალ დონეს შევიგრძნობ. ამაყი ვარ, რომ ტარიელ ონაშვილი ქართლ-კახური სიმღერების ერთ-ერთი უბადლო შემსრულებელია (ეს სიტყვები ანზორ ერქომაიშვილს ეკუთვნის).

თ.მ. — ბევრს შრომობთ, მაგრამ თქვენს გარჯას სიხარულიც ახლავს. როგორ ახერხებთ ამ დაუდეგარი ონავრების დაოკებასა და მათი გულის მონადირებას. ბავშვებთან ურთიერთობის თქვენეული რეცეპტი გაქვთ?

კ.ო. — *როგორც მოგახსენეთ, ორ ათეულ წელზე მეტია, პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი. თანდათან ისე მოვერგე ამ რთულ პროფესიას, რომ ამ ჭაპანის ზიდვა ჩემი ცხოვრების ჩვეულ ნორმად მექცა. ბავშვობისდროინდელი ეშმაკობები და სიყმაწვილის წლები მეხმარებოდა და მიიოლებდა პატარებთან ურთიერთობას. მოწაფის შინაგანი ბუნების ამოცნობა დღეს სირთულეს აღარ წარმოადგენს, რაც გამოცდილების შედეგია.*

თ.მ. - ვიდრე თქვენს სამომავლო გეგმებს გაგვიმხელდეთ, როგორ გესახებათ დარგის პრობლემები, რას მიესალმებით, ან პირიქით — რას მიიჩნევთ საჭირბოროტოდ. რაზე გწყდებათ გული ან რას ისურვებდით სანუკვარი შედეგების მისაღწევად.

კ.ო. — *„მძლევარი“ თვითდაფინანსებაზეა. სპონსორი არ გვყავს, საკონცერტო მოგზაურობები ჩვენს მიერ ფინანსდება. უსახსრობის გამო ევროპის არაერთი ქვეყნიდან საინტერესო მიპატიჟებაზე უარის თქმა მოგვიხდა. ამის მიუხედავად, თავისი ოცწლიანი არსებობის მანძილზე „მძლევარმა“ არაერთი ჯილდო მოიპოვა. სხვადასხვა დროს „მძლევარი“ ასრულებდა პროფესიონალ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებებს, მღეროდა გამოჩენილ საოპერო მომღერლებთან, ესტრადის ცნობილ შემსრულებლებთან, სხვადასხვა საორკესტრო კოლექტივთან ერთად. აგრძელებს მუდმივ მონაწილეობას ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტებსა თუ საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.*

ანსამბლ „მძლევარს” ჩაწერილი აქვს სამი CD, გუნდს ხუთი CD, ერთი კლიპი და სოლო კონცერტის DVD. ანსამბლის მიერ სადღეისოდ 130 სიმღერა- საგალობელია ჩაწერილი.

თ. მ. — მადლობა საუბრისათვის.

კ.ო. — *გმადლობთ.*

***P.S. თავდაპირველი წარმოდგენა „მძლევარზე“ ძირითადად კომპაქტ-დისკებმა, უცხოური პრესის მასალებმა და ზეპირმა ქათინაურებმა შემიქმნა. მაგრამ შთაბეჭდილება გამიორმაგდა უფროს-უმცროს „მძლევარელთა“ მიერ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტის შემდეგ. აუდიტორია თითქოს „დაატყვევა“ სცენაზე მდგომი ოსტატ-შეგირდების ხელოვნებამ. ხალხური სიმღერა-საგალობლებისა თუ პროფესიული საგუნდო კომპოზიციების შესრულებისას შეუმჩნეველი არ დარჩენილა კახა ონაშვილის მახვილი ყური, მუსიკალურ ფაქტურაში დაკვირვებული წვდომა, მომღერალთა ხმების აკუსტიკური შესაძლებლობების სწორი აღქმა და სრულყოფილი წარმოჩენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკალური ფაქტურის კონსტრუქციულ სირთულეებთან ღირსეულად „შეთამამების“ უნარი, ქართლ-კახური თუ გურული საგალობლების გააზრებული ინტერპრეტაცია, სპეციფიკური ჰარმონიული ჟღერადობისა და ხმათა მოძრაობის ორიგინალური პრინციპების გათავისება, თუ ნაირგვარი შესაძლებლობების მქონე ქარიზმატულ ინსტრუმენტალისტთა დინამიზმი, მაღალი ტექნიციზმი, აღბეჭდილი სამაგალითო ანსამბლურობითა და სინქრონულობით.*

და ბოლოს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ უდავოდ წარმატებულ „მძლევარს“ ნამდვილ დილემად ექცა ფინანსების სიმწირე. მას კეთილი თანამდგომის, მეცენატ-ქომაგის გულმოწყალება და მატერიალური შემწეობა ესაჭიროება. უამისობა კი არაერთ სახარბიელო წინადადებასა და მნიშვნელოვან მიწვევაზე უარის თქმას ნიშნავს.

გერმანელი და ქართველი მუსიკოსების ერთობლივი კონცერტი

საერთაშორისო პროექტ „კამერტონის“ საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსები ტრადიციულად, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩევიან, საგასტროლო ტურნეებამდე კი საქართველოში მართავენ კონცერტებს.

გაერთიანება EuroCon e.V-ის (თავმჯდომარე – ლიუდმილა ფონ ბერგი) მიზანს ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და ჰუმანიტარული მიმართულებებით თანამშრომლობის ხელშეწყობა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ასევე გაერთიანების მიერ ინიცირებული პროექტი „კამერტონი“ (KAMMERTON), რომლის ფარგლებშიც ბოლო წლებში EuroCon e.V-ი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან. აღნიშნული ინიციატივა ხელს უწყობს საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდა გერმანელ და ქართველ მუსიკოსთა ახალი თაობების ჩამოყალიბებას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ერთა შორის ურთიერთგაგებასა და გერმანელ და ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის პროფესიული თანამშრომლობის განვითარებასა და დაახლოებაში. ინიციატივის ფარგლებში დღემდე განხორციელდა არაერთი ღონისძიება. მათ შორის:

2012 წელს გაიმართა ახალგაზრდა ქართველი „კამერტონელი“ მუსიკოსების შეხვედრა ბერლინის ფილიპ ემანუელ ბახის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეებთან, რომელსაც მხარს უჭერდა და აფინანსებდა ბერლინის სენატი. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ახალგაზრდა მუსიკოსები ერთი კვირის მანძილზე ერთად გადიოდნენ რეპეტიციებს, რაც შემდეგ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის, საქართველოს საელჩოშიც ბერლინში, გამართულ კონცერტებზე მათი ერთობლივი გამოსვლით დაგვირგვინდა.

შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს

მხარდაჭერით განხორციელდა პროექტში მონაწილე ახალგაზრდა გერმანელი მუსიკოსების ვიზიტი თბილისში, სადაც ბერლინის ფილიპ ემანუელ ბახის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეები და ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები თბილისის გერმანული კვირეულის ფარგლებში ერთად წარსდგნენ ქართველი მსმენელის წინაშე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ამ ღონისძიების მხარდამჭერი იყო ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.

2013 წელს გერმანიის ქალაქ ბაიროითის სააღდგომო ფესტივალში მონაწილეობას 30 ქვეყნის 90 მუსიკოსს შორის ქართველი „კამერტონელებიც“ იღებდნენ. იმავე წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა ორი კონცერტი თბილისში გოეთეს ინსტიტუტსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.

2013 წლის აპრილის ბოლოს გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოხებით 6 ქართველი მუსიკოსი კვლავ ეწვია გერმანიას. მათ 7 გამოსვლა ჰქონდათ ბერლინში (მათ შორის, საელჩოს კულტურული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს საელჩოშიც), ასევე, ფრანკფურტსა და ჰესენის ფედერალური მიწის სხვა ქალაქებში, მათ შორის, გერმანიის ნიჭიერთა ხელშემწყობ მუსიკის საერთაშორისო აკადემიაში ახალგაზრდა გერმანელ მუსიკოსებთან ერთად. კონცერტების გარდა ქართველმა მუსიკოსებმა მასტერკლასები გაიარეს გერმანიის მუსიკალური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან.

„კამერტონის“ ქართველი მუსიკოსები („კამერტონი-საქართველოს“ მუსიკალური ხელმძღვანელი კირა ლეელაშვილი, ნატა როინიშვილი — ვიოლინო, თათა მახარაძე — ფ-ნო, გიორგი ოიკაშვილი — კლარნეტი, ლევან უგულავა — ფ-ნო) 2014 წელსაც (აპრილი-მაისი) წარმატებით წარსდგნენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მსმენელთა წინაშე. ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა რიხარდ ვაგნერის საზოგადოებაში გამართული კონცერტი, რომლის წარმატებამაც განაპირობა 2015 წელს „კამერტონის“ კვლავ მიწვევა საკონცერტოდ (ასევე, ამ საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით გიორგი ოიკაშვილი გახდა რიხარდ ვაგნერის სახელობის სტიპენდიანტი). წლეულს ქართველი „კამერტონელები“ მიწვეულნი არიან ქალაქ ბად ჰერსფელდში კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ორი კონცერტის გასამართად. კონცერტები ასევე გაიმართება გერმანიის სხვა ქალაქებში.

საგულისხმოა, რომ გერმანიაში გამგზავრებამდე „კამერტონი„ რამდენიმე კონცერტს მართავს ხოლმე თბილისის სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში. ამჯერად 29 აპრილს „კამერტონის“ კონცერტი გაიმართა ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში. მსმენელთა წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგებიან „კამერტონელები“ — გიორგი ოიკაშვილი, ნატა როინიშვილი, თათა მახარაძე, ლევან უგულავა.

როგორც აღინიშნა, „კამერტონის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის პროფესიული თანამშრომლობის განვითარებისა და დაახლოების ხელშეწყობა. ამ მხრივ საგულისხმოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, — გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბერლინის გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით 1 და 2 მაისს თბილისსა და ქუთაისში გაიმართა კამერული მუსიკის კონცერტები ბერლინის კონსერვატორიის სტუდენტური საფორტეპიანო ტრიოსა (იაკობ ლემანი, ოსკარი პენანენი, ჰერმეს ჰელფრიხტი) და სხვადასხვა თაობის „კამერტონელების“ (გიორგი ოიკაშვილი, სენდი ვართანოვა, ანი გიგაური) მონაწილეობით. ახალგაზრდა გერმანელი და ქართველი მუსიკოსების პროგრამაში იყო ჰენდელის, შუბერტის, შუმანის, დვორჟაკის, სტრავინსკისა და ვაჟა აზარაშვილის საანსამბლო ნაწარმოებები. მიუხედავად იმისა, რომ რეპეტიციებისთვის ახალგაზრდა შემსრულებლებს სულ რაღაც ოთხიოდე დღე ჰქონდათ, მათ მშვენიერი ანსამბლურობა და პროფესიული მომზადების მაღალი დონე აჩვენეს.

1 მაისს თბილისში კონცერტს უმასპინძლა გოეთეს ინსტიტუტმა (ქართველმა „კამერტონელებმა“ გოეთეს ინსტიტუტში შარშანაც დაუკრეს გერმანული დღეების „სამი ქვეყანა — ერთი ენა; გერმანია, ავსტრია, შვეიცარია“ ოფიციალურ გახსნაზე), 2 მაისს კი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაში გამართეს კონცერტი, რომელიც ქუთაისის ქალაქობის დღესასწაულს მიუძღვნეს.

წამიერება მარადისობაში

ნანა ქავთარაძე

რიხტერის 100 წლისადმი მიძღვნილ ინტერვიუში ელისო ვირსალაძე ამბობს: ,,მე შეიძლება არ აღვადგინო მისი შესრულების რომელიღაც ტექნიკური ნიუანსი, მაგრამ ჩემი არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება, ჩემი ამ

კონცერტებზე განცდილი არამიწიერი მდგომარეობა, არასდროს დამავიწყდება". ინტერნეტის საშუალებით მოვისმინე სრულიად ახალგაზრდა ელისოს მიერ შესრულებული მოცარტის რომანსი. ის უკრავდა მუზეუმში, სადაც მსმენელებს შორის რიხტერი იმყოფებოდა. მგონი, მასაც ელისოსეული მოცარტისგან თვალებში არამიწიერი სიამოვნება აღებეჭდებოდა. მადლობა ელისოს ამ განცდისთვის. მან გამახსენა პოეტ ნიკო გომელაურის სტრიქონები:

,,როცა მოცარტი ნოტებს არჩევდა,
დროებით შერცხვა დროს...და გაჩერდა".

გერმანიაში, 89 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა ლეგენდარული ბალერინა მაია პლისეცკაია. 20 ნოემბერს, მოსკოვში, დაგეგმილი იყო მისი 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გრანდიოზული გალა კონცერტის ჩატარება. მან დიდი თეატრის სცენაზე თითქმის 60 წელი გაატარა და შექმნა მრავალი დაუვიწყარი სახე: ოდეტა-ოდილია „გედების ტბაში", ავრორა „მძინარე მზეთუნახავში", დაუვიწყარი და ეტალონური იყო მისი „მომაკვდავი გედი", „კარმენ-სიუიტა" და ა.შ. მისთვის სპეციალურად დგამდნენ სპექტაკლებს ისეთი ქორეოგრაფები, როგორებიც იყვნენ როლან პეტი, მორის ბეჟარი და სხვ.

4 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ბონში ჩატარდება ბეთჰოვენის მუსიკალური ფესტივალი. ამ ფესტივალს პირველად წარადგენს მისი ახალი დირექტორი ნიკა ვაგნერი, კომპოზიტორ რიხარდ ვაგნერის ერთ-ერთი შვილთაშვილი. იგი ადრე თაოსნობდა ვეიმარის ფესტივალს.

ფესტივალი გაიმართება დევიზით „ცვლილებები", რაც ორგანიზატორთა თქმით „ვარიაციებს" გულისხმობს და აისახება 50 მუსიკალური ნაწარმოების შერჩევაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცევა ბეთჰოვენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს — „33 ვარიაცია ანტონ დიაბელის ვალსის თემაზე", რომელიც ბონში ცნობილი მუსიკოსების მიერ აჟღერდება. ფესტივალს გახსნის ბერლინის სახელმწიფო კაპელა დანიელ ბარენბოიმის დირიჟორობით. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს ბამბერგისა და ვენის ტელეკომპანია WDR-ის სიმფონიური ორკესტრები, ბუდაპეშტის საფესტივალო, ისრაელის ფილარმონიული და ბონის ბეთჰოვენის სიმფონიური ორკესტრები; სოლისტ-შემსრულებლებიდან: მევიოლინე სოლ გაბეტტა, ვალტორნისტი პრჟემისლ ვოიტა, პიანისტი ტობიას კოხი და ონსტანტინ ლიფშიცი, საოპერო მომღერალი ვესელინა კაზაროვა. წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ქორეოგრაფიული დადგმები. მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო სცენის ვარსკვლავები — ბელგიელი ქორეოგრაფი და მოცეკვავე სიდი ლაბრი შერკაუი და იაპონელი საბურო ტეშიგავარა, აგრეთვე სხვა მრავალი ცნობილი დამდგმელი და შემსრულებელი. ბეთჰოვენის დაბადებიდან 250 საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფესტივალზე შედგება დიდი კომპოზიტორისადმი მიძღვნილი, შეკვეთით შექმნილი ორი ნაწარმოების პრემიერა.

ლიხტენშტეინის მუსიკალური აკადემიის კლასიკური მუსიკის სფეროში პრემიების მიმნიჭებელმა საერთაშორისო ასოციაციამ (ICMA) დააწესა ახალი პრემია „აღმოჩენა". პრემიის მიზანია 12-დან 18 წლამდე ახალგაზრდა მუსიკოსების შერჩევა. „დღეს ძალიან დიდი კონკურენციაა ახალგაზრდა არტისტებს შორის და დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მაქსიმალური მხარდაჭერა წაადგება საუკეთესო შემსრულებლებს — განაცხადა ICMA-ს პრეზიდენტმა. ჟიურიში შედის 16 მუსიკალური კრიტიკოსი 13 ქვეყნიდან. პრემია „აღმოჩენა" პირველად 2016 წელს გაიმართება. კონკურსის პირველი პრიზიორი წარსდგება 2016 წლის 1 აპრილს დაჯილდოების ცერემონიაზე სან-სებასტიანში (ესპანეთი), შემდეგ

გამოვა გალა კონცერტზე ეუს-კადის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ვ.ა. მოცარტისა და ლ.ვ. ბეთჰოვენის თმის ლოკონები, რომლებიც მედალიონებში ინახებოდა „სოთბის“ (Sotheby's) აუქციონზე გაიყიდება. მათი საწყისი ფასი 12 000 ევრო იქნება. მოცარტის ლოკონი მოცარტის ქვრივისაგან, კონსტანცასაგან გადაეცა გერმანელ დირიჟორსა და კომპოზიტორს კარლ ანშუტს, ვიდრე ის საჩუქრად გადაეცემოდა ინგლისელ კომპოზიტორს არტურ სომერველს. ლოკონი ინახებოდა ოქროს მედალიონში. 2002 წელს „სოთბის“ აუქციონმა ანალოგიური ლოკონი 38 240 ევროდ გაყიდა, ნაწილი გამოფენილია ლონდონში „სოთბის“ აუქციონის საგამოფენო დარბაზში.

წელს, 28 მაისს მსოფლიოში აღიარებულ საოპერო და კამერულ მომღერალს, ბარიტონს დიტრიხ ფიშერ დისკაუს 90 წელი შეუსრულდა. მისი წარმატებული კარიერა შუბერტის „ზამთრის გზის“ ჩანაწერით დაიწყო, რომლის რადიოში გაჟღერების შემდეგ, რედაქცია თხოვნის წერილებს ვერ აუდიოდა. მსმენელი ითხოვდა ჩანაწერის გამეორებას. ამას მოჰყვა ბახის, შუმანის, ბრამსის ჩანაწერები. სტუდიაში ჩაწერაზე მას მოუსმინა ზალცბურგის ოპერის დირიჟორმა და შესთავაზა „დონ კარლოსში“ მარკიზ პოზას პარტია. ფიშერ-დისკაუს საოპერო კარიერა 1948 წელს დაიწყო. მას შემდეგ მან ათობით პარტია შეასრულა მოცარტის, ვერდის, ვაგნერის, როსინის, გუნოს, რიხარდ შტრაუსის და სხვათა ოპერებში. რაც შეეხება სტუდიურ ჩანაწერებს, ფიშერ-დისკაუ არის ერთ-ერთი იმ პიონერთაგანი, რომლის საოპერო პარტიების ჩანაწერები ბევრად აღემატება სცენაზე ცოცხლად განხორციელებულ როლებს. ფიშერ-დისკაუს თავისი ჩანაწერების ხარისხისა და რაოდენობის მხრივ, უდავოდ, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

დიტრიხ ფიშერ-დისკაუს არ ტოვებდა ოცნება გამხდარიყო დირიჟორი და 1973 წელს, მან პირველად აიღო ხელში სადირიჟორო ჯოხი, უდირიჯორა რა შუბერტის, მალერის და ვოლფის სიმფონიურ ნაწარმოებებს კიოლნის რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ი.ს. ბახის პორტრეტი, ამერიკელი ფილანტროპის უილიამ შეიდის გარდაცვალების შემდეგ, ლაიფციგის არქივს გადაეცა. როგორც ამბობენ, ეს ერთადერთი პორტრეტია, რომელიც ბახის სიცოცხლეში დაიხატა. პორტრეტი 1748 წელს ლაიფციგში, ელიას გოტლობ ჰაუსმანის მიერ დაიხატა. მისი შექმნიდან 265 წლის მანძილზე პორტრეტი ჰამბურგში, პოლონეთში, და აშშ-ში იყო. 2015 წლის 29 აპრილს კი გადაეცა ლაიფციგს. გადაცემის ცერემონია შეიდის ოჯახში შედგა, რომელსაც ესწრებოდა ლაიფციგის მერი ბერჰარდ იუნგი, ბახის არქივის პრეზიდენტი ჯონ ელიოტ გარდნერი და დირექტორი, პროფესორი პიტერ უოლნი. ამერიკელმა ფილანტროპმა შეიდმა პორტრეტი 1952 წელს ჯენკების ოჯახიდან მიიღო, რომლებიც მას 1800 წლიდან ფლობდნენ. 12 ივნისს პორტრეტს ბახის ფესტივალზე გამოფენენ, მანამ, სანამ ის სამუდამოდ ლაიფციგის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში დაიდებს ბინას.

THE FESTIVAL

Gulbat Toradze

The Festival Blessed by God

The 10th International Musical Festival "From Easter to Asention Day"

The article tells us about the traditional (the 10th) yearly International Musical Festival "From Easter to Asention Day" which has become the indivisible part of the cultural life of our country. Besides Tbilisi it was held in various cities of Georgia. The main, publicly and artistically – aesthetically, extremely actual aim of the Festival is the propaganda of the traditional (Georgian) and the world classic (academic) musical art which is of special, principal importance nowadays when the cheap "pseudo-culture" has become so strong and it may be said that the whole, the most beautiful musical art in Georgia is in danger. Since 2011 the art director of the Festival is the fine person, the brilliant musician (the pianist and teacher),the professor of Boston (USA) "The Conservatoire of New England" – Alexandre Korsantia and thanks to him the Festival has become the musical phenomenon of the international significance.

THE WORLD CLASSICS

Nato Moistsrapishvili

Karl Orff

The article is dedicated to one of the eminent, original and interesting representative of the XIX-XX centuries of the European musical creative work to the 120th anniversary of the famous composer, playwright and actor Karl Orff. The musical relationship with Orff`s music began in the sixties of the last century in our country. The author recallss the facts of performing his brilliant cantata "Karmina Burana" in Georgia.



THE CULTURAL DIALOGUE

Mzia Japaridze

"Under One Sky…"

The article represents the multiethnic Art Festival "Under One Sky – the Cultural Dialogue". This is the festival which does its significant bit in the sphere of intercultural education. The specimens of the Georgian and the world classical music are performed here and the pupils of Tbilisi and regional music schools of various nationalities living in Georgia take part in this festival. The author talks with the organizer of the festival – the composer Manana Alphaidze.

NEW PUBLICATIONS

Rusudam Tsurtsumia

Georgian Voices from the German prisoners camps

It is a review of the book entitled "echoes from the past: Georgian Prisoners' Songs Recorded on Wax Cylinders in Germany 1916-1918". Sound recordings made in German prison camps 1915-1918 by the Prussian Phonographic Commission can be found in two different archives in Berlin, the Phonogramm-

archiv and the Lautarchiv. The sound recordings of Georgian prisoners together with the accompanying written documents presented in this publication are preserved in the Berlin Phonogramm-archiv, Ethnologiches Museum,Staatliche Museum zu Berlin-Preu-

bicher Kulturbesitz. Historical information about the singers as well as the texts written down in the prison camp in Sagan were provided by the Lautarchiv, Humboldt Universitat zu Berlin.The publication is based on a cooperation project between Berlin Phonogramm-Archiv and Tbilisi State Consevatoire.

DATE

Aleksi Shanidze

The Recollection of Givi Svanidze

The article is dedicated to the director of the Z. Paliashvili Central Music School – Givi Svanidze who did his great bit in the revival and advance of the splendid musicians` smithy. This is the school which has brought up many Georgian stars of the international level: Marine Goglidze – Mdivani; Eliso Virsaladze, Dimitri Bashkirov, Lev Vlasenko, Liana Isakadze, Tamar Gabarashvili, Tsiala Kvernadze, Nana Iashvili, Eter Anjaparidze,

Lekso Toradze, Alexandre Korsantia, Liziko Batiashvili, Khatia Buniatishvili and many others. This year Z. Paliashvili Central Music School and the musical society celebrates Givi Svanidze`s 100 jubilee anniversary.

THE PORTRAIT

Tamar Meskhi

Nunu Gabunia

The article is dedicated to the famous Georgian composer Nunu Gabunia. She enriched the Georgian professional music with rather interesting and original heritage and did her bit in the public field. However, her name is associated with the lyrical songs. Nunu Gabunia`s creation is an interesting representation of the tender relationship towards the native culture and the transformation of the primary source and aspiration to novelty. She is the author of many musical works : the opera for the children, the chamber opera, ballets, musical comedies, musicals, the music for the performances of the dramatic theatres, the films, suites for symphony orchestra, the dance, ballet suites and the others.

It should be noted Nunu Gabunia`s activity as the singer. She is the performer of the musical works of various genre and opera parties. The performance of the leading part in O. Taktakishvili`s opera at the "Bolshoi Theatre" stage is the significant fact in Nunu Gabunia`s biography.

MUSIC AND LITERATURE

Alan Maley

"Bravo"

The collection of 20 short stories "Musical Cheers and Other Short Stories" by Alan Maley provide ex-

cellent reading enjoyment and can easily be read in one go. "Musical Cheers" is about a man with a very unusual job in the musical business! (See the back cover of the book).

These very, very short stories are translated into Georgian by Ketevan Tukhareli in the Georgian literary journal " Chveni Mtserloba".

BALLET

Tamar Meskhi-Modebadze
Eteri Chabukiani

The article is dedicated to the Georgian ballerina Eteri Chabukiani whose life and activity was like a flashing of a meteor. She was brought up in the family of her uncle Vakhtang Chabukiani – the magician of dance, the reformer of the classic ballet, the founder of the Georgian national ballet, the teacher who brought up many famous generations of the ballet art.

Eteri`s repertoire was enriched by various ballet parties. "The Dying Swan" by Camille Saint-Saëns became the acme of her creative work and she was acknowledged as one of the excellent performers of it. Eteri`s appearance on many world stages was successful where together with the classic repertoire she performed the Georgian folk dances as well.

But unfortunately all this didn`t last long. Her life tragically and early ended. Her dead body was found in the street on the pavement. The Killer`s personality and the motive has not been stated till now. After this tragedy Vakhtang Chabukiani did not dance on the stage.

THE CHRONICLE

Manana Khvedelidze
"From the Classics to the Jazz Improvisation"

The article tells us about the charitable action directed to the help of one of the distinguished music schools for the gifted pupils. This school has been their home for years. The pupils of this school beautify the world concert halls and opera stages. The school has been left without the building. However, sheltered in another building it continued the studies successfully.

The initiator and organizer of the action was the founder of the Conservatoire Museum and its director –Marina Chikhladze. The concert was unusual by its intention. Here, together with the famous jazzmen you could see the well – known musicians with the academic repertoire performing the popular compo-



sitions with the original improvisation, the jazzy standards and attractive sincerity.

JAZZ

Tamar Tsulukidze
The True Star

The article is dedicated to the talk with one of the first jazz-singers not only in Georgia but in the ex-Soviet countries – Mrs. Giuli Chokheli who was very popular on the variety field but has been forgotten over the last years. Now she is 80 and in this

connection her creative evening and the opening of the star in front of the Event Hall was held. Tbilisi hasn`t seen such celebration and general glee for a long time. The singer herself and the respondents of the letter are thankful to the musicologist Nia Bakhtadze and all the supporters of her project who did their great bit in Giuli Chokheli`s actual return to the society.

THE LOVER OF MUSIC

Gulbat Toradze

Our Friend Avtandil Danelia

The author is sorry for the death of the unique person Avtandil (Avto) Danelia. A. Danelia was neither musician, nor theatrical producer or ballet-master, but in this and other spheres of the art creation, he revealed the amazing knowledge, professionalism and the fanatic devotion.



While living in Moscow he was in close contact with the representatives of the Soviet musical, theatrical and ballet sphere and at the same time, with the famous foreign artists and creative groups. For the attendants of the concert and theatre halls and in the memory of his acquaintances and friends A. Danelia`s bright image will be left with them forever.

THE STUDENT PAGE

Mariam Meparishvili, Teona Ugulava

Tbilisi Conservatoire in the World Space of the Integration Road

The authors – the students of Tbilisi State Conservatoire tell us about the International Musicological Conference held at the Conservatoire – "Musical Identity and Cultural Crossroad! ". The aim of the conference was to represent multiculturalism, various problems in the epoch of globalization. The conference was orientated to show not only the variety of the problems in the scientific – musicological, but also in the practical – performing sphere. Here with the aim of the project was to establish the modern Georgian musicological school on the international field and the exchange of information and share the experience among the scientific schools having different traditions.

FOLKLORE

Tamar Meskhi The

Boys` Folklore Choir

The study of the song-hymns has been the ancestral tradition in Georgia since olden times. The formed performing style has passed from generation to generation for centuries. The boys' folklore choir "Mdzlevari" by Kakhaber Onashvili`s leadership belongs to the followers of this tradition. More than fifty boys master the native songs. For ten-year existence "Mdzlevari" has won many times, among them on the international field and has gained the reputation of the best choir.

A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:

1. Carl Orff "Carmina Burana". O Fortuna. Tbilisi Symphony Orchestra, the conductor Dzhansugh Kakhidze. The Feature "Carl Orff", page 6.

2-3-4. Nunu Gabunia. The adajio from the ballet "The Maiden in Black".
Nunu Gabunia. The song "I Love You~. Performed by Otar Jorjikia.
Alexander Dargomyzhsky. The romance "I still love Him". Performed by Nunu Gabunia. The feature "Nunu Gabunia", page 28.

5-6. Otar Tevdoradze. "On the Date". Performed by VIA "Rero". The Soloist Giuli Chokheli.
Zurab Nadaraia. "I`ll Go With You!". Performed by Gustav Brom's Jazz Orchestra. The Soloist Giuli Chokheli. The feature "The True Star", page 52.

7-8-9. The Georgian folk song "Nanav-da" (the arrangement by Valeri Skhirtladze);
The Georgian folk song "Chaguna" (the arrangement by Ioseb Bardanashvili).
Wolfgang Amadeus Mozart. The choir from the opera "Figaro`s Marriage". (the arrangement by Valeri Skhirtladze); Performed by the VIA "Nanav-da" (the soloists: Tengiz Shavlokhashvili, Ruben Kajhiloti, Marina Kavtaradze, Zhuzhuna Akhobadze, Ioseb Bardanashvili, Valeri Skhirtladze). The feature "VIA "Nanav-da", page 62.

10. Tamar Salukvadze. The song "Mkhedruli". The Boys` Folklore Choir "Mdzlevari". The feature "Boys` Folklore Choir", page 72.

11. Wolfgang Amadeus Mozart. The romance in A-flat major. Performed by Eliso Virsaladze. The feature: "The Moment in Eternity", page 81.

The editional board

Editor-in-Chief: MIKAHEL ODZELI
Editors: MZIA JAPARIDZE, TAMAR TSULUKIDZE
Design: VAKHTANG RURUA, VANO KIKNADZE
Translated by: KETEVAN TUKHARELI

Address:
123, D. Agmashenebeli str., Tbilisi
Tel: (+995 32) 295 41 64
Fax: (+995 32) 296 86 78

1. C. Orff.

"Carmina Burana". O Fortuna. Tbilisi Symphony Orchestra, the conductor Dzhansugh Kakhidze. 2. N.Gabunia. The adajio from the ballet "The Maiden in Black". 3. N. Gabunia. The song "I Love You". Performed by O. Jorjikia. 4. A. Dargomyzhsky. The romance "I still love Him". Performed by N.Gabunia. 5. O.Tevdoradze. "On the Date". Performed by VIA "Rero". Soloist G.Chokheli. 6. Z. Nadaraia. "I`ll Go With You!". Performed by PG.Brom's Jazz Orchestra. The soloist G.Chokheli.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

Journal of Creative Union of Composers of Georgia

მუსიკა 2015 (24)

MUSIKA

7. The Georgian folk song "Nanav-da". Performed by the VIA "Nanav-da".

8. The Georgian folk song "Chaguna". Performed by the VIA "Nanav-da".

9. W.A. Mozart. The choir from the opera "Figaro`s Marriage". Performed by the VIA "Nanav-da". 10. T.Salukvadze. The song "Mkhedruli". The Boys` Folklore Choir "Mdzlevari".

11. W. A. Mozart. The romance in A-flat Major. Performed by E. Virsaladze.

COMPACT disc DIGITAL AUDIO

All rights of the producer and the owner of the recorded work reserved, Public performance, broadcasting, hiring or rental of this recording prohibited